

სოციალური დავალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2018, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2018, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2018, №6

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2018, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 299 04 18; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება

მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-815-807(კ-16)

25 მაისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის საფუძვლის არსებობა

აღწერილობითი ნაწილი:

04.11.2015წ. ფ. გ-ემ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრისა და სსიპ სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ და დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის რაიონის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.09.2015წ. №... წერილის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.2015წ. №... წერილის ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის რაიონის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის მიუღებელი ერთი წლის, 2012 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 1 ივლისამდე, პერიოდის სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი, დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო პენსია ასაკის მიხედვით, რომლის დარიცხვაც შეუჩერდა 2012 წლის 01 ივლისიდან იმის გამო, რომ ექვსი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ და ვერ ახერხებდა სახელმწიფო პენსიის მიღებას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 05.12.2013წ. მიმართა სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა პენსიის დარიცხვის განახლება. 01.01.2014წ. განახლდა პენსიის დარიცხვა და მას აუნაზღაურდა მხოლოდ 370 ლარი, 2012 წლის ივლი-

სისა და აგვისტოს თვეების – 220 ლარი და 2014 წლის იანვრი-სათვის – 150 ლარი. 30.09.2014წ. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის რაიონის სოციალური მომსახურების ცენტრს შეჩერებულ პერიოდზე პენსიის სრულად ანაზღაურების მოთხოვნით, რაზეც 23.10.2015წ. №04/79857 წერილით მას განემარტა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესში“ 2012 წლის აგვისტოს №01-48/წ ბრძანებით შეტანილი ცვლილებების თანახმად იმ პირებს, რომლებსაც 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობით შეჩერებული ჰქონდათ პენსია არა უმეტეს 6 თვის პერიოდით და განახლების მოთხოვნით მიმართეს სააგენტოს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ჩაეთვალით შეწყვეტილად და მიუღებელი თანხის მიღების მოთხოვნით მიმართვის შემთხვევაში აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 01 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული კუთვნილი გასაცემლები, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა შეჩერების დღიდან, ხოლო საპენსიო პაკეტის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სააგენტოში განცხადების მიღებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მან კიდევ ორჯერ 15.09.2015წ. და 17.09.2015წ. მიმართა ისანი-სამგორის რაიონის სოციალური მომსახურების ცენტრს პენსიის ანაზღაურებისა და სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემის მოთხოვნით, თუმცა 16.09.2015წ. და 23.09.2015წ. იგივე შინაარსის წერილები მიიღო, ხოლო შეწყვეტის აქტი არ გადასცემია. 06.10.2015წ. ფ. გ-ემ საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.09.2015წ. №... წერილის ბათილად ცნობისა და საპენსიო ანაზღაურების დარიცხვის მოთხოვნით, რაზეც 08.10.2015წ. №04/76801 წერილით ეცნობა, რომ წარედგინა საჩივრით ერთთვიან ვადაში მიმართვის დამადასტურებელი მტკიცებულება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსარჩელემ განმარტა, რომ მისთვის გასაჩივრების წესის შესახებ არავის უცნობებია, რის გამოც არ უნდა გავრცელებულიყო გასაჩივრების ერთთვიანი ვადის შეზღუდვა. სააგენტომ არ გაიზიარა ფ. გ-ის მოსაზრება და 23.10.15წ. №04/81296 წერილით უარი თქვა საჩივრის წარმოებაში მიღებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე თვლის, რომ უხე-

შადაა დარღვეული საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სოციალური უფლებები და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი. მოსარჩელე თვლის, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 17.1 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს, რომლებიც მხოლოდ ამ კანონით განისაზღვრება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დადგინდა პენსიის შეწყვეტის დამოუკიდებელი საფუძველი. მოსარჩელე თვლის, რომ აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ წარმოადგენს სპეციალურ რეგულირებას, საკითხის გადასაწყვეტად მხოლოდ „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონი უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.7 მუხლის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2016წ. გადაწყვეტილებით ფ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.2015წ. №... გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.09.2015წ. №... გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალა აუნაზღაუროს ფ. გ-ეს 1 წლის (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივლისის თვემდე) მიუღებელი პენსია.

კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილებით ფ. გ-ეს, პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის საფუძველით, შეუჩერდა დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) 16.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) დანართი №1, 8.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო შემდგომ შეუწყდა ამავე წესის 12.4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის მიმართვის შემდგომ მო-

სარჩელეს დაერიცხა 2012 წლის ივლისისა და აგვისტოს თვის პენსია. კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების“ (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) №1 დანართის, 9.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეწყდება პენსიის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდგომ. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ განმარტა, რომ 2011 წლის დეკემბრის თვეში დატოვა საქართველო და დაბრუნდა 2013 წლის ბოლოს. ამდენად, ფ. გ-ის მიმართ ვერ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება სახელმწიფო პენსიის/გასაცემლის შეწყვეტის შესახებ, რადგან პენსიის შეწყვეტისათვის აუცილებელი 3 წელი არ იყო გასული. კოლეგიამ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრმა, მიიღო რა შეტყობინება, ბანკის ანგარიშზე აქტიური ოპერაციის განუხორციელებლობის თაობაზე, არ იყო ვალდებული ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და შემდგომ გამოეცა ადმინისტრაციული აქტი სახელმწიფო გასაცემლის ჩარიცხვის შეჩერების თაობაზე. კოლეგიამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც სზაკ-ი არ ადგენს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაირღვა სზაკ-ის 96-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ იმის ნაცვლად, რომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო საკითხისათვის, უცვლელად დატოვა ფ. გ-ის მიერ სადავოდ ქცეული მიუღებელი პენსიის საკითხზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.09.2015წ. №... წერილი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ (ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრი). აპელანტმა აღნიშნა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიულმა აქტმა დაარეგულირა და შეავსო ის გარემოება, რომელიც

საკანონმდებლო აქტით არ იქნა განსაზღვრული. აპელანტმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მოსარჩელის მიერ არ იქნა წარმოდგენილი აქტის კანონმდებლობით დადგენილი ერთი თვის ვადაში სადავოდ ქცევის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილი იყო წარმოებაში არ მიეღო ადმინისტრაციული საჩივარი. აპელანტმა მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.2016წ. გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრი) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 15.04.2016წ. გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილებით ფ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანების 9.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი, რადგან მოცემულ ურთიერთობას არეგულირებს სპეციალური ნორმა, რომელიც მოცემულია ამავე ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების 12.4 მუხლის თანახმად იმ პირთათვის, რომლებმაც 01.09.2012წ. მდგომარეობით არაუმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს სააგენტოს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, პენსია 2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან შეწყვეტილად ეთვლება და ასეთ პირებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის პირველ სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით კოლეგიას არა ზოგადი, არამედ სწორედ აღნიშნული სპეციალური ნორმა უნდა შეეფარდებინა სადავო ურთიერთობისათვის. მოსარჩელის შემთხვევა სრულიად აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული ნორმის დისპოზიციის ყველა პირობას. პენსია შეწყდა მხოლოდ საგამონაკლისო /სპეციალური ნორმის რეგულაციის გამო და ეს ვითარება არ უკავშირდებოდა პენსიის შეჩერების 3-წლიან ვადას და ამ ვადის გასვლის შემდგომ მის შეწყვეტას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სსიპ მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს დაავალა ფ. გ-ისათვის 1 წლის (2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივლისის თვემდე) მიუღებელი პენსიის ანაზღაურება მაშინ, რო-

დესაც მოსარჩელეს უკვე ანაზღაურებული ჰქონდა 2012 წლის ივლისისა და აგვისტოს პენსია. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფ. გ-ემ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ფ. გ-ის მიერ. კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო პალატის მიერ მითითებული კანონქვემდებარე აქტი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანება ვერ განიხილება სპეციალურ რეგულირებად. სახეზეა ორი იერარქიულად სხვადასხვა საფეხურზე მდგომი აქტი – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონი და კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესი“. კასატორი აღნიშნავს, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის პირობების განსაზღვრისას სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა იხელმძღვანელოს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით. მისთვის ერთი წლის პენსიის ანაზღაურების არ გაცემის საფუძველი იყო მინისტრის ბრძანება, რომლითაც მას პენსია შეწყვეტილად ეთვლებოდა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 17.1 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს პენსიის შეწყვეტის საფუძველებს, რომლებიც მხოლოდ ამ კანონით განისაზღვრება. აღნიშნული კანონის მე-13 მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის იმ საკითხებს, რაც მინისტრის ბრძანებით უნდა განისაზღვროს, კერძოდ, მინისტრის ნორმატიული აქტით განისაზღვრება პენსიის დანიშნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, საპენსიო დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე პენსიის დანიშვნის წესი და პირობები. კანონი არ ახდენს რაიმე მითითებას იმაზე, რომ შეწყვეტის საფუძველები სხვა აქტით განისაზღვრება, კანონის მე-17 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს შეწყვეტის საფუძველებს, რომლებიც მხოლოდ აღნიშნული კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა მინისტრის ბრძანებიდან. კასატორმა მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება, სადავო აქტების ბათილად ცნობა, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების

დავალბა.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.09.2015წ. №... გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.15წ. №... გადაწყვეტილება შეიცავს სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს ხსენებული აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობის გარკვევას. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების განმსაზღვრელი კრიტერიუმებია: აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა, ფორმალური და მატერიალური კანონიერება. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან, აქტის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთან. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერება დაკავშირებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესთან და მოითხოვს, რომ აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დაცვით და შესაბამისი ფორმით იქნეს გამოცემული. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს სადავო აქტების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონმდებლობის მიხედვით ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის ფაქტი წარმოშობს პენსიის გაცემის შეჩერების ვალდებულებას („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 8.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო შეჩერებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ პენსიის გაცემის შეწყვეტის ვალდებულებას („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ

ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი). პენსიის გაცემის შეჩერების შემთხვევაში მისი გაცემა განახლდება პენსიონერის მიერ კომპეტენტურ ორგანოში პენსიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის თვის მომდევნო თვეს და ანაზღაურდება მის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისთვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ.). რაც შეეხება პენსიის შეწყვეტას, პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 14.2 მუხ., „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი ასეთ შემთხვევაში არ ანაზღაურდება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად იმ პირობათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არაუმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული სახელმწიფო გასაცემლის განახლების მოთხოვნით 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ მიმართეს – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია შეწყვეტილად ითვლება და ასეთ პირებს აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები, ხოლო შეწყვეტილი გასაცემელი ხელახლა ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის მომდევნო თვიდან.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზის მონაცემებით ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის გამო ფ. გ-ეს გასაცემელი შეუჩერდა 2012 წლის 1 ივლისიდან. შეჩერებული გასაცემლის განახლების მიზნით ფ. გ-ემ ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს 05.12.13წ. მიმართა. ფ. გ-ეს გასაცემელი დაერიცხა 2012 წლის 1 სექტემბრამდე (ივლისის და აგვისტოს თვის), სახელმწიფო გასაცემელი ფ. გ-ეს შეუწყდა 2012 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო შეწყვეტილი გასაცემლის განახლება მოხდა განცხადებით მიმართვის (05.12.13წ.) მომდევნო თვიდან – 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის იანვრის თვეში დაერიცხა სახელმწიფო გასაცემელი 370 ლარის ოდენობით (2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით –

220 ლარი და 2014 წლის იანვრის პენსია – 150 ლარი).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი შემოღება ხშირად თავად აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტების მიერ, სახელმწიფო-მმართველობითი საქმიანობის პროცესში და მისი მიზნების მისაღწევად ხორციელდება. მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სამართლებრივი ნორმების დამოუკიდებელი გამოცემის, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მოთხოვნილება ეფექტურ მმართველობაში ობიექტურად განაპირობებს მის აღჭურვას ნორმის დამდგენი უფლებამოსილებებით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილება თავისი არსით არის კანონმდებლის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადაცემული სამართალშემოქმედების უფლებამოსილება. ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა, წარმოადგენს სამართალშემოქმედებით აქტს. ამასთანავე, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამართალშეფარდებითი საქმიანობა, მათი ნორმაშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა იმავე მიზანს ისახავს. ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია სამართალგამოყენებითი, ნორმაშეფარდებითი საქმიანობაა, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება და ამ ფუნქციით არის დეტერმინირებული. ამდენად, კანონქვემდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები სამართალგამოყენების ანუ აღსრულების მიზანს ემსახურება, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტები გამოიცემა კანონის აღსრულების მიზნით, ანუ ისინი კანონქვემდებარე აქტებია. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო აქტით სათანადოდ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ყველა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედება ვერ იქნება უსაზღვრო, აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ იქცევა საკანონმდებლო პროცესის შემადგენელ ნაწილად და ვერ შეცვლის მას, მით უფრო როდესაც რეგულირება სცდება შიდასისტემურ რეგულაციას, აღმასრულებელი ხელისუფლების მექანიზმის შიდა ორგანიზაციას და ეხება მოქალაქის უფლებას. „ნორმატიული აქტე-

ბის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება(გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. სამართლის წყაროთა იერარქიაში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის მიხედვით ექვემდებარებიან კანონს, კანონს აქვს უპირატესი ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ. კანონის უზენაესობის პრინციპი ვრცელდება მართვის ორგანოების როგორც მიმდინარე საქმიანობაზე, ისე ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე. კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, თუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა არღვევს კანონს ან მის მიერ გამოცემული აქტი ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი. ნორმატიული აქტის იერარქიის განმსაზღვრელი „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა სახელმწიფოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმდებარე (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა იგი მიღებული(გამოცემული). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დელეგირებული სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის დეკონცენტრაციის, მისი დივერსიფიკაციის გამოვლინებაა. დელეგირებული კანონშემოქმედების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონების მოთხოვნათა დაცვით რეგულირების ამოცანების შესრულებაში ჩართული იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზირებული პროფესიული ცოდნა. დელეგირება უზრუნველყოფს კონკრეტული სფეროს რეგულირების საგნობრივ ურთიერთკავშირს, რომელიც განაწილებულია კანონით განსაზღვრულ მასშტაბსა და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე აქტის მთავარი ფუნქცია – საკანონმდებლო აქტის ეფექტური აღსრულების

უზრუნველყოფაა.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ნესი“ გამოცემულია „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის საფუძველზე და მის აღსასრულებლად. „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის 13.3 მუხლის თანახმად, ბრძანებით მინისტრი განსაზღვრავს პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხას, საპენსიო დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე პენსიის დანიშვნის წესს და პირობებს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 12.4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დებულება სცდება მოცემული კანონქვემდებარე აქტის მიღების მიზნებს, რადგან საკანონმდებლო აქტისაგან განსხვავებულ რეგულირებას ადგენს. აღნიშნული ნორმა არ შეესაბამება კანონმდებლის ნებას, რომელიც „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის 17.1 მუხლში პენსიის შეწყვეტის საფუძველების კონკრეტული განსაზღვრით გამოიხატა. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი, მე-17 მუხლების თანახმად, პენსიის შეწყვეტის საფუძველი არის კანონის და არა კანონქვემდებარე აქტის რეგულირების სფერო. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი დასაშვებად თვლის მუხლში მოცემული შეწყვეტის საფუძველების ჩამონათვლისაგან სხვა საფუძველითაც პენსიის შეწყვეტის შესაძლებლობას თუმცა უთითებს, რომ პენსიის შეწყვეტის საფუძველი უნდა გამომდინარეობდეს ამ კანონიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუშვებელია სახელმწიფო პენსიის გაცემის შეწყვეტა ისეთი საფუძველით, რომელიც არ არის გათვალისწინებული „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით. კანონი არ შეიცავს რაიმე მითითებას შეწყვეტის საფუძველის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრის შესაძლებლობის შესახებ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის 10.02.06წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 12.4 მუხლის თანახმად, თუ განცხადების შეტანა არ მოხდა 2013 წლის 1 იანვრამდე, პენსია შეწყვეტილად ჩაითვლება 2012 წლის 1 სექტემბრიდან. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით დადგენილია შეჩერებიდან განახლების მოთხოვნის საერთო ვადა – სამი წელი (მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი). ფ. გ-ეს სახელმწიფო პენსია შეჩერებულად ჩაეთვალა „ლიბერთი ბანკის“ მიერ მოწოდებული სიის საფუძველზე, საბანკო ანგარიშიდან ექვსი თვის განმავ-

ლობაში საპენსიო თანხის გაუტანლობის გამო, 2012 წლის ივლისიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ ცენტრს 05.12.2013წ. მიმართა, ანუ კანონით (16.2 მუხ.) გათვალისწინებულ შეჩერებიდან სამწლიან ვადაში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ თანახმად, პენსიის შეწყვეტა პენსიის შეჩერების კონკრეტულ თარიღს დაუკავშირდა. სახელმწიფო პენსიის შეწყვეტა შეჩერებიდან სამწლიანი ვადის გასვლამდე, კონკრეტული თარიღის (01.09.2012წ.) დადგომის შემდეგ მიმართვის შემთხვევაში, სცილდება კანონისმიერ რეგულაციას, შეწყვეტის ასეთი საფუძველი არ გამომდინარეობს საკანონმდებლო აქტის შინაარსიდან და ფაქტიურად პენსიის შეწყვეტის ახალი საფუძვლის შემოღებას უტოლდება. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით განსაზღვრული მინისტრის ნორმატიული აქტით გადასაწყვეტ საკითხთა წრე არ ითვალისწინებს პენსიის შეწყვეტის ახალი საფუძვლის დადგენას. შესაბამისად, კანონქვემდებარე აქტით დადგენილი ნორმა არ წარმოადგენს სპეციალურ რეგულირებას.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ მოსარჩელეს ჰქონდა სახელმწიფო გასაცემლის შეწყვეტის საკითხის კანონის საფუძველზე გადაწყვეტის გონივრული, ლეგიტიმური მოლოდინი, ფ. გ-ეს ჰქონდა ნდობა იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანო იმოქმედებდა მოქმედი კანონისმიერი რეგულაციის ფარგლებში. ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს პირისათვის ქმედების/უმოქმედობის სავარაუდო სამართლებრივი შედეგის განჭვრეტადობას. განსახილველ შემთხვევაში 2012 წლის 01 სექტემბრიდან პენსიის შეწყვეტის საფუძველად მითითებულია „წესის“ მე-12 მუხლი, რომელიც „წესს“ გარდამავალი დებულების სახით 2012 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, კერძოდ 10.09.2012წ. №01-62/წ ბრძანებით დაემატა, ამასთანავე, მე-12 მუხლს მე-4 პუნქტი „წესს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 24.09.2012 №01-65/წ ბრძანებით დაემატა. შესაბამისად, ფ. გ-ეს, 2012 წლის 1 სექტემბრისთვის არ ჰქონდა შესაძლებლობა განეჭვრიტა თავისი უმოქმედობის შედეგი. პენსიის შეწყვეტის საფუძვლების მიმართ კანონისმიერი რეგულაციის უცვლელობა, აგრეთვე ის, რომ არ დასტურდება ფ. გ-ის მიმართ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო პენსიის შეჩერების, ხოლო 2012 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო პენსიის გაცემის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების

გამოცემა და ჩაბარება ან თუნდაც ამ აქტების გამოცემის შესახებ ადრესატისათვის ინფორმირების მცდელობა, სავსებით ცხადად ადასტურებს მოსარჩელის კანონის საფუძველზე სახელმწიფო გასაცემლის შეწყვეტის მოლოდინის ლეგიტიმურობას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მოთხოვნები არ ეხება იმ ნორმის გაუქმებას, რომლითაც დადგინდა პენსიის შეწყვეტის დამატებითი საფუძველი („ნესის“ 12.4 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი). ის გარემოება, რომ მოსარჩელე არ მოითხოვს კანონქვემდებარე აქტის იმ ნორმის გაუქმებას, რომლითაც შემოღებულია პენსიის შეწყვეტის დამატებითი საფუძველი, არ განაპირობებს განსახილველი დავის უსათუოდ ამ ნორმის საფუძველზე გადაწყვეტას. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ფ. გ-ისათვის პენსიის შეწყვეტა, პენსიის შეჩერების ერთწლიანი პერიოდის საპენსიო თანხის გაცემაზე უარის თქმა. შესაბამისად, სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის არსებით მნიშვნელობას იძენს პენსიის შეწყვეტასთან დაკავშირებული სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სათანადო ნორმის გამოყენება. დავის გადაწყვეტა გულისხმობს ნორმებს შორის კოლიზიის გადაჭრას, სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სათანადო ნორმატიული აქტის გამოყენების და სხვა, საწინააღმდეგო ნორმატიული აქტის გამოყენებაზე უარის თქმის საკითხის გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტისას სასამართლო უფლებამოსილია ნაკლები იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტის იერარქიულად უფრო მაღალი დონის ნორმატიული აქტისადმი შესაბამისობის საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით და ასეთი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში უარი თქვას ნორმატიული აქტის გამოყენებაზე, მისი ფორმალური გაუქმების გარეშე (ინციდენტური კონტროლი). ამასთანავე, ის ნორმატიული აქტი, რომელიც შეუსაბამობის გამო არ იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ, ავტომატურად არ კარგავს ძალას და აგრძელებს მოქმედებას. სსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესის თანახმად, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას კანონის მიხედვით.

მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის აგრეთვე სადავო აქტებში მითითება საქართველოს მთავრობის 23.07.2012წ. №279 დადგენილებაზე, რომლითაც დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესი და პირობები“ არ

ვრცელდება ასაკობრივი პენსიის მიღებაზე უფლების მქონე პირებზე, რადგან აღნიშნული აქტით კონკრეტულად და ამომწურავად არის დადგენილი სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა წრე, ჩამოთვლილია სოციალური პაკეტის მიმღები სუბიექტები, კერძოდ: მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირები და სხვ. ამდენად, ფ. გ-ის პენსიის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად მთავრობის აღნიშნული დადგენილების მითითება მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ ფ. გ-ის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსია არ გაუტანია საბანკო ანგარიშიდან და არც ანაბრის ანგარიშზე გადარიცხვის მოთხოვნით მიუმართავს ბანკისათვის, წარმოადგენდა პენსიის გაცემის შეჩერების საფუძველს. ამასთანავე, საფუძვლის არსებობა თავისთავად არ ადასტურებს გასაცემლის შეჩერებას, შეჩერება საჭიროებდა აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი გადანყევტილების მიღებას, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფ. გ-ის არაერთი განცხადების (15.09.15წ., 17.09.15წ.) მიუხედავად, მას სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტის აქტები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ ჩაბარდა, ასეთი არც საქმის განხილვის მსვლელობისას ყოფილა წარმოდგენილი. კანონმდებლობით კომპეტენტური ორგანოსათვის პენსიის გაცემის შეწყვეტის დადგომის შეტყობინების შესახებ პენსიონერის ვალდებულების განსაზღვრა („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 12.2 მუხ.), ბანკის მიერ იმ პირთა სიის გადაგზავნა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის, რომლებსაც 6 თვის განმავლობაში არ აუღიათ თანხა, პირადი საპენსიო ანგარიშიდან სარგებლის გაცემის დადგენის შესაძლებლობა, სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლების დადგენა არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს გასაცემლის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლის არსებობისას ნორმატიული აქტის (გენერალური რეგულაციის) დებულების კონკრეტული შემთხვევისადმი მისადაგების, აღნიშნულთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტის გამოცემის და შეტყობინების ვალდებულებისაგან. საპენსიო კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე განსაკუთრებულ წესს, რის გამოც ამ სფეროზე მოქმედებს სზაკ-ის ნორმები წარმოების ჩატარების, აქტის გამოცემისა და მისი ადრესატისადმი გაცნობის შესახებ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, იგი არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.2007წ. №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ 1.1. მუხ., 2.1.მუხ.). სზაკ-ის 2.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო არის ადმინისტრაციული ორგანო. სზაკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე და დანესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად. შესაბამისად, სპეციალური რეგულაციის არარსებობის შემთხვევაში სააგენტოს საქმიანობაზე ვრცელდება სზაკ-ის ნორმები.

სზაკ-ის 51.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობითი ან ზეპირი ფორმით. ამასთანავე, უკეთეს ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან თუ აქტის წერილობითი ფორმით გამოცემას მოითხოვს და ინტერესებული მხარე, ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობითი ფორმით (სზაკ-ის 51.2 მუხ.). სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტა ზღუდავს მოსარჩელის სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. წერილობითი აქტის გამოცემა შესაძლოა განხორციელდეს როგორც მატერიალური დოკუმენტის სახით, ასევე მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით (სზაკ-ის 51.3 მუხ.), თუმცა ასეთ შემთხვევაში ორგანო უზრუნველყოფს აქტის კანონიერ ძალაში შესვლას ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობით. ამასთანავე, მმართველობის ღონისძიებების ეფექტურად, ორგანიზებულად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით, ორგანო არ არის შეზღუდული შეარჩიოს მხარის ინფორ-

მირების ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება და დაინტერესებული პირის ინფორმირება მოახდინოს ელექტრონულადვე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაძლოა მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს ჩაურევლად განხორციელდეს გარკვეულ მონაცემთა ელექტრონული დამუშავება და აქტის ავტომატურად შედგენაც კი, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული პირის ინფორმირების ვალდებულებისგან, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის ან საჯარო გამოქვეყნების შემდეგ (სზაკ-ის 54.1 მუხ.). უდავოა ორგანოს შესაძლებლობა კანონით კონკრეტულად განსაზღვრული მიზნით გამოიყენოს ელექტრონული დამუშავების პროგრამა როგორც მასობრივი ხასიათის ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მისაღებად, ასევე მათი ორგანიზებული გავრცელებისათვის, თუმცა ორგანოს ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფას არ უნდა ეწიროს აქტის ადრესატთა კანონიერი ინტერესები.

მოცემულ შემთხვევაში საერთოდ არ დასტურდება პენსიის გაცემის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ არათუ აქტის გაგზავნა, არამედ მისი გამოცემა. ამასთანავე, კანონმდებლობით არ არის დადგენილი, რომ პენსიის შეჩერების საფუძვლების წარმოშობა ან შეჩერების სიაში შეყვანა, ავტომატურად ნიშნავს მხარის ინფორმირებას. ის, რომ შეჩერების საფუძველი არსებობს, თავისთავად არ გულისხმობს პენსიის დარიცხვის შეჩერებას, პირის უფლებას აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და არა თავისთავად ასეთი აქტის გამოცემის საფუძვლების არსებობა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.12.09წ. №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულების“ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ცენტრი (განყოფილება) კანონმდებლობისა და ამ დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში დებულებას გადაწყვეტილებებს სახელმწიფო პენსიის დანიშვნის, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, განახლების ან დანიშვნაზე უარის თქმის თაობაზე, ამ უფლებამოსილების ფარგლებში ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განყოფილება, კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორ-

რის 27.09.07წ. №02/64 და 29.09.14წ. №04-305 ბრძანებით დამტკიცებულია სახელმწიფო პენსიის დანიშვნა-ცვლილების შესახებ სპეციალური ფორმა, რომლის გამოყენება სავალდებულოა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილებისათვის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის, გამოცემა.

სზაკ-ის მე-13, 95.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. საპენსიო კანონმდებლობა არ შეიცავს გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებამდე სზაკ-ით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გამომრიცხავ გარემოებებს. სზაკ-ის 54.1 მუხლის თანახმად, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს. მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა არც გაცნობას და არც გამოქვეყნებას. გამოქვეყნება ხდება კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში (სზაკ-ის 55-ე მუხ.). საქართველოს კანონმდებლობა პენსიის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოქვეყნებას არ ითვალისწინებს, სახელმწიფო გასაცემლების შეჩერება-შენწყვეტის შესახებ აქტები ძალაში შედის მათი ადრესატისათვის ჩაბარების დღიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერებიდან არ გასულა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონით (17.1 მუხ. „ზ“ ქვეპუნქტი) განსაზღვრულია სამწლიანი ვადა სახელმწიფო პენსიის შეწყვეტისათვის, შესაბამისად არ დასტურდება სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის კანონისმიერი საფუძვლის არსებობა.

ვინაიდან ფ. გ-ეს პენსია შეუჩერდა 2012 წლის ივლისიდან „ლიბერთი ბანკის“ სიის საფუძველზე (რადგანაც ფ. გ-ის პირადი ანგარიშიდან არ ხდებოდა საპენსიო თანხის გატანა), ხოლო პენსიის განახლებაზე ფ. გ-ემ მიმართა 05.12.2013წ., პენსია ფ. გ-ეს დაერიცხა სააგენტოსათვის მიმართვის მომდევნო თვიდან. „სახელ-

მნიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმნიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმნიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ №1 დანართის 8.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, პენსიის გაცემა შეჩერდება საქართველოს მოქალაქის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას (მე-16.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). ასეთ შემთხვევაში მისი გაცემის განახლება ხდება პენსიონერის მიერ კომპეტენტურ ორგანოში პენსიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის თვის მომდევნო თვეს, ანაზღაურდება წარსული დროის მიუღებელი თანხა, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან. მოსარჩელე მოითხოვს სახელმნიფო პენსიის შეჩერებიდან, კერძოდ 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის 1 ივლისამდე სახელმნიფო პენსიის ანაზღაურებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფ. გ-ეს მოთხოვნილი პერიოდის ორი თვის, კერძოდ 2012 წლის 1 ივლისიდან 2012 წლის 31 აგვისტომდე კუთვნილი სახელმნიფო გასაცემელი – 220 ლარი მიღებული აქვს. ორი თვის პენსიის მიღებას მოსარჩელეც ადასტურებს სასარჩელო განცხადებაში. ფ. გ-ემ დაზუსტებული სასარჩელით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობასთან ერთად მოითხოვა მიუღებელი პენსიის ანაზღაურება 2012 წლის ივლისიდან 2013 წლის ივლისამდე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფ. გ-ეს პენსიის დარიცხვა განუახლდა 2014 წლის 01 იანვრიდან. ფ. გ-ის ანგარიშიდან ამონაწერით დგინდება, რომ 13.01.2014წ. ფ. გ-ეს ანგარიშზე ჩაერიცხა 370 ლარი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ მიმართევებში მითითებულია და არც ფ. გ-ე უარყოფს, რომ აღნიშნული თანხა 2014 წლის იანვრის თვის პენსიასთან ერთად (150 ლარი) მოიცავდა 2012 წლის ივლისისა და აგვისტოს თვის პენსიებსაც (თვეში 110 ლარი). ამდენად, დაუსაბუთებელია მიუღებელი პენსიის ანაზღაურების შესახებ ფ. გ-ის მოთხოვნა 2012 წლის ივლისისა და აგვისტოს თვის პენსიის ანაზღაურების ნაწილში. შესაბამისად, მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ მოთხოვნილი არა ერთი წლის, არამედ ათი თვის, კერძოდ 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2013 წლის 1 ივლისამდე კუთვნილი სახელმნიფო პენსიის თანხა.

რაც შეეხება გასაჩივრებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.2015წ. №... წერილს, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცული მასალებით დგინდება,

რომ ფ. გ-ემ კუთვნილი პენსიის დარიცხვის განახლების მოთხოვნით სამჯერ (30.09.14წ., №...; 16.09.15წ., №...; 23.09.15წ. №...) მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის რაიონის სოციალური მომსახურების ცენტრს, რომელმაც სამივე შემთხვევაში არსებითად განიხილა სადავო საკითხი და განმცხადებელს უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (30.09.14წ.; 16.09.15წ., №...; 23.09.15წ. №...). ამასთანავე, არცერთი ზემოხსენებული აქტი არ შეიცავდა გასაჩივრების პირობებსა და ვადებს. სასკ-ის მე-12 მუხლის თანახმად, გასაჩივრების ვადის დინება დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ პროცესის მონაწილე პირს განემარტება გასაჩივრების შესაძლებლობა, ორგანოს ადგილმდებარეობა, გასაჩივრების ვადა და წესი. თუ მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ ან ეცნობა აღნიშნული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრება შეიძლება სასამართლო აქტის გამოტანიდან ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული საპროცესო-სამართლებრივი დანაწესი თავისი შინაარსით ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო წარმოების, არამედ აგრეთვე ადმინისტრაციული წარმოების პროცესზე. საქმის მასალების მიხედვით ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.09.15წ. №... წერილის ბათილად ცნობისა და განაცდურის საპენსიო ანაზღაურების დარიცხვის მოთხოვნით ფ. გ-ემ 06.10.15წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. 08.10.15წ. №... წერილით სააგენტომ საჩივრის ავტორს მოსთხოვა საჩივრის ერთთვიან ვადაში მიმართვის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა. საჩივრის ავტორის 19.10.15წ. №... განცხადებით მიმართვის მიუხედავად, სადაც ის განმარტავდა, რომ გასაჩივრების წესი ადმინისტრაციულ ორგანოს მისთვის არ განუმარტავს, სააგენტომ 23.10.15წ. №... წერილით უარი თქვა ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებაზე. შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.15წ. №... წერილი უკანონოა, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა მისი ბათილად ცნობის შესახებ.

სზაკ-ის 60¹.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სასკ-ის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის

პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო სასკ-ის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო აქტები გამოცემულია მატერიალური და ფორმალური კანონიერების მოთხოვნათა დარღვევით. სასკ-ის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. სასამართლო კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სადავო აქტები, ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის ივლისის თვემდე პერიოდის მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება.

სასკ-ის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსარჩელე, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 55.3 მუხლის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განუვალ ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე, 411-ე, 257-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ფ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.09.2016წ. გადაწყვეტილების გაუქმებით საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ფ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 23.10.2015წ. №04/81296 გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 23.09.2015წ. №04-05/8596 გადაწყვეტილება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს დაევალოს აუნაზღაუროს ფ. გ-ეს 2012 წლის სექტემბრიდან 2013 წლის ივლისის თვემდე პერიოდის მიუღებელი სახელმწიფო პენსია;

5. ფ. გ-ის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პენსიის თანხის ანაზღაურების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-92-91(კ-17)

18 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დაგალება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. კ-ემ 2015 წლის 17 სექტემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრისა და სსიპ სოციალუ-

რი მომსახურების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 23 ივნისის №04-02/3481 წერილისა და ამავე წერილზე წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №04/63333 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 1 წლის განმავლობაში მიუღებელი პენსიის სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2013 წლის 1 იანვრიდან დაენიშნა ასაკის პენსია. ახალი პირადობის მონიშვნის აღებისას გ. კ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ მისთვის ადრე გადაცემულ დოკუმენტებში მითითებული დაბადების თარიღი არ შეესაბამება დაბადების სააქტო ჩანაწერს, კერძოდ, დოკუმენტებში დაბადების თარიღად ნაცვლად 1946 წლისა შეცდომით მითითებულია 1947 წელი. აღნიშნული გარემოების არცოდნის გამო მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ასაკის გამო პენსიის დანიშვნის მოთხოვნით მიმართა 1 წლით გვიან – 2012 წელს, ნაცვლად 2011 წლისა და სრულიად არაბრალეულად დაკარგა 1 წლის პენსია. მიუღებელი პენსიის გადახდის თაობაზე მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 23 ივნისის წერილით, აღნიშნულ წერილზე წარდგენილი საჩივარი კი არ დაკმაყოფილდა ზემდგომი ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. კ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 23 ივნისის №... წერი-

ლი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილება; მოპასუხეებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გ. კ-ის სასარგებლოდ, ზიანის სახით, სოლიდარულად დაეკისრათ 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (თორმეტი თვის) პერიოდის პენსიის თანხის ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხეებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის სახით ერთი წლის მიუღებელი პენსიის ანაზღაურების დავალდებულების საფუძველი და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, აქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხეებმა ისე უთხრეს უარი მოსარჩელეს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებასა და ზიანის სახით ერთი წლის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე, რომ სათანადოდ არ გამოუკვლევიათ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღეს ამ გარემოებათა სწორად შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთა-

გან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. იმავე კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმების ანალიზის შედეგად სააკველაციო პალატა მიიჩნევს, რომ იმისათვის, რათა პირს (მათ შორის, ადმინისტრაციულ ორგანოს) დაეკისროს სხვა პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სახეზე უნდა იყოს შემდეგი პირობების ერთობლიობა: 1. რეალურად უნდა არსებობდეს ზიანი; 2. ზიანი უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო; 3. ზიანის მიყენებაში ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი; 4. პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა იყოს მიზეზობრივი კავშირი, ანუ ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ზიანის მიმყენებელი პირის ქმედების შედეგად.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტი ითხოვს მოპასუხეებს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მის სასარგებლოდ, ზიანის სახით, სოლიდარულად დაეკისროთ 2012 წლის 1 იან-

ვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (თორმეტი თვის) პერიოდის პენსიის თანხის ანაზღაურების ვალდებულება. მოსარჩელის მითითებით, მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ სააქტო ჩანაწერის მიხედვით მისი დაბადების თარიღს წარმოადგენს 10.12.1946 წელი, თუმცა შემდეგ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა (მის წინამორბედებმა) მისი დაბადების მოწმობის, ასევე მასზე პირადობის მოწმობისა და პასპორტის გაცემის დროს დაბადების თარიღად შეცდომით მიუთითეს 10.12.1947 წელი, ანუ ნაცვლად მოსარჩელის რეალური დაბადების წლის – „1946 წელსა“, მის მიმართ გაცემულ დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობასა და პასპორტში შეცდომით მითითებულია „1947“ წელი. მოსარჩელის მითითებით, მან თავისი დაბადების რეალური თარიღის (1946 წელი) შესახებ შეიტყო მხოლოდ მაშინ, როდესაც პირადობის ახალი მოწმობის მისაღებად მიაკითხა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ახალი მოწმობის გაცემის დროს სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა აღმოაჩინა, რომ არსებობდა შეუსაბამობა აპელანტისათვის ადრე გამოცემულ დოკუმენტებსა და მისი დაბადების სააქტო ჩანაწერს შორის, რაც მდგომარეობდა აპელანტის დაბადების წლის არასწორად მითითებაში, კერძოდ, 1946 წლის ნაცვლად დოკუმენტებში მითითებული იყო 1947 წელი. სამოქალაქო რეესტრის სამსახურმა გამოარკვია, რომ არასწორი მონაცემის შეტანას მის დოკუმენტებში სათავე დაუდო არასწორად შევსებულმა მისმა დაბადების მოწმობამ, რომელშიც დაბადების წლად მითითებული იყო 1947 წელი, ხოლო თავად ხსენებული დაბადების მოწმობა გაცემული იყო 1954 წელს ანუ როდესაც აპელანტი იყო 8 წლის. აპელანტის მითითებით, მას რომ თავიდანვე სცოდნოდა თავისი დაბადების ნამდვილი თარიღის (1946 წელი) შესახებ, მაშინ ის ერთი წლით ადრე მიმართავდა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს პენსიის დანიშვნის თაობაზე და არა ერთი წლის დაგვიანებით, რის შედეგადაც მან დაკარგა ერთი წლის პენსიის მიღების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოების შეცდომის – მისი დაბადების წლის არასწორად მითითების შედეგად მიყენებული ზიანის სახით ერთი წლის მიუღებელი პენსიის ანაზღაურებას 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის (თორმეტი თვის) პერიოდის ჩათვლით. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დაბადების მოწმობაში დაბადების თარიღის მარეგისტრირებული ორგანოს ბრალით შეცდომით დაფიქსირების შემთხვევაში მისი გასწორების ინტერესი და შესაძლებლობა მოსარჩელის მშობლებს გააჩნდათ, ასეთი გასწო-

რების განუხორციელებლობა კი მონაცემის არასწორად დაფიქსირებაში სწორედ მათ ბრალზე მეტყველებს, რაც გამორიცხავს მარეგისტრირებელი ორგანოს პასუხისმგებლობას ზიანის არსებობის შემთხვევაში. სააპელაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააქტო სასამართლოს მსჯელობას და მიიჩნევს, რომ აპელანტის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტი მხარის მსჯელობას და მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მშობლების მოვალეობას წარმოადგენდა საავადმყოფოდან (სამშობიაროდან) შესაბამის უფლებამოსილ მარეგისტრირებელ ორგანოში წარედგინათ ბავშვის დაბადების თარიღის შესახებ სწორი მონაცემები, ხოლო მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა ამ მონაცემების საფუძველზე სწორად შეეცსოთ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერი, ხოლო შემდეგ სწორი სააქტო ჩანაწერების საფუძველზე გაეცათ დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა და პასპორტი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სააქტო ჩანაწერის მიხედვით მოსარჩელის დაბადების წელი არის 1946 წელი, ხოლო მოგვიანებით მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობასა და პასპორტში მოსარჩელის დაბადების წლად არასწორად არის მითითებული 1947 წელი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ მარეგისტრირებელი ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერის საფუძველზე სწორად შეეცსო და გაეცა დაბადების მოწმობა, ხოლო მოგვიანებით პირადობის მოწმობა და პასპორტი. ამ მოვალეობის დაუდევარმა შესრულებამ და დაბადების მოწმობაში, პირადობის მოწმობასა და პასპორტში მოსარჩელის დაბადების წლად არასწორად 1947 წლის მითითებამ, ნაცვლად 1946 წლისა, გამოიწვია მოსარჩელის შეცდომა და მან ერთი წლით დაგვიანებით მიმართა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს პენსიის დანიშვნის თაობაზე, რის გამოც დაკარგა წინა ერთი წლის პენსიის მიღების უფლება. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა სააქტო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ უპირატესად მოსარჩელის მშობლების მოვალეობას წარმოადგენდა თვალყური ედევნებინათ სააქტო ჩანაწერიდან დაბადების მოწმობაში სწორი მონაცემების გადატანისათვის და შესაბამისად, ამ მოვალეობის დარღვევის გამო არ არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ბუნებრივია, რომ მოსარჩელის მშობლების მორალურ მოვალეობასაც წარმოადგენდა თვალყური ედევნებინათ შვილის სააქტო ჩანაწერიდან დაბადების მოწმობაში სწო-

რი მონაცემების გადატანისათვის, თუმცა სამართლებრივად სწორედ მარეგისტრირებული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენდა შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით, სწორად შეევსოთ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერი, ხოლო შემდეგ სწორი სააქტო ჩანაწერების საფუძველზე გაეცათ დაბადების მოწმობა, პირადობის მოწმობა და პასპორტი, რაც მათი მხრიდან დაუდევრად იქნა შესრულებული. რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის დათქმას იმის შესახებ, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი, განსახილველ შემთხვევაში, ამ ნორმის საფუძველზე შესაძლებელია ზიანი არ დაკისრებოდეთ მოპასუხეებს მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელეს საპენსიო ასაკის მიღწევამდე ეცოდიანებოდა მისი დაბადების ნამდვილი თარიღის შესახებ და არ შეეცდებოდა, გამოეხსნორებინა ეს უსწორობა. როგორც საქმის მასალებით ირკვევა და მოპასუხეებსაც არ მიუთითებიათ საწინააღმდეგო, მოსარჩელემ მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო ამ უსწორობის არსებობის თაობაზე, როდესაც უკვე მიმართული ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის პენსიის დაწინაურების თაობაზე. აღნიშნული კი გამორიცხავს მის ბრალეულობას, რომ იგი განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ეწინააღმდეგება სამართალს, ვინაიდან მიღებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რადგან ბრალის შემადგენლობა მოწინააღმდეგე მხარის (მოსარჩელე) სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოდან განხორციელდებოდა იმ შემთხვევაში თუ განხორციელდებოდა ზიანის მიყენება ანუ შემთხვევა, როდესაც „პირი სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებული მოქმედებით მიყენებს ზიანს. დელიქტის ზოგად განმარტებად კი შეიძლება მივიჩნიოთ „სამართალდარღვევა, მიმართული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც იწვევს კანონით“ თუმცა, დელიქტად ითვლება დარღვევა, რომელიც დაკავშირე-

ბულია არა ხელშეკრულების დარღვევასთან, არამედ ზიანის მიყენებასთან. ზიანის მიყენებაში კი იგულისხმება ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, ფიზიკური ტრავმა, ცილისნამება, პირადი თავისუფლების, საკუთრების უფლებისა და კომერციული ინტერესების შეზღუდვა. მოწინავე გერმანული ცივილისტიკა დელიქტად მიიჩნევს აკრძალულ მოქმედებას, დანაშაულებრივ მოთხოვნას. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით კი (სამართალშორის ნორმებს) უწოდებენ. სრულიად განსხვავებულ განმარტებას გვაძლევს საერთო სამართლის ქვეყნების სამართალი, სადაც დელიქტად მიჩნეულია მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს ადამიანის აბსოლუტურ უფლებებს, ზიანის მიმყენებელი იდენტიფიცირებულია და იგი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით. ამასთან, ზიანად მიჩნეულია არალიკვიდრებული ზიანი, რომელიც გამომდინარეობს ნდობის დარღვევიდან, ან სხვა თანაბარ მნიშვნელოვანი ვალდებულებების დარღვევით.

გარდა ამისა, მოსარჩელის მოთხოვნა არსობრივად წარმოადგენს ადმინისტრაციულ პროცესში ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ ცნებას, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნული გარემოების შესაბამისად: საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლით დადგენილია, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

კასატორი განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში ზიანის ანაზღაურება ნიშნავს პირთან წარმოშობილი ზიანის კომპენსაციას სხვა პირის მიერ. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, შესაძლებელია, შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულებით. სხვა შემთხვევაში, იგი განისაზღვრება სამართლებრივი მოწესრიგებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების და, მეორე მხრივ, დელიქტური ვალდებულებების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.

კანონით განსაზღვრული ყოველი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წინაპირობა არის, რომ იგი გამოწვეულია მა-

ვალდებულებელი გარემოების შედეგად (მიზეზობრიობა ან კაუზალობა). ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებასა და ზიანს შორის, ესე იგი, არსებულ მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც იარსებებდა, რომ არ განხორციელებულიყო ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი, რაც საერთოდ არ უკავშირდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, რადგან როგორც ადმინისტრაციული ორგანო, არ ადგენს მოქალაქის სამოქალაქო აქტის კანონშესაბამისობას შესაბამისად, სამართლებრივ ნონსენსს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, როდესაც სოციალური მომსახურების სააგენტოს სოლიდარულად დაეკისრა, ზიანის ანაზღაურების ფარგლებში 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, პერიოდის სახელმწიფო პენსიის ანაზღაურების ვალდებულება.

კასატორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებაზე №ას-507-481-2011 (ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი) ნ. კვანტალიანი, ვ. როინიშვილი – წევრები) საქმესთან დაკავშირებით, სადაც განმარტებულია რომ: „განსახილველი დავის საგნის გათვალისწინებით, ვინაიდან მხარე მოთხოვნას დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ურთიერთობაზე ამყარებს, მოცემული დავის მარეგულირებელ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი წარმოადგენს. დასახელებული ნორმის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება – ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი – ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტისა და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ბრალეული ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს. ამავე კოდექსის 412-ე მუხლით დადგენილია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოად-

გენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“. „ზიანის ფაქტის არსებობისა და ამ ზიანის მოპასუხის მიერ მიყენების ფაქტის მტკიცების თვალსაზრისით, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილებზე. მითითებული ნორმების თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მისი მოთხოვნის მართებულობა, რაც მან ამ მოთხოვნის დამადასტურებელი, კანონშესაბამისი და უტყუარი მტკიცებულების სასამართლოში წარდგენის გზით უნდა განახორციელოს იმგვარად, რომ მხოლოდ ზეპირი მითითებით არ შემოიფარგლოს. ამავე კოდექსის მე-4 მუხლით კი დაწესებულია, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამგვარად, მოსარჩელე, ერთი მხრივ, ვალდებულია დაადასტუროს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა, მეორე მხრივ, მას აქვს მტკიცებულებათა წარდგენის აბსოლუტური თავისუფლება, რაც სადავო ფაქტებს დაადასტურებს“. აღნიშნული გარემოებების ერთობლივი გათვალისწინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას, ვინაიდან მიღებულია კანონის დარღვევით, რადგან – სასამართლომ: ა) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; ბ) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; და ასევე გ) არასწორად განმარტა კანონი.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 მარტის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნე-

ულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონიშნების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ გ. კ-ეს ასაკის პენსია 2013 წლის 1 იანვრიდან დაენიშნა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 16 მაისის №01/2319/დ დასკვნით, მოქალაქე გ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის მიხედვით, მოქალაქის კანონიერ მონაცემად განისაზღვრა: დაბადების თარიღი – 1946 წლის ...; გ. კ-ის სახელზე გაცემული დოკუმენტები, სადაც მითითებული იყო დაბადების თარიღი – 1947 წლის 10 დეკემბერი, გაუქმდა არასწორი მონაცემის შემცველობის გამო. გ. კ-ემ 2015 წლის 10 ივნისს განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრს 1 წლის განმავლობაში – 2011 წლის ... 2012 წლის ... მიუღებელი პენსიის ანაზღაურების მოთხოვნით იმაზე მითითებით, რომ ამ პერიოდში პენსიის მიუღებლობა გამოიწვია სახელმწიფო ორგანოს მიერ დაბადების მონიშვნის გაცემისას უყურადღებო დამოკიდებულებამ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 23 ივნისის №... წერილით მოსარჩელე გ. კ-ეს განემარტა, რომ „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეს ან ამ საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს. გ. კ-ის სახელმწიფო გასაცემ-

ლის უზრუნველყოფის საკითხიც შესაბამისი გაცხადების წარდგენის შემდგომ განისაზღვრა, მიუხედავად მოგვიანებით გამოვლენილი გარემოებებისა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა გ. კ-ის ადმინისტრაციული საჩივარი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 23 ივნისის №... წერილზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული აქტებით მოპასუხეს უარი ეთქვა რა მიუღებელი პენსიის ანაზღაურებაზე, სახეზეა მის მიმართ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლებით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო აქტების შინაარსიდან გამომდინარე, მათი კანონიერების საკითხის გადანყვეტისათვის უნდა იქნეს შეფასებული, არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, სააგენტოს გააჩნდა თუ არა ვალდებულება, მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა პენსიის დაწესებამდე პერიოდში მიუღებელი პენსია.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოემოხა 60 წლიდან.

ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს. ამავე კანონის მე-14 მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადებას კომპეტენტური ორგანო განიხილავს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღისა; ამავე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) ინიშნება განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ განცხადება წარდგენილია პენსიაზე უფლების წარმოშობის თვეში ან შესაბამისი საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს და იგი აკმაყოფილებს ამ კანონით გათვალისწინებული პენსიის მიღების პირობებს. ამდენად, სოციალური მომსახურების სააგენტოს გააჩნია შესაძლებლობა, დანიშნოს პენსია მხოლოდ კანონით განსაზღვრული წინაპირობების დადგომის შემდეგ შესაბამისი განცხადების წარდგენის მომდევნო თვიდან და ამგვარი ვალდებულება მის მიერ განხორციელდა, როდესაც გ. კ-ეს 2012 წლის დეკემბრის თვეში წარდგენილი განცხადების საფუძველზე 2013 წლის 1 იანვრიდან დაენიშნა სახელმწიფო პენსია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მიუღებელი პენსიის ანაზღაურების ინტერესის დაკმაყოფილებას კანონმდებლობა უკავშირებს მასზე, როგორც ზიანზე პასუხისმგებლობის არსებობის საფუძველს. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქმედებაზე, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო ზიანის მიყენების საფუძველი მოსარჩელეს არ მიუთითებია. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო აქტები გამოტანილია კანონის შესაბამისად და მათი ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნას კანონიერი საფუძველი არ გააჩნია.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატის პრაქტიკაზე მიუთითებას და განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამო-

ქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა, სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. ამდენად, ზიანის მიყენებისათვის კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა შეამოწმოს ისეთი აუცილებელი პირობების არსებობა, როგორცაა მართლწინააღმდეგობა, ზიანი, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი მართლწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ამ უკანასკნელი პირობის არსებობას კი გამოორიცხავს ისეთი ვითარება, როცა ზიანის მიყენებისათვის არსებითია არა კონკრეტული ქმედება, არამედ ნებისმიერი სხვა ფაქტორის (სხვა პირის ბრალის, ფორსმაჟორული გარემოების და ა.შ.) არსებობა. მართლწინააღმდეგო ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ იმ პირს, ვისი ქმედების გამოც დადგა კანონსწინააღმდეგო შედეგი. თუ ზიანი პირის უშუალოდ მოქმედებით ან უმოქმედობით არ იქნება გამოწვეული, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა გამოორიცხულია.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილი გარემოებების მიხედვით, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების საფუძვლად სახელმწიფო ორგანოს მიერ დაბადების მოწმობის მონაცემის – დაბადების თარიღის არასწორად მითითებას მიიჩნევს. იმის გათვალისწინებით, რომ პირის დაბადების თარიღის თაობაზე ინფორმაცია წარმოადგენს მისი მშობლებისათვის (მეურვეებისათვის) კარგად ცნობილ ინფორმაციას, შესაბამისი მონაცემების დაბადების მოწმობაში ასახვისას მის სისწორეზე უპირატესი პასუხისმგებლობა სწორედ მშობლებს (მეურვეებს) ეკისრებათ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაბადების მოწმობაში დაბადების თარიღის მარეგისტრირებელი ორგანოს ბრალით შეცდომით დაფიქსირების შემთხვევაში მისი გასწორების ინტერესი და შესაძლებლობა მოსარჩელის მშობლებს გააჩნდათ, ასეთი გასწორების განუხორციელებლობა კი მონაცემის არასწორად დაფიქსირებაში სწორედ მათ ბრალზე მეტყველებს, რაც გამოორიცხავს მარეგისტრირებელი ორგანოს პასუხისმგებლობას ზიანის არ-

სებობის შემთხვევაში.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა, სააპელაციო სასამართლომ კი არასწორი შეფასება მისცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საკასაციო პალატის მიერ მიღებული ახალი გადაწყვეტილებით გ. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ს ი ტ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო სა-

ჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება;

3. გ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-149-147(2კ-17)

20 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 18 იანვარს ა. პ-ის წარმომადგენელმა – თ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, ის და დედამისი – ა. პ-ი 2009 წლის 2 ნოემბრიდან გახდნენ ისრაელის მოქალაქეები, ხოლო 2012 წლიდან აქვთ ორმაგი მოქალაქეობა. ა. პ-ი არის ხანდაზმული, ავადმყოფი პენსიონერი, რის გამოც შვილებმა წაიყვანეს ისრაელში სამკურნალოდ, სადაც მან დაჰყო 2012 წლის თებერვლამდე და ისრაელის ეროვნული დაზღვევის სამსახურის მიერ დანიშნული ჰქონდა პენსია, რომელსაც იღებდა 2012 წლის

იანვრის, თებერვლისა და მარტის თვეებში, იქამდე სანამ ისრაელიდან წამოვიდა. ისრაელში მასზე დახმარებისა და პენსიის გაცემა ოფიციალურად შეწყდა.

ისრაელის ეროვნული დაზღვევის სამსახურის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ძველი თბილისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარდგენის შემდეგ ა. პ-ს 2012 წლის შემოდგომაზე დაენიშნა მოხუცებულობის პენსია, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ხოლო ძველი თბილისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით ა. პ-ს 2015 წლის სექტემბრიდან შეუწყდა პენსიის დარიცხვა.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განცხადება მიღებულ იქნა დაინტერესებული პირის – ქ. ყ-ის განცხადების საფუძველზე ყოველგვარი შესწავლის გარეშე. ვინაიდან, ა. პ-ი იყო მძიმე ავადმყოფი, ოჯახმა აუყვანა მომვლელი ქ. ყ-ე, რომელსაც სხვადასხვა საჭიროებების არსებობის გამო ა. პ-მა 2014 წლის 16 სექტემბერს გაუფორმა მინდობილობა 2 წლის ვადით. გარკვეული დროის განმავლობაში ქ. ყ-ე კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას, ცხოვრობდა მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში ა. პ-თან ერთად.

მოსარჩელის მითითებით, 2015 წლის ზაფხულში ქ. ყ-ესა და თ. ხ-ს შორის მოხდა კონფლიქტი, რის შემდეგაც იგი პოლიციის დახმარებით გააძევა სახლიდან, რაზედაც დაემუქრა, რომ გადაუხდოდა სამაგიეროს. ამ მიზნით, 2015 წლის 21 აგვისტოს ქ. ყ-ე მივიდა ძველი თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრში, სადაც ისარგებლა ა. პ-ის მიერ მასზე გაცემული მინდობილობით (მინდობილობაში არ იყო მითითებული უფლებამოსილების მინიჭება პენსიის მოხსნის თაობაზე) და დაწერა განცხადება თითქოს ა. პ-ს ისრაელში დანიშნული ჰქონდა მოხუცებულობის პენსია და მოითხოვა საქართველოში დანიშნული პენსიის გაუქმება.

მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხემ ისე დააკმაყოფილა განცხადება და მიიღო გადაწყვეტილება პენსიის გაუქმების თაობაზე, რომ არ დაინტერესებულა ა. პ-ის პოზიციით, სურდა თუ არა მას პენსიის გაუქმება და სინამდვილეს შეესაბამებოდა თუ არა მოქალაქე ქ. ყ-ის განცხადება. მართალია, სააგენტომ მხედველობაში მიიღო ა. პ-ისგან მინდობილობის არსებობის ფაქტი, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ ეს შესაძლებელია ყოფილიყო ქ. ყ-ის პირადი ინიციატივა და ყოველგვარი გადამოწმების გარეშე გააუქმა სააგენტომ პენსიის გაცემა, რითაც მნიშვნელოვნად გაუარესდა მისი ფინანსური მდგომარეობა.

2015 წლის 3 ოქტომბერს ა. პ-მა ასევე გააუქმა ქ. ყ-ეზე გაცემული მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების განყოფილება. მოსარჩელემ ასევე მიმართა პოლიციის განყოფილებას საჩივრით. პოლიციის ჩარევის შემდეგ ქ. ყ-ემ ახალი განცხადებით მიმართა ძველი თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობას, სადაც აღიარა, რომ კონფლიქტი ჰქონდა ოჯახთან და აღლევების ნიადაგზე განცხადებით მიმართა სააგენტოს თითქოს ა. პ-ი 2014 წლის დეკემბრის თვითონ იღებდა პენსიას ისრაელში. ახალი განცხადებით, ქ. ყ-ე ამტკიცებდა, რომ ა. პ-ი არანაირ პენსიას ან დახმარებას არ იღებდა ისრაელის სახელმწიფოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის განმარტებით, დადგენილია, რომ ქ. ყ-ის პირველი განცხადება შეტანილი იყო შურისძიების მოტივით და მასში მოყვანილი გარემოებები არ ასახავდა სინამდვილეს. აღნიშნული განცხადება არის ახალი გარემოება, რომელიც არის საფუძველი, რომ ა. პ-ს აღუდგეს კუთვნილი პენსია. ვინაიდან, სააგენტოს მიერ პენსიის შეწყვეტის საფუძველი გახდა მხოლოდ და მხოლოდ ქ. ყ-ის განცხადება ყოველგვარი გადამონმების გარეშე. წარმოდგენილია ყ-ის განცხადება და შესაბამისად, აღნიშნული განცხადების საფუძველზე უნდა აღედგინათ პენსია ა. პ-ისათვის. რაც შეეხება ცნობას ისრაელიდან ა. პ-ის მიერ პენსიის მიუღებლობის თაობაზე, იგი ვერ წარადგინეს საპატიო მიზეზით, ვინაიდან ა. პ-ი 2012 წლის მარტის თვიდან აღარ ცხოვრობს ისრაელის სახელმწიფოში.

ძველი თბილისის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 7 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ა. პ-ისთვის პენსიის აღდგენა-დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის ა. პ-ის მიმართ პენსიის აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით ა. პ-

ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადანყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ა. პ-ის მიმართ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. პ-ს ასაკის გამო სახელმწიფო პენსია 2007 წლის 7 დეკემბერს დაენიშნა, 2009 წლის 1 ოქტომბერს მას პენსია ისრაელის მოქალაქეობის მიღების გამო შეუწყდა, 2012 წლის 30 აგვისტოდან კი პენსია კვლავ დაენიშნა ისრაელის სახელმწიფოდან პენსიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ცნობის წარდგენის საფუძველზე.

2015 წლის 21 აგვისტოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს ქ. ყ-ემ მიმართა განცხადებით ა. პ-ისათვის პენსიის შეწყვეტის მოთხოვნით იმაზე მითითებით, რომ ა. პ-ი პენსიას ისრაელში იღებდა. განცხადება ა. პ-ის მიერ ქ. ყ-ეზე გაცემულ მინდობილობასთან ერთად იქნა წარდგენილი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 26 აგვისტოს №... გადანყვეტილებით ა. პ-ს ქ. ყ-ის განცხადების საფუძველზე პენსია 2015 წლის 1 სექტემბრიდან შეუწყდა.

2015 წლის 1 ოქტომბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს ა. პ-ის წარმომადგენელმა – თ. ხ-მა მიმართა განცხადებით ა. პ-ისათვის პენსიის განახლების მოთხოვნით. განცხადება წარდგენილ იქნა მინდობილობასთან, პირადობის მოწმობის ასლსა და ქ. ყ-ეზე გაცემული მინდობილობის გაუქმების შესახებ აქტთან ერთად. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის №... გადანყვეტილებით ა. პ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე ისრაელში პენსიის მიუღებლობის შესახებ ცნობის წარდგენამდე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადანყვეტილებაზე ა. პ-ის წარმომადგენელმა – თ. ხ-მა საჩივარი შეიტანა, რომლითაც აღნიშნული გადანყვეტილების გაუქმება და ა. პ-ისათვის პენსიის აღდგენა მოითხოვა. სსიპ სოცი-

ალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ა. პ-ის წარმომადგენლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების შესაბამისად, „სახელმწიფო პენსიის“ შესახებ კანონის მე-12, მე-13, მე-17 მუხლებზე, ასევე, „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 და მე-9 მუხლებზე მითითებით მიჩნეულ იქნა, რომ ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერია, ვინაიდან ა. პ-ის მიერ ისრავლში პენსიის მიუღებლობის თაობაზე ცნობის წარუდგენლობის გამო არ არსებობდა მისთვის პენსიის დანიშვნის საფუძველი.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, ხოლო მის შესაბამისად სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემის დანიშვნა-გაცემის წესსა და პირობებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი ადგენს. „პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის საფუძველია პენსიის მიღებაზე უფლებამოსილი პირის განცხადება შესაბამისი მოთხოვნით.

სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსიის დანიშვნაზე გადაწყვეტილება მიიღება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად. ამავე წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება. მითითებული ნორმებიდან და გარემოებებიდან გამომდინარე, ა. პ-ის მიერ წარდგენილი განცხადება და მასზე დართული მასალები არ ქმნიდა საფუძველს ა. პ-ისათვის პენსიის აღდგენისათვის, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა ა. პ-ის წარმომადგენლის განცხადება ა. პ-ისათვის პენსიის აღდგენის შესახებ. ა. პ-ს პენსია 2015 წლის 26 აგვისტოს აქტით შეუწყდა სხვა სახელმწიფო-

ში პენსიის მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სააგენტოში წარდგენის შემდეგ, პენსიის აღდგენის მოთხოვნისას კი წარდგენილი არ ყოფილა ასეთი პენსიის მიუღებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, ამასთან, არ ირკვევა, რომ განმცხადებელმა პრეტენზია განაცხადა პენსიის შეწყვეტის შესახებ 2015 წლის 26 აგვისტოს აქტზე.

რაც შეეხება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს, აღნიშნულთან მიმართებაში საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ 2014 წლის 3 ნოემბრის განცხადებით მისმა ავტორმა მიუთითა, რომ ა. პ.-ს უკანონოდ შეუწყდა პენსია და არსებობდა ახალი გარემოებები, რომელიც შესაბამისი აქტის გაუქმებას განაპირობებდა. ამდენად, საჩივრის პრეტენზია მიმართული იყო პენსიის შეწყვეტის აქტის მიმართ ახალ გარემოებებზე მითითებით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის 3 ნოემბერს წარდგენილი განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებული იყო, გამოერკვია, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობდა განმცხადებლის პრეტენზია, რომელი აქტის გაუქმების ინტერესი გააჩნდა მას ან/და არსებობდა თუ არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კონკრეტული აქტის გაუქმების საფუძველი. დასახელებული საკითხების გამოკვლევისა და გადაწყვეტის ფაქტი საქმის მასალებიდან არ დასტურდება. ამასთან, მითითებული გარემოებების ხასიათიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამოსილი ორგანოს მიერ მათი სათანადო გამოკვლევისა და შეფასების შედეგად შესაძლოა საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება ყოფილიყო გამოტანილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ა. პ-მა.

აპელანტმა – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სააპელაციო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტმა – ა. პ-მა სააპელაციო საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინებით სსიპ მომსახურების სააგენტოსა და ა. პ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამავე კანონის შესაბამისად სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის დანიშვნა-გაცემის წესსა და პირობებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესი“ ადგენს.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პენსიის შეწყვეტის საფუძველია პენსიის მიღებაზე უფლებამოსილი პირის განცხადება შესაბამისი მოთხოვნით. სახელმწიფო პენსი-

ის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, პენსიის დანიშვნაზე გადწყვეტილება მიიღება „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ წესის შესაბამისად. ამავე წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 1 ოქტომბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის ა. პ-ის წარმომადგენელმა – თ. ხ-მა მიმართა განცხადებით ა. პ-ისათვის პენსიის განახლების მოთხოვნით. განცხადება წარდგენილ იქნა მინდობილობასთან, პირადობის მოწმობის ასლსა და ქ. ყ-ზე გაცემული მინდობილობის გაუქმების შესახებ აქტთან ერთად. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის №... გადწყვეტილებით ა. პ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე ისრაელში პენსიის მიუღებლობის შესახებ ცნობის წარდგენამდე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აპელანტი თავად აღნიშნავდა, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება „სოციალური პაკეტების განსაზღვრის შესახებ“ მცირე დამატებებით იგივე მოთხოვნებს აყენებს უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“.

ამასთან, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის – ა. პ-ის მოსაზრება მასზედ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი მიმართულია მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაკენ, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს კანონის მიზანს. კერძოდ, თუ რა მიზნით უნდა წარადგინოს პირმა ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლე-

ბა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეწონილი არ არის მოხდეს ნორმის გრამატიკული განმარტება, ვინაიდან კანონი პირთა წრეში – უცხო ქვეყნის მოქალაქე მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებად, რომლებსაც შემდგომ მიენიჭათ სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით ცალსახაა, რომ ა. პ-ის მიერ წარდგენილი განცხადება და მასზე დართული მასალები არ ქმნიდა ა. პ-ისათვის პენსიის აღდგენის საფუძველს. ამდენად, სახეზე არ იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წინაპირობები. პალატამ ასევე გაიზიარა სასამართლოს დასკვნას მასზედ, რომ 2015 წლის 3 ნოემბერს წარდგენილი განცხადების განმხილველი ორგანო ვალდებული იყო გამოერკვია, თუ კონკრეტულად რაში მდგომარეობდა განმცხადებლის პრეტენზია, რომელი აქტის გაუქმების ინტერესი გააჩნდა მას ან/და არსებობდა თუ არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კონკრეტული აქტის გაუქმების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ა. პ-მა.

კასატორი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით: „თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (მიღებულია 2005 წლის 24 ივნისის №1801-რს): „განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძველად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსე-

ბობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას“.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ (მიღებულია 2005 წლის 23 დეკემბერს №2442-რს) საქართველოს კანონი არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. კანონმდებლობა პენსიის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. ამავე კანონის მე-13 მუხლის მიხედვით: „პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს, პენსიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, საპენსიო დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე პენსიის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით“.

შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, ამ ორი საკანონმდებლო აქტის კოლიზიის შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით.

კასატორის მითითებით, 2006 წლის 10 თებერვალს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ გამოცემულ იქნა №46/ნ ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის მხოლოდ ფულადი გასაცემლის (შემდგომში – პენსია) დანიშვნისა და გაცემის წესსა და პირობებს, რაც გულისხმობს პენსიის ფულადი ნაწილის დანიშნავაცემისათვის საჭირო მთელი ორგანიზაციული ციკლის რეგულირებას, ადგენს პენსიის ადმინისტრირების კომპეტენტურ ორგანოს, არეგულირებს პენსიის ფულადი ნაწილის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. წესი ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე, აგრეთვე, პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. აღ-

ნიშნული წესის მიხედვით: პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა. განცხადებას თან უნდა დაერთოს მაძიებლის მომართვის შემთხვევაში – მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში – დამატებით, კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. უცხო ქვეყნის მოქალაქემ პენსიის დანიშვნისათვის სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება და ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ (შემდგომში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრება. უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

კასატორის მითითებით, უდავო ფაქტია ის გარემოება, რომ მონინალმდეგე მხარეს (მოსარჩელე) შეწყვეტილი აქვს სახელმწიფო გასაცემელი, ასევე ის გარემოებაც, რომ იგი ორი სახელმწიფოს მოქალაქეა: საქართველოს და ისრაელის, შესაბამისად, შეწყვეტილი სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნისას ადმინისტრაციული ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანინალმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება და უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

შესაბამისად, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების საფუძველზე და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

კასატორმა – ა. პ-მა საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია ის გარემოება, რომ ა. პ-მა ისრაელიდან ჩამოსვლის შემდეგ პენსიის დანიშვნისათვის კანონით დადგენილი წესით წარადგინა ცნობა აპოსტილით დადასტურებული, რომ პენსიას აღარ იღებდა ისრაელის სახელმწიფოში. სასამართლოებს არც ის ფაქტი დაუდგენიათ, რომ ა. პ-ი ისევ საქართველოს მოქალაქეა. პენსიის მიღება შეუწყდა მხოლოდ და მხოლოდ მისი მომვლელის ქ. ყ-ის უკანონო, ცრუ განცხადების საფუძველზე. მოპასუხისათვის არანაირი ახალი გარემოება არ არსებობდა, რომ ხელახლა მოეთხოვათ მისთვის ცნობის წარდგენა.

კასატორის განმარტებით, პენსიის შეწყვეტა ხდება პირადი განცხადების საფუძველზე და არა გაურკვეველი მიმდობილობის საფუძველზე, რომლის გამოყენებითაც შეილახა მისი კონსტიტუციური უფლება პენსიის მიღების თაობაზე. ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე შეუწყვიტა პენსია, რომ არ გამოიკვლია, სურდა თუ არა მას ეს და არ გადაამოწმეს ისრაელის სახელმწიფოსგან კვლავ იღებდა თუ არა პენსიას.

კასატორის მითითებით, მეორე განცხადებით ქ. ყ-ემ აღიარა, რომ ბოროტი განზრახვით თქვა ტყუილი და აქედან გამომდინარე, მან მიმართა სააგენტოს არა სოციალური პაკეტის დანიშვნაზე, რომლისთვისაც საჭირო იყო ცნობა, არამედ პენსიის აღდგენას მიუღებელი თვეების მიხედვით. იგი ითხოვდა არა პენსიის დანიშვნას, არამედ პენსიის აღდგენას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და ა. პ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ა. პ-ის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების

სააგენტოსა და ა. პ-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2007 წლის 7 დეკემბრიდან ა. პ-ს დაენიშნა ასაკის გამო სახელმწიფო პენსია, ხოლო 2009 წლის 1 ოქტომბერს ისრაელის მოქალაქეობის მიღების გამო შეუწყდა, 2012 წლის 30 აგვისტოდან კი პენსია კვლავ დაენიშნა ისრაელის სახელმწიფოდან პენსიით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ცნობის წარდგენის საფუძველზე.

2015 წლის 21 აგვისტოს ა. პ-ის მარნმუხებელმა ქ. ყ-ემ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს და ა. პ-ისათვის პენსიის შეწყვეტა მოითხოვა, იმ საფუძველით, რომ ა. პ-ი პენსიას ისრაელში იღებდა. განცხადებას ერთვოდა ა. პ-ის მიერ ქ. ყ-ეზე გაცემული მინდობილობა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 26 აგვისტოს №... გადაწყვეტილებით ა. პ-ს ქ. ყ-ის განცხადების საფუძველზე შეუწყდა პენსია 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

2015 წლის 1 ოქტომბერს ა. პ-ის წარმომადგენელმა თ. ხ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრს ა. პ-ისათვის პენსიის განახლების მოთხოვნით. განცხადება წარდგენილ იქნა მინდობილობასთან, პირადობის მოწმობის ასლსა და ქ. ყ-ეზე გაცემული მინდობილობის გაუქმების შესახებ აქტთან ერთად. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის №4902-15/02 გადაწყვეტილებით ა. პ-ს უარი ეთქვა სახელმწიფო პენსიის დანიშვნაზე ისრაელში პენსიის მიუღებლობის შესახებ ცნობის წარდგენამდე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე ა. პ-ის წარმომადგენელმა თ. ხ-მა საჩივარი შეიტანა, რომლითაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ა. პ-ისათვის პენსიის აღდგენა მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ა. პ-ის წარმომადგენლის საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების შესაბამისად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-12, მე-13, მე-17 მუხლებზე, ასევე, „სახელმწიფო პენსი-

ის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-5 და მე-9 მუხლებზე მითითებით, ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება კანონიერად იქნა მიჩნეული, ვინაიდან ა. პ-ის მიერ ისრაელში პენსიის მიუღებლობის თაობაზე ცნობის წარუდგენლობის გამო არ არსებობდა მისთვის პენსიის დანიშვნის საფუძველი.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა წარმოადგენს. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმებას მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძველით, რომ მას პენსიის მიღება შეუწყდა მისი მინდობილი პირის – ქ. ყ-ის ცრუ განცხადების საფუძველზე და იგი ისრაელში პენსიას იღებდა მხოლოდ 2012 წლამდე, საქართველოში ჩამოსვლამდე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქალაქო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 21 დეკემბრის №... გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა. პ-ის წარმომადგენლის საჩივარი ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, ხოლო სარჩელი ძველი თბილისის მომსახურების ცენტრის 2015 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულთა მიერ სოციალური დაცვით უფლებით რაც შეიძლება დიდხანს სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებულიებას იღებს უზრუნველყონ ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოებრივ სრულფასოვან ნევრებად, რაც შეიძლება მეტი

ხნით, რაც მაგალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოიხატება, სათანადო სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად ნესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. პენსიის მიღებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობები რეგულირდება ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია პენსიის შეწყვეტის წესი და პირობები, კერძოდ, 1-ლი პუნქტის თანახმად, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე

პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს.

პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, შეწყვეტის, განახლებისა და გადაანგარიშების წესი რეგლამენტირებულია ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“, რომლის მე-5 მუხლის შესაბამისად, 1. პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ორგანოს, მიუხედავად მაძიებლის რეგისტრაციის ადგილისა; 2. განცხადებას თან უნდა დაერთოს მაძიებლის მობართვის შემთხვევაში – მაძიებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონიერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში – დამატებით, კანონიერი წარმომადგენლის პირადობისა და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; 3. უცხო ქვეყნის მოქალაქემ პენსიის დანიშვნისათვის სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის თაობაზე, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება და ასევე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ (შემდგომში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) გაცემული საინფორმაციო ბარათი, რომლითაც დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრება; 4. საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირმა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის შესახებ; 5. უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს მოქალაქეობა, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ ის არ იღებს პენსიას მეორე ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტავს,

რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მითითებული მუხლით რეგლამენტირებული სასამართლო-სათვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილება – უარი თქვას სადავო საკითხის მოწესრიგებაზე და აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს იმავე საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არ წარმოადგენს უპირობო და შეუზღუდავ უფლებამოსილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა და სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადანყვეტილება მიღებული. ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი.

ამდენად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების კომპეტენცია სასამართლოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისა და სადავო საკითხის გადანყვეტაზე უარის თქმის პროცესუალური წინაპირობა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-

4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციული აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შეზღუდული არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს სრული პროცესუალური უფლებამოსილება ჰქონდა თავად გადაწყვეტა დავა და ა. პ-ის მოთხოვნის ფარგლებში შეემონებინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერება, რამდენადაც გასაჩივრებული აქტის მიღებისას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არ იყო დარღვეული აქტის გამოცემის ის პროცედურები, რაც უპირობოდ შექმნიდა საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობას; ხოლო თუ დავის გადაწყვეტისას სასამართლო საჭიროდ მიიჩნევდა გარკვეული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას ან დადგენას, შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული საპროცესო კომპეტენციით და თავად მოეპოვებინა მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რატომ იყო შეზღუდული თავად გამოეკვლია ისინი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ კანონიერებაზე, გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებთან და კანონმდებლობასთან მის შესაბამისობაზე; რამდენადაც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, იკვეთება არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე იმ ფაქტობრივი გარემოებების მოპოვების, დადგენის თუ გამოკვლევის საჭიროება, რისი შესაძლებლობაც შესაძლოა აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნდეს, არამედ, უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ მათი სწორი სამართლებრივი შეფასება და გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მატერიალური კანონიერების შემოწმება, რისი უფლებამოსილებაც უპირობოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილია ისრაელის ეროვნული დაზღვევის სამსახურის წარმომადგენლის ცნობა პენსიით/დახმარებით უზრუნველყოფის უფლების შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ პენსიონერ ა. პ-ს მოხუცებულობის საგანგებო პენსია ისრაელში უნაზღაურდებოდა 01/11/2009-დან 01/04/2012-მდე და ჯანმრთელობის დაზღვევის თანხა დაიქვითა პენსიიდან 01/052010-01/04/2012 პერიოდში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა შეისწავლოს და შეაფასოს საქმეში არსებული ზემოაღნიშნული ცნობა და თუ დამატებით საჭიროდ მიიჩნევს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, თავად გამოითხოვოს მტკიცებულებები შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან. სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა ისარგებლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით და ოფიციალობის პრინციპიდან გამომდინარე მოიპოვოს მტკიცებულებები და მათი შეფასების შემდეგ გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ა. პ-ის საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. მოცემული საქმე სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილულ უნდა იქნეს არსებითად და სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მითითებულ გარემოებებზე საქმეზე კანონიერი გადაწყვეტი-

ლების დადგენის მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ა. პ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 19 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერების და შეწყვეტის კანონიერება

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-575-572(კ-17)

30 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 15 მარტს ნ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მი-

მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, მას სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, რომელიც ერიცხებოდა სს „...“ გახსნილ საბანკო ანგარიშზე. მისთვის ცნობილი არ იყო ის გარემოება, რომ კუთვნილი საპენსიო თანხა ყოველთვიურად უნდა გაეტანა. აღნიშნულს ფიზიკურადაც ვერ შეძლებდა, ვინაიდან მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილი იყო შუახევი, სოფელი ..., სადაც არ ფუნქციონირებდა კომერციული ბანკები. ამასთან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო.

მოსარჩელის განმარტებით, მას კუთვნილი სახელმწიფო პენსია არ მიუღია 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნ. ბ-ემ 2016 წლის 2 თებერვალს განცხადებით მიმართა მოპასუხეს და მოითხოვა მიუღებელი პენსიის შესახებ ინფორმაციის გაცემა, ასევე მოითხოვა მისთვის გაუცემელი საპენსიო თანხების ანაზღაურება. 2016 წლის 16 თებერვალს, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაიცა №... აქტი, რომლითაც განემარტა, რომ არ არსებობდა ნ. ბ-ისათვის 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით საპენსიო თანხის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... მომართვის ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით, სრულად ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... წერილი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით, მოსარჩელე ნ. ბ-ისათვის სრულად ანაზღაურება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის (80 ლარი სახელმწიფო პენსია, 4 ლარი შრომის სტაჟის დანამატი) ოდენობით. 2012 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის

თანახმად, მას შეუჩერდა სახელმწიფო პენსია, სს „...“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“. ნ. ბ-ემ განყოფილებას სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო პენსია, 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე, დაერიცხა 832 ლარის ოდენობით, სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... წერილის თანახმად, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ-ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №... წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირობების, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) სა-

პენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო პენსიის შეესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებდა პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავდა პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენდა პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული კანონის მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განმარტებული იყო კომპეტენტური ორგანოს ცნება. კერძოდ, კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს მიზნები იყო მოსახლეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და მისი განხორციელების ხელშეწყობა, ხოლო მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს ფუნქციებს და უფლებამოსილებებს – „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების განხორციელება წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანი იყო საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის (შემდგომ – პენსია) დაწესება არსებული რესურსების ფარგლებში. ამავე კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებდა პენსიის შეჩერება/განახლების საფუძველებს. კერძოდ, მითითებული მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდებოდა ამ საფუძველის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამავე კანონის მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი განსაზღვრავდა პენსიის შეწყვეტის საფუძველებს, კერძოდ, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდებოდა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძველის წარმოშობის

მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ იყო განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდებოდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობდა.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონმდებლობა პენსიის შესახებ შედგებოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანება „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ დანართი №1 მე-8 მუხლით განსაზღვრული იყო პენსიის შეჩერება/განახლების საფუძველები, კერძოდ, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეჩერდებოდა პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის შემთხვევაში, ანუ როდესაც არ ხდებოდა მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია საპენსიო ასაკის გამო დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, რომელიც შეუჩერდა 2012 წლის 1 იანვრიდან ზედიზედ 6 თვის განმავლობაში სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო. ასევე, დადგენილია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... წერილით, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ-ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №... წერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების

თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირობების, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლებოდა შეწყვეტილად და აუნაზღაურდებოდათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნებოდა განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა „საპენსიო პაკეტით“ განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთან, აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების მოთხოვნაზე უარი ეთქვა, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მოტივით.

საქმის მასალებით დადგენილია და მოსარჩელეც არ ხდოდა სადავოდ იმ გარემოებას, რომ მას არ მიუმართავს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამისი მომსახურების ცენტრისათვის ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფო პენსიის მიღების მოთხოვნით და მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, რაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე არ ქმნიდა მისთვის სახელმწიფო პენსიის შეწყვეტის საფუძველს. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, რომ პირის მიერ საბანკო ანგარიშიდან ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში არ ხდებოდა თანხის გატანა, არ შეიძლებოდა გამხდარიყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გარკვეული

პერიოდით პირისათვის კანონით მინიჭებული უფლების – სახელწიფო პენსიის მიღების უფლების წართმევის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ამგვარი შემთხვევებისათვის სპეციალურ ვადას აწესებდა, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, პენსია შეწყდებოდა პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავდა ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების იურიდიული ძალა განისაზღვრებოდა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ორგანოთა (თანამდებობის პირთა) იერარქიის შესაბამისად. ამავე კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოცემულიყო მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა ყოფილიყო, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობდა „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებასთან მიმართებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელე ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის ოდენობით. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „...“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“, ნ. ბ-ეს 2012 წლის 1 იანვრიდან შეუჩერდა სახელმწიფო პენსიის გაცემა. სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის განყოფილებას ნ. ბ-ემ სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, რის საფუძველზეც მის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო პენსია დაერიცხა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე, რის შედეგადაც მიუღებელი გასაცემლის თანხამ შეადგინა 832 ლარი. 2016 წლის 2 თებერვალს ნ. ბ-ის წარმომადგენელმა №... წერილით მიმართა სოციალური მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა საპენსიო თანხების – 2012 წლის 01 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით, სრულად ანაზღაურება. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... მიმართვით განმცხადებელს ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ნ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე (მუხლი 12), იმ პირებისათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამ-

დე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ, საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა საპენსიო პაკეტით განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით, რის გამოც ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნია.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელით მოთხოვნილია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... მომართვის ბათილად ცნობა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის განყოფილებისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით ანაზღაურების დაკისრება (მოთხოვნა მითითებულ ნაწილში დაზუსტდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე).

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესში ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლების არსებობის თაობაზე ემყარებოდა შესაბამისი სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების არასწორ განმარტებას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პენსიონერს უფლება ჰქონდა: ა) მიეღო პენსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) დამატებით მიეღო სოციალური დახმარებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; გ) ესარგებლა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით. იმავე „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული იყო სახელმწიფო პენსიის შეჩერების საფუძვლები. აღნიშნული კანონის (2012 წლის 1 სექტემბრამდე რედაქციით) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავდა, რომ პენსიის გაცემა შეჩერდე-

ბოდა საქართველოს მოქალაქის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პენსიის გაცემის შეჩერების ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მისი გაცემა განახლდებოდა პენსიონერის მიერ კომპეტენტურ ორგანოში პენსიის გაცემის განახლების თაობაზე განცხადების შეტანის თვის მომდევნო თვეს და ანაზღაურდებოდა მის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის გაცემის შეჩერების დღიდან. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში 2012 წლის 22 ივნისის №6550 კანონით შევიდა ცვლილება, რის შედეგადაც 2012 წლის 1 სექტემბრიდან მითითებული კანონის მე-16 მუხლი ამოქმედდა შემდეგი რედაქციით: პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდებოდა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან: ა) პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას; ბ) პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისას. პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) განახლდებოდა მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და ანაზღაურდებოდა მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან: ა) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პენსიონერის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის პენსიის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ; ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების“ (2012 წლის 1 სექტემბრამდე რედაქციით) მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განისაზღვრა: ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მიზნებისათვის 2012 წლის 1 სექტემბრამდე დანიშნული შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის „საპენსიო უზრუნველყოფისა“ და „სოციალური დაცვის“ პროგრამული კოდებით დაფინანსებული რაიმე სახის ყოველთვიური ფულადი გასაცემების (გარდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა, სახელმწიფო კომპენსაციისა, საარსებო, რეინტეგრაციის, დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობისა) ჯამური ოდენობის გამოთვლისას, აგრეთვე, გათვალისწინებული იქნეს ყველა ის გასაცემე-

ლი (გარდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიისა, სახელმწიფო კომპენსაციისა, საარსებო, რეინტეგრაციის, დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობისა), რომლის გაცემაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეჩერებულია არა უმეტეს 6 თვის განმავლობაში. ამ შემთხვევაში „საპენსიო პაკეტი“ ფულადი გასაცემლის სახით შეჩერებულად ითვლება, და თუ განახლება არ განხორციელდა 2013 წლის 1 იანვრამდე, მაშინ პენსია შეწყდება. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №48/6 ბრძანების „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: გარდამავალ ეტაპზე, გასული პერიოდის მიუღებელი თანხა ანაზღაურდება შემდეგი სახით: იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმეტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს სააგენტოს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ზემოაღნიშნული მუხლის დანაწესს და აღნიშნავს, რომ ნ. ბ-ეს სახელმწიფო პენსიის გაცემა შეუჩერდა 2012 წლის 1 იანვრიდან. ნ. ბ-ემ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუახვევის განყოფილებას სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს, ანუ 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ, რის შედეგადაც მასზე გაიცა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდზე მიუღებელი გასაცემელი და გასაცემლის დარიცხვა განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, რაც სრულად შეესაბამებოდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების შესახებ“ (ამ პერიოდისათვის მოქმედი რედაქციით) მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოპასუხისათვის მოსარჩელის საარგებლოდ კუთვნილი საპენსიო თანხების – 2012 წლის 1 სექ-

ტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების არსებობის თაობაზე, რამდენადაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი შეჩერებული პენსიის განახლების პირობებში დასაშვებად თვლიდა არა უმეტეს ერთი წლის პენსიის მიუღებელი თანხის ანაზღაურებას. ამდენად, ზემოაღნიშნული გარდამავალი დებულებების არარსებობის პირობებშიც კი, მოსარჩელის მოთხოვნა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მას ანაზღაურებული ჰქონდა მიუღებელი 9 თვიანი პერიოდი, შესაძლოა ეფუძნებოდეს მხოლოდ 3 თვის გასაცემლის მოთხოვნას. სააპელაციო სასამართლომ აქვე გაითვალისწინა ის პრინციპი, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფოს უფლებას – მოეხდინა სოციალური რეგულაციების დადგენა, მათი კორექტირება, რაც დამოკიდებული და განპირობებული იყო სახელმწიფო შესაძლებლობებით და სოციალური ბალანსის დადგენის საჭიროებით და მიიჩნევდა, რომ სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი უარყო გარდამავალი დებულებების მოთხოვნები, განემარტა, რომ ადგილი ჰქონდა პენსიის შეჩერებას და არა შეწყვეტას და სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების გზით აენაზღაურებინა თუნდაც მითითებული 3-თვიანი პერიოდი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საკაცო წესით გაასაჩივრა ნ. ბ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. მითითებული კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია და სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დაწესება არსებული რესურსების ფარგლებში. ამავე კანონის მე-4 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით განმარტებულია კომპეტენტური ორგანოს ცნება, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. საა-

პელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პენსიის შეჩერება/განახლების საფუძვლებს. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას, პენსია შეჩერდება ამ საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ასევე პენსიის შეწყვეტის საფუძვლებს.

კასატორის მითითებით, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, კანონმდებლობა პენსიის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. თუ კანონი ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციასა და ასევე საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, მაშინ სასამართლომ განვეთილება უნდა მიიღოს არა უკანონო კანონებზე დაყრდნობით, არამედ სამართლიანობის ზოგადი წესებიდან გამომდინარე.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანება „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ დანართი №1 მე-8 მუხლი, რომლითაც განსაზღვრულია პენსიის შეჩერება/განახლების საფუძვლები, კერძოდ, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეჩერდება პენსიონერის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობის შემთხვევაში, ანუ როდესაც არ ხდება მისი კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გატანა ზედიზედ 6 თვის განმავლობაში. აღნიშნული ბრძანება ეწინააღმდეგება კანონს და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სპეციალური კანონი და არა უკანონო კანონქვემდებარე აქტი. მხოლოდ ის გარემოება, რომ პირის მიერ საბანკო ანგარიშიდან ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ ხდებოდა თანხის გატანა, არ შეიძლება გახდეს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, გარკვეული პერიოდით პირისათვის კანონით მინიჭებული უფლების – სახელმწიფო პენსიის მიღების უფლების წართმევის

საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როცა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ამგვარი შემთხვევებისთვის სპეციალურ ვადას აწესებს, რომ პენსია შეწყდება პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთთან გააიგივა პენსიის შეჩერებისა და პენსიის შეწყვეტის საკითხები. მოცემულ შემთხვევაში პენსიის შეწყვეტა მოხდა უკანონოდ. ამის თაობაზე მოპასუხეს არ მიუღია რაიმე ადმინისტრაციული აქტი. ეს გარემოება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს იძლევა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ იგი პენსიონერია, დაავადებულია და გადის მკურნალობის კურსს. იგი ცხოვრობს შუახევის რაიონში, სოფელ ..., რომელიც დაბიდან 32 კილომეტრითაა დაშორებული. სოფელში არ ფუნქციონირებს ბანკომატები და არ არის ბანკის ფილიალები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... ნერილი და მოპასუხეს უნდა დაევალოს მოსარჩელის კუთვნილი საპენსიო თანხის – 2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით, მოსარჩელისათვის სრულად ანაზღაურება, ვინაიდან საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დადასტურებულია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით მიადგა პირდაპირი და უშუალო ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელა-

ციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, არ ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ გამოკვლევას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კასატორი – ნ. ბ-ე წარმოადგენს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის სუბიექტს, რომელსაც სახელმწიფო პენსია დაენიშნა 2011 წლის 1 მარტიდან, თვეში 84 ლარის ოდენობით. 2012 წლის 1 იანვრიდან „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სს „...“ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მას შეუჩერდა სახელმწიფო პენსია „ზედიზედ 6 თვის განმავლობაში ბენეფიციარის მხრიდან სახელმწიფო გასაცემლის მიუღებლობის გამო“. ნ. ბ-ემ ადმინისტრაციულ ორგანოს სახელმწიფო პენსიის განახლების მოთხოვნით, განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის დარიცხვა, „სახელმწიფო პენსიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განახლდა 2014 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო მიუღებელი გასული პერიოდის სახელმწიფო პენსია დაერიცხა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 სექტემბრამდე – 832 ლარის ოდენობით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... ნერილის თანახმად, ნ. ბ-ის წარმომადგენელს – რ. ფ-ეს მისი 2016 წლის 2 თებერვლის №... ნერილის პასუხად ეცნობა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს №01-48/ზ ბრძანებით „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, იმ პირთათვის, რომლებმაც 2012 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით არა უმე-

ტეს 6 თვის პერიოდით შეჩერებული პენსიის განახლების მოთხოვნით მიმართეს 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ – 2012 წლის 1 სექტემბრიდან პენსია ითვლება შეწყვეტილად და აუნაზღაურდებათ მხოლოდ 2012 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი კანონმდებლობით კუთვნილი გასაცემლები. შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ საპენსიო პაკეტი ინიშნება განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების სააგენტოში წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ბ-ემ სააგენტოს შუახვევის რაიონულ განყოფილებას პენსიის განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა 2014 წლის 6 იანვარს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2014 წლის 1 თებერვლიდან მას განუახლდა „საპენსიო პაკეტით“ განსაზღვრული ფულადი გასაცემელი – 150 ლარის ოდენობით, ამასთანავე, აუნაზღაურდა 2012 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე მიუღებელი სახელმწიფო გასაცემელი – 832 ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ბ-ისათვის გასული პერიოდის (2012 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის იანვრის თვის ჩათვლით) საპენსიო თანხების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი სააგენტოს არ გააჩნდა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 16 თებერვლის №... ნერილის კანონიერების დადგენა წარმოადგენს. სადავო აქტის გაუქმებას მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძველით, რომ პენსიის შეწყვეტა მოხდა უკანონოდ. სააპელაციო სასამართლომ ერთმანეთთან გააიგივა პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ამის თაობაზე არ მიუღია რაიმე ადმინისტრაციული აქტი. შესაბამისად, პენსიის შეჩერებაც იყო უკანონო, რაც, კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პენსიის მიღება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, პირის ძირითად სოციალურ უფლებათა ჯგუფს განეკუთვნება. 1996 წლის 3 მაისის ევროპის სოციალური ქარტიის 1-ლი ნაწილის 23-ე პუნქტის მიხედვით, ხელმომწერი მხარეები (სახელმწიფოები) აღიარებენ ხანდაზმულ პირთა მიმართ სოციალური დაცვით სარგებლობის უფლებას, ხოლო მე-2 ნაწილის 23-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულ პირთა მიერ სოციალური დაცვის უფლებით სარგებლობის მიზნით სახელმწიფო ვალდებული იქნება უზრუნველყოს ხანდაზმულთა დარჩენა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად, რაც შეიძლება დიდხანს. მა-

გალითად, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გამოიხატება ადეკვატური სახსრების გამოყოფით, რაც საშუალებას მისცემს მათ იცხოვრონ ღირსეულად და აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

პენსიის მიღების უფლება წარმოადგენს პირის საჯარო სუბიექტური უფლების ერთ-ერთ სახეს, რომლითაც იგი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ. სუბიექტური უფლების წარმოშობის წინაპირობა არის მეორე პირის მოვალეობა, რამდენადაც სუბიექტური საჯარო სამართლებრივი უფლება არის პირისადმი საჯარო სამართლის ნორმით მინიჭებული უფლება, თავისი ინტერესების დასაცავად მოითხოვოს სახელმწიფოსაგან კონკრეტული დამოკიდებულება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით ხანდაზმულ მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციას განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტისა და პენსიის მიღების ზოგად წესებს. მითითებული კანონის ძირითადი პრინციპებია: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია და ა.შ. პენსიის მიღებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები რეგულირდება ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესით“.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს პენსიის შეჩერება/განახლების საფუძველებს. კერძოდ, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირის მიერ პენსიის ზედიზედ 6 თვის განმავლობაში მიუღებლობისას პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეჩერდება ამ საფუძველის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამავე კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრულია პენსიის შეწყვეტის წესი და პირობები, კერძოდ, 1-ლი პუნქტის თანახმად, პენსია (მხოლოდ ფულადი სარგებელი) შეწყდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი საფუძველის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, თუ ამ პუნ-

ქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული: ა) პირადი განცხადებით; ბ) საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში; გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან; დ) უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევებისას; ე) პირის საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლისას ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას; ვ) პენსიონერის გარდაცვალებისას; ზ) პენსიის შეჩერების დღიდან 3 წლის გასვლის შემდეგ; თ) სხვა საფუძვლით, თუ იგი ამ კანონიდან გამომდინარეობს. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს პენსიის გაცემის შეწყვეტის ვალდებულებას შეჩერებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ. შეჩერებული პენსიის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან პენსია განახლდება და ანაზღაურდება მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა პენსიის შეჩერების დღიდან. პენსიის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ პენსია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის 16.2 მუხ., 14.2 მუხ., ამჟამად მოქმედი „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.), შეწყვეტიდან პენსიის ხელახლა დანიშვნამდე სახელმწიფო გასაცემელი არ ანაზღაურდება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ის პენსიის შეჩერების, ასევე პენსიის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები. მოსაზრება იმის შესახებ, რომ პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილებებს საფუძვლად დაედო ფაქტობრივი გარემოებები, რომ ნ. ბ-ეს ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსია არ მიუღია, თავისთავად გამოიწვევდა დამდგარ შედეგს, კერძოდ, სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერებას, ხოლო შემდეგ შეწყვეტას, არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს პენსიის მიღების უფლების მქონე პირთა წრეს, მისი შეჩერების და შეწყვეტის საფუძვლებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძვლები წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაცი-

ული წარმოების დაწყების, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონის დანაწესის თანახმად, პენსია შეჩერდება კანონით გათვალისწინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფო პენსიის შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საჭიროება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.05.2017წ. გადაწყვეტილება, საქმე №ბს-365-360(კ-16)) თანახმად, განიმარტა, რომ „სახელმწიფო პენსიასთან დაკავშირებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. ასე მაგ. პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა თავისთავად არ იწვევს მისთვის პენსიის დანიშვნას, ასეთ შემთხვევაში მოქალაქის განცხადების საფუძველზე იწყება ადმინისტრაციული წარმოება, რომლის შედეგადაც, თუ მოქალაქის ფაქტობრივი მდგომარეობა შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს და განცხადებას ახლავს ყველა საჭირო დოკუმენტი, საჯარო დაწესებულება ახდენს პენსიის დანიშვნის შესახებ მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, ე.ი. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი არის პირის მიერ საპენსიო ასაკის მიღწევა, პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით სოციალური უზრუნველყოფის ორგანოსათვის მიმართვა, აქტის გამოცემა“.

„ამდენად, სახელმწიფო გასაცემელთან დაკავშირებით ურთიერთობის შინაარსის კონკრეტულად განსაზღვრა ხდება ინდივიდუალური აქტის გამოცემით. კანონი განსაზღვრავს წინაპირობებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ჩაებას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ

ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. სახელმწიფო ხელისუფლება კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად თავისი საქმიანობით უშუალოდ კი არ უპირისპირდება მოქალაქეს, არამედ გამოსცემს სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც მიიღება კონკრეტული ზომა, როგორც სამართლიანი, განსაზღვრული და სავალდებულო ძალის მქონე ქმედება. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ქმნის აქტის ამოქმედების შემდგომ მისი თვითაღსრულების პირობას. აღნიშნულში ვლინდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულებითსამართლებრივი მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს შესაძლებლობას პირის ნების საწინააღმდეგოდ, მის ხელთ არსებული კანონით დადგენილი აღსრულების საშუალებების გამოყენებით აღასრულოს აქტი. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღსრულების სამართლებრივი ფუნქცია იმაში ვლინდება, რომ ის არის აღსრულების დაწყების აუცილებელი წინაპირობა“.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირის უფლებებისა და მოვალეობების დაწესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტა უკავშირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას ამ კოდექსით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები, როგორცაა წარმოებაში დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა, საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და სხვ. საქმის მასალებში არ მოიპოვება ნ. ბ-ის პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებები. ასევე არ დასტურდება მათი ადრესატისათვის ჩაბარების ფაქტი, რაც სააპელაციო პალატის მიერ არ შეფასებულა, თუმცა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს საფუძველად დაედო სააპელაციო პალატის მიერ საქმეზე დადგენილი, ნ. ბ-ის მიერ ზედიზედ 6 თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის უდავო ფაქტობრივი გარემოება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები არ ადასტურებს სახელმწიფო პენსიის შეჩერებისა და შეწყვეტის მართლზომიერებას. სააპელაციო პალატის მიერ საქმის ხელახლა განხილვისას, მნიშვნელოვანია ასევე შეფასდეს ის გა-

რემოებები, რომ პენსიონერი ნ. ბ-ე ცხოვრობს შუახევის რაიონში, სოფელ ..., სადაც არ ფუნქციონირებს ბანკების ფილიალები და ბანკომატები. აღნიშნული სოფელი დაბა ... დაშორებულია 32 კმ-ით. ნ. ბ-ე დაავადებულია და გადის მკურნალობის კურსს, რის გამოც ვერ ახერხებდა თანხების ანგარიშიდან განაღდებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1-ლი ოქმის თანახმად, ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. პენსიის მოთხოვნა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 18.11.2004წ. დადგენილება საქმეზე „პრავედნაია რუსეთის წინააღმდეგ“). პენსია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიტია, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე, მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა. განსახილველ შემთხვევაში ნ. ბ-ეს როგორც პენსიონერს, პენსიის პერიოდული მიღების უფლება სამისდღემშიოდ, მოპოვებული ჰქონდა ასაკის გამო. საქმეზე „სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პრეცედენტულ სამართალში შენატანების საფუძველზე უზრუნველყოფილი დახმარებების საქმეები გაიმიჯნა იმ საქმეებისაგან, რომლებიც შენატანებთან არ იყო დაკავშირებული. ახალი მიდგომის თანახმად, თუ მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის დახმარებას – შენატანების წინასწარი გადახდის ან გადაუხდელობის პირობით, ასეთი კანონმდებლობა განხილული უნდა იქნეს, როგორც მესაკუთრის ინტერესის წარმომშობი, რაც პირველი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში ექცევა მათთვის, ვინც ამ კანონმდებლობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში მრავალი ადამიანი, სრულიად ან ნაწილობრივ, სოციალურ დახმარებებზეა დამოკიდებული. მრავალი შიდასახელმწიფოებრივი სისტემა აღიარებს, რომ ასეთ პირებს სჭირდებათ საიმედოობის და უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი. აქედან გამომდინარე, სოციალური დახმარება განიხილება, როგორც უფლება. საკასაციო სასამართლო მიჩნევს, რომ ნ. ბ-ეს კანონით აქვს მინიჭებული სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, რომელიც სრულად ვერ იქნა რეალიზებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს, როგორც

ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს უფლება აქვს დაადგინოს ახალი ფაქტები, ხოლო საქმის მონაწილე პირებს უფლება აქვთ პირველ ინსტანციაში უკვე განხილულთან ერთად სააპელაციო სასამართლოში წარადგინონ ახალი მტკიცებულებები. ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, საქმეზე დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, გამოითხოვოს და შეაფასოს მტკიცებულებები.

ამასთან, მნიშვნელოვანია იმ გარემოებების დადგენა, მოცემულ შემთხვევაში რამდენად კანონიერია ნ. ბ-ისათვის პენსიის შეჩერება და შეწყვეტა იმ პირობებში, როცა საქმის მასალებით არ დასტურდება ასეთი გადაწყვეტილებების მიღების ფაქტი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ ზემოაღნიშნულ გარემოებათა დადგენის შემთხვევაში უნდა იმსჯელოს ნ. ბ-ისათვის პენსიის სრულად ანაზღაურების საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. დახმარება და კომპენსაცია

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას
მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში
ოჯახის წევრებისთვის ერთჯერადი ფულადი
დახმარების გაცემა**

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-830-822(კ-16)

12 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ც. დ-მა 06.01.2015წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქარ-
თველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინააღმდეგ და მოით-
ხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 08.05.2014წ.
№1/40 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოთხოვნის დაკმა-
ყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მისი მეუღლე, დ. ლ-ი იყო ... რა-
იონული სასამართლოს მოსამართლე. 10.09.2007წ. სასამართლო-
ში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დ. ლ-ი შეუძ-
ლოდ გახდა, რის შემდეგაც გამოძახებულ იქნა სასწრაფო დახ-
მარება. 11.09.2007წ. დ. ლ-ი კომატოზურ მდგომარეობაში მო-
თავსებულ იქნა მე-... კლინიკური საავადმყოფოს ნეირორეანი-
მაციის განყოფილებაში, სადაც გაუკეთდა თავის ქალის სასწრა-
ფო ოპერაცია, მაგრამ ოპერაციის დროს მოხდა ანევრიზმის გან-
მეორებით გასკდომა და მიუხედავად ადეკვატურად ჩატარე-
ბული მკურნალობისა, მისი გამოყვანა კომატოზური მდგომა-
რეობიდან ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ 11 თვის განმავლობაში
იგი იმყოფებოდა კომაში ანუ სრულიად დაკარგული ჰქონდა
შრომის უნარი. 28.07.2008წ. დ. ლ-ი გარდაიცვალა. გარდაცვა-
ლების მოწმობაში გარდაცვალების მიზეზად დაფიქსირდა თა-

ვის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა. მოსარჩელის განმარტებით თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა ოპერაციის დღეს (11.09.2007წ.) მოხდა. ც. დ-მა 30.10.2013წ. განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომლითაც „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის 14.1 მუხლის საფუძველზე დ. ლ-ის გარდაცვალების გამო ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა მოითხოვა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 08.05.2014წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დ. ლ-ის გარდაცვალების გამო მოსამართლის 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და დადგინდა მისთვის შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო მოსამართლის 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით დახმარების გაცემა. განცხადების ნაწილობრივი დაკმაყოფილების თაობაზე იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაირღვა „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“, კანონის 14.1 მუხლის მოთხოვნა, რომლითაც სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახს ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.12.2015წ. გადაწყვეტილებით ც. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 08.05.2014წ. გადაწყვეტილება დ. ლ-ის გარდაცვალების გამო მისი 10 წლის ხელფასის ოდენობით ფულადი კომპენსაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა 1 თვის ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ დ. ლ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და მისი გარდაცვალების პერიოდში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამართლის შრომისუნარიანობის დაკარგვისა და/ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში დახმარების გაცემის საკითხი დარეგულირებული იყო „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონით. აღნიშნული კანონის მე-14 მუხ-

ლი დახმარების გაცემის საფუძვლად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარ კონკრეტულ გარემოებას ადგენს, თუმცა შესაბამისი გარემოების შეფასება მისგან უშუალოდ გამომდინარე შედეგის მხედველობაში მიღების გარეშე დაუშვებელია, რამეთუ ამგვარი მიდგომა წარმოადგენს ურთიერთობის ფორმალურ განხილვას მისი არსის უგულვებლყოფით. ამასთან, მიზეზობრივი კავშირი სამართლის ნორმით განსაზღვრულ ფაქტებთან მიმართებით კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და კანონით გარანტირებული უფლების ხასიათის მხედველობაში მიღებით უნდა იქნეს დადგენილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, დ. ლ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას 10.09.2007წ. მომხდარ ფაქტს – თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლასა და ანევრიზმის გასკდომას – კომატოზური მდგომარეობა და რამდენიმე თვის შემდეგ გარდაცვალება მოჰყვა. ის, რომ კომატოზური მდგომარეობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარი ფაქტის – თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლის შედეგია, მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია და ამ მხრივ სრულიად მართლზომიერად იქნა შეფასებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარი ფაქტი, როგორც შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის განმაპირობებელი გარემოება. თუმცა გარდაცვალებამდე არსებული მდგომარეობა, რაც დ. ლ-ის სიცოცხლისუნარიანობას მეტად პირობითად აქცევდა და მიზეზობრივი კავშირის სრული ბმა, სადავო გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული არ ყოფილა, შეფასება არ მისცემია გარდაცვალების საფუძვლად მითითებულ გარემოებებს – სისხლის მიმოქცევის განმეორებით მოშლასა და კომატოზურ მდგომარეობას, რაც დ. ლ-ის გარდაცვალების უშუალო მიზეზი გახდა. ამდენად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის გარეშე, რაც მათ სათანადო შეფასებასა და კანონის ნორმის არასწორად გამოყენებას განაპირობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და ც. დ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.06.2016წ. გადაწყვეტილებით საქართვე-

ლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.12.2015წ. გადაწყვეტილება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით ც. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, აქტი კანონიერია და იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არ არსებობდა სადავო საკითხის გადაუწყვეტლად მისი ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი. პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სრულყოფილად იქნა გამოკვლეული დ. ლ-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ყველა სამედიცინო დოკუმენტაცია და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა მტკიცებულებები, რის შემდეგაც მოსარჩელეს კანონის მოთხოვნათა დაცვით ეთქვა უარი ერთჯერადი დახმარების სახით 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურების მოთხოვნაზე. შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის სათანადოდ დასაბუთებული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები არ გამოიკვლია საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და რომელი კონკრეტული მტკიცებულებებისა და გარემოებების შესწავლა დაევალა მას თავიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლი ცალსახად ადგენდა, რომ მოსამართლის ოჯახს ერთჯერადი ფულადი დახმარება 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით მიეცემოდა მხოლოდ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსამართლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით მიეცემოდა არა 10 წლის, არამედ შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის მიხედვით 1 ან 5 წლის თანამდებობრივი სარგო. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსამართლე დ. ლ-თან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა არა სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვალების ფაქტს, არამედ

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრულად დაკარგვის ფაქტს, რის გამოც მის ოჯახს სწორად მიეცა 5 წლის ერთჯერადი დახმარება. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა თბილისის №... მოზრდილთა პოლიკლინიკის ექიმ-ნევროპათოლოგ ლ. გ-ას მიერ დ. ლ-ის მიმართ გაცემული სიკვდილის შესახებ სამედიცინო მონმობის ყუა №112-ზე, რომლის მიხედვითაც, სიკვდილის მიზეზად დაფიქსირებულია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა (ანევრიზმის გასკდომა), კომატოზური მდგომარეობა. ამასთანავე, დ. ლ-ის გარდაცვალების მონმობაში გარდაცვალების მიზეზად თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა არის დაფიქსირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე პალატამ მიიჩნია, რომ დ. ლ-ის გარდაცვალების მიზეზი გახდა სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა, რასაც ადგილი არ ჰქონია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას. პალატამ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზედ, რომ 10.09.2007წ. დ. ლ-ის მიმართ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ დასმული დიაგნოზი, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლა, არ იძლევა დ. ლ-ის მიმართ 11.09.2007წ. დამდგარ შედეგთან ზემოაღნიშნული ფაქტის დაკავშირების შესაძლებლობას. მოსარჩელის მიერ არ წარმოდგენილა არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ დ. ლ-ის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა საფუძვლად დაედო მეორე დღეს, 11.09.2007წ., თავის ტვინში შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ შპს „...“ დასკვნაში განვითარებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა არა ე.წ. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებით მოშლას, როგორც ეს დ. ლ-ის სიკვდილის სამედიცინო მონმობაშია მითითებული, არამედ ოპერაციის დროს განვითარებულ განახლებულ სისხლდენას, რომელიც თავის ტვინის დაზიანების ერთიანი პათოლოგიური პროცესის შედეგი იყო. პალატამ მიუთითა, რომ დასკვნა ეფუძნება დ. ლ-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ სამედიცინო დოკუმენტაციას, აღნიშნული პირველადი დოკუმენტაციით, კერძოდ, თბილისის №... მოზრდილთა პოლიკლინიკის ექიმ-ნევროპათოლოგ ლ. გ-ას მიერ დ. ლ-ის მიმართ გაცემული სიკვდილის შესახებ სამედიცინო მონმობის ყუა №112-ითა და დ. ლ-ის გარდაცვალების მონმობით ცალსახად არის დადგენილი, რომ დ. ლ-ის გარდაცვალების მიზეზი გახდა თავის ტვინ-

ში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.06.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ც. დ-მა.

კასატორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მას, რადგან საქმე ეხება მისი მეუღლის გარდაცვალებას და აღნიშნულიდან გამომდინარე კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას. ც. დ-ის განმარტებით, სადავო არ გამხდარა ის ფაქტი, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოხდა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, 11 თვის განმავლობაში დ. ლ-ი იმყოფებოდა კომაში და კომიდან გამოუსვლელად გარდაიცვალა. დ. ლ-ის შეუძლოდ გახდომასა და მის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირი დადასტურდა როგორც მონმისა და მკურნალი ექიმის ჩვენებებით, ისე ექსპერტის დასკვნით. საწინააღმდეგო დოკუმენტაცია მოპასუხეს არ წარმოუდგენია და არც ექსპერტის დასკვნა და მონმის ჩვენება გაუხდია სადავოდ.

კასატორი აღნიშნავს, რომ მოპასუხემ სააპელაციო საჩივარში ცალსახად განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი მისთვის ბუნდოვანი და გაუგებარი იყო, ზოგიერთი გარემოება კი უცნობი. აპელანტმა ასევე აღნიშნა, რომ ყველა გარემოების გარკვევის შემთხვევაში სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებდა. შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მითითება იმის თაობაზე, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შედეგად.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი განხილვის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 26.06.2003წ. №296 ბრძანებულებით დ. ლ-ი დაინიშნა ... რაიონული სასამართლოს მოსამართლედ ათი წლის ვადით. 10.09.2007წ. 16:15 საათზე სასამართლოში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამართლე დ. ლ-ი ცუდად გახდა, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას

თან ახლდა ძლიერი თავის ტკივილი და თავბრუსხვევა, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური იქნა გამოძახებული. პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ დ. ლ-ს დაუდგინდა დიაგნოზი – ქალასპიდა სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა. მეორე დღეს (11.09.2007წ.), დილით დ. ლ-ს მალალი არტერიული წნევის ფონზე მარჯვენა კიდურების სისუსტე განუვითარდა და თანდათან გონება დაებინდა. იგი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა სტაციონარში გადაიყვანა, სადაც კლინიკური დიაგნოზი – თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომა დაუდგინდა ტვინის ნივთიერებაში დიდი ზომის სისხლჩაქცევით, რაც გადაუდებელი ოპერაციის ჩატარების მიზეზი გახდა. ოპერაციის დროს ანევრიზმიდან განახლდა სისხლდენა და მიუხედავად ადეკვატურად ჩატარებული მკურნალობისა, მისი გამოყვანა კომატოზური მდგომარეობიდან ვერ მოხერხდა. ამის შემდეგ 11 თვის განმავლობაში იგი იმყოფებოდა კომაში, უგონოდ ანუ სრულიად ჰქონდა დაკარგული შრომის უნარი. 28.07.2008წ. დ. ლ-ი გარდაიცვალა.

დ. ლ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისა და მისი გარდაცვალების პერიოდში, აგრეთვე, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დახმარების გაცემის მოთხოვნის დასმის მომენტში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამართლის შრომის უნარის დაკარგვისა და/ან მისი გარდაცვალების შემთხვევაში დახმარების გაცემის საკითხს ანესრიგებდა „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ 03.12.2003წ. კანონი, რომლის მე-14 მუხლი, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახისათვის ითვალისწინებდა ერთჯერად ფულად დახმარებას 10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, ხოლო სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციის გაცემას შესაბამისად 5 ან 1 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით (ხსენებული კანონი გაუქმდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ 12.04.09წ. ორგანული კანონით, რომლის 71-ე მუხლი ითვალისწინებს კომპენსაციის ნაკლებ ოდენობას, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამართლის დაღუპვის შემთხვევაში მისი ოჯახისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთდროული კომპენსაციის გაცემას 25 000 ლარის ოდენობით, ხოლო სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სხვაგვარი გაუარესების შემთხვევაში, რის შედეგადაც იგი

აღიარებულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად, ან დასახიროებისას – 10 000 ლარის ოდენობით). ვინაიდან განსხვავებული ოდენობის ფულადი დახმარება უკავშირდება კანონით გათვალისწინებულ განსხვავებულ წინაპირობებს, დავის გადაწყვეტა საჭიროებს იმის გარკვევას, თუ 03.12.2003წ. კანონით გათვალისწინებულ რომელ გარემოებას ჰქონდა ადგილი.

მოცემულ შემთხვევაში ც. დ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენა საჭიროებს დ. ლ-ის სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს ჯანმრთელობის მოშლასა და მის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის გარკვევას. სადავო აქტით მოპასუხე კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ დადგენილად მიიჩნია, რომ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დ. ლ-ის სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასა და მისი შრომის უნარის სრულად დაკარგვას შორის. „მოსამართლე დ. ლ-თან დაკავშირებით დახმარების გაცემის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 08.05.2014წ. №1/40 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ 10.09.2007წ. ... რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ. ლ-ი, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იმყოფებოდა ... რაიონულ სასამართლოში, გახდა შეუძლოდ, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიერ მას დაუდგინდა დიაგნოზი – ქალის შიდა სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭო ეთანხმება იმას, რომ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა კავშირშია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, მოპასუხე ეთანხმება აგრეთვე იმას, რომ სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვან მოშლას მოჰყვა დ. ლ-ის შრომის უნარის სრული დაკარგვა. ამდენად, პათოლოგიური პროცესის დაწყებას ადგილი ჰქონდა დ. ლ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ამასთანავე, არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე საბჭომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვალების ფაქტს, სახეზეა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრულად დაკარგვის შემთხვევა, რომლის დადგომის პერიოდისათვის მოქმედი „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლე დ. ლ-ის შრომის უნარის სრულად დაკარგვის გამო, საბჭოს სადავო აქტით გაიცა დახმარება მისი 5 წლის

თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. საბჭომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსამართლე დ. ლ-თან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვალების ფაქტს, შესაბამისად, სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრული დაკარგვის გამო მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოსამართლის ოჯახისათვის 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით დახმარების გაცემის შესახებ. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტა საჭიროებს დ. ლ-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებული რიგ გარემოებებს შორის (სამსახურში ცუდად გახდომა, ანევრიზმის გასკდომა, შრომის უნარის დაკარგვა) ერთიანი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის არსებობის გარკვევას, ერთიანი მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვის უარსაყოფად და მათი ერთმანეთთან დამოუკიდებლად განვითარების დასადასტურებლად უნდა გაირკვეს მათი გამომწვევი ფაქტორები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის აუცილებელ თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის დადგენა ინდივიდუალურად ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. კაუზალობაზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს არა ობიექტური შესაძლებლობა შედეგის დადგომისა, არამედ უკვე დამდგარი შედეგის კავშირი კონკრეტულ გარემოებებთან. შესაბამისად, მიზეზობრიობის მთავარი ასპექტია არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს, რომლის ნიშნები მოცემულ შემთხვევაში იკვეთება. საქმეში დაცული დ. ლ-ის გარდაცვალების მონობის თანახმად, გარდაცვალება თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებით მოშლამ გამოიწვია. გარდაცვალების იმავე მიზეზებს მიუთითებენ შპს ... საავადმყოფოს ხელმძღვანელი – გ. მ-ი და ექიმ-ნევროპათოლოგი – ლ. გ-ა, თუმცა არც ერთი მათგანი არ უარყოფს ერთიანი პათოლოგიური პროცესის განვითარებას, პროცესის ეტაპებს შორის მიზეზობრივი კავშირის ჯაჭვს. საქმეში დაცული სამედიცინო დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ 11.09.2007წ. ჩატარებული ოპერაციის დროს განმეორებით მოხდა სისხლის მიმოქცევის მოშლა ანუ განახლდა სისხლდენა ანევრიზმიდან და შემდგომში, მიუხედავად ხანგრძლივი რეანიმაციული ღონისძიებებისა, პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

განმეორებით სისხლდენა დაფიქსირდა უშუალოდ ოპერაციის მსვლელობისას და მისი წარმოშობა რაიმე დამოუკიდებელ გარემოებას ან არასწორ მკურნალობას არ გამოუწვევია, ყოველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო ვერ უთითებს ანევრიზმიდან სისხლდენის განახლების რაიმე დამოუკიდებელ ფაქტორს, ასეთი არც საქმის მასალებით დასტურდება.

მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ დ. ლ-მა თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლის შედეგად შრომის უნარი სრულად დაკარგა სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ გარდაცვალების ფაქტი კავშირშია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებით მოშლასთან, ფაქტობრივად, უარყოფილია გარდაცვალების კავშირი ანევრიზმის გასკდომასთან. ასეთ პირობებში საფუძვლიანია სადავო აქტზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი წევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ გარდაცვალების გამო დახმარების გაცემაზე უარს, ფაქტობრივად, საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ დ. ლ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასა და ანევრიზმის გასკდომას პირდაპირ ლეტალური შედეგი არ გამოუწვევია, გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა 28.07.2008წ., 11-თვიანი კომატოზური მდგომარეობის შემდეგ. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზსა და შედეგს შორის არსებული დროის ხანგრძლივი შუალედი არ აქარწყლებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ დ. ლ-ი ოპერაციის შემდეგ აღარ გამოჯანმრთელებულა, 11.09.2007წ. ნეიროქირურგიული ოპერაციის ჩატარების შემდეგ დ. ლ-ი 52 დღის განმავლობაში გადიოდა ინტენსიურ თერაპიას, რის შემდეგაც გადაყვანილ იქნა სახლში ჯანმრთელობის მდგომარეობის რაიმე გაუმჯობესების გარეშე, კომატოზურ მდგომარეობაში. დ. ლ-ი გარდაცვალებამდე (11 თვის განმავლობაში) იმყოფებოდა კომატოზურ, უგონო მდგომარეობაში. ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის 17.06.2008წ. №1922/26-116 დასკვნის თანახმად, დ. ლ-ს სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლის ფონზე განუვითარდა ტეტრაპლევია და კომატოზური მდგომარეობა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 08.07.08წ. გადაწყვეტილებით დ. ლ-ი აღიარებულ იქნა ქმედურუნაროდ, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 28.07.08წ. №გ/35 გადაწყვეტილებით დ. ლ-ს კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე) დაენიშნა. დ. ლ-ი გარდაცვალებამდე 11 თვის განმავლობაში იმყოფებოდა კომატოზურ მდგომარეობაში, მდგომარეობის გაუმჯობესების

რაიმე ნიშანს ადგილი არ ჰქონია. ის გარემოება, რომ დ. ლ-მა ჯერ შრომის უნარი დაკარგა მთლიანად, ხოლო შემდეგ გარდაიცვალა, ვერ აქარწყლებს სიკვდილის ფაქტთან მიზეზობრივი კავშირის არსებობას, უფრო მეტიც, აღნიშნული მიზეზობრივი კავშირის ორდინალური განვითარების მაჩვენებელია.

ანევრიზმის გასკდომის მომენტი და იქიდან სისხლდენის განახლების მომენტი დროის მოკლე პერიოდით არის დაცილებული ერთმანეთისგან (პაციენტი კომატოზურ მდგომარეობაში იქნა მიყვანილი კლინიკურ საავადმყოფოში, ნეიროქირურგიულ განყოფილებაში პაციენტის მოთავსებისთანავე პაციენტს დაუდგინდა თავის ტვინის მარჯვენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომის დიაგნოზი), თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის როგორც თავდაპირველი, ისე განმეორებითი მოშლიდან გასულია 11 თვე, ამ გარემოებამ არ გამოორიცხა 11 თვის წინ მომხდარი მოვლენის (სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა) სიკვდილის მიზეზად ცნობა. საქმეში დაცული მასალებით დასტურდება, რომ დ. ლ-ის შრომის უნარის დაკარგვა და მისი გარდაცვალება გამოწვეულია ერთი და იმავე მიზეზით, კერძოდ, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით, რაც, თავისმხრივ, ანევრიზმის გასკდომის უშუალო თანმდევი პროცესის მაჩვენებელია. სასკ-ის 17.2 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი, ამდენად ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება მიზეზობრივი კავშირის არარსებობის მტკიცების ტვირთი. საქმეში დაცულ მასალებზე დაყრდნობით სააპელაციო პალატას უნდა შეეფასებინა 10.09.2007წ. დ. ლ-ის შეუძლოდ გახდომასა და 28.07.2008წ. მის გარდაცვალებას შორის არსებული მიზეზობრივი კავშირი, თავის გადაწყვეტა საჭიროებს 10.09.2007წ. სასწრაფო დახმარების მიერ დასმულ დიაგნოზს – თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვან მოშლას, 11.09.2007წ. მე... კლინიკური საავადმყოფოს ნეირორეანიმაციის განყოფილებაში დასმულ დიაგნოზს – თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომას, ამავე დღეს ჩატარებული ოპერაციის დროს ანევრიზმის დაზიანებული კედლიდან სისხლდენის განახლებას, დ. ლ-ის ხანგრძლივი კომატოზურ მდგომარეობასა და მის გარდაცვალებას შორის ერთმანეთთან დამოკიდებულების გარკვევას. არ არის დასაბუთებული სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს მომხდარი შემთხვევის დაკავშირება მხოლოდ შრომის უნარის სრულ დაკარგვასთან და იმავდროულად გარდაცვალების ფაქ-

ტთან მისი კავშირის უარყოფა, რადგან გარდაცვალება უშუალოდ ებმის შრომის უნარის დაკარგვას, არ არის დასაბუთებული მიზეზობრივი კავშირის განყვეტა, არ დასტურდება თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლის გამოწვევა ანევრიზმის მეორე გასკდომით (საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნეიროქირურგიული ოპერაცია ჩატარდა ტექნიკური წუნის გარეშე, პოსტოპერაციულ პერიოდში ტარდებოდა ინტენსიური თერაპია სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნების მიზნით და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით; №01-04/21 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დ. ლ-ს ჩაუტარდა ადეკვატური ოპერაციული და კონსერვატიული მკურნალობა, აღნიშნულის საწინააღმდეგო რაიმე გარემოება არ სახელდება) ან/და მიზეზობრივი კავშირის ატიპიური განვითარებით, ამ მიმართულებით რაიმე არგუმენტაციას არც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და არც სააპელაციო პალატის გადანყვეტილება არ შეიცავს. სააპელაციო პალატის მიერ არ არის დასაბუთებული ალტერნატიული მიზეზობრიობის ანუ ისეთი შემთხვევის არსებობა, როდესაც შედეგს ინვესს ორი ან მეტი პირობა, რომელთაგან თითოეული ცალკე აღებული საკმარისი იქნებოდა შედეგის დადგომისათვის. თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლის გამოწვევა ანევრიზმის მეორე გასკდომით არ დასტურდება, არ დასტურდება აგრეთვე კუმულატიური მიზეზობრიობის არსებობა ანუ შედეგის დადგომა ორი ან მეტი პირობის ერთობლივი მოქმედებით.

საქმის მასალებით, სადავო აქტით არ დასტურდება ხარვეზი მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით არ არის დამაჯერებლად უარყოფილი ე.წ. უპრობლემო მიზეზობრიობა, ანუ შემთხვევა, როდესაც კონკრეტული პირობა ინვესს კონკრეტულ შედეგს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ დ. ლ-ი №... კლინიკურ საავადმყოფოში 11.09.2007წ. მოთავსდა მძიმე მდგომარეობაში, ჩატარებული დიაგნოსტიკური გამოკვლევით დაუდგინდა თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმა და მისი გასკდომის შედეგად დიდი ზომის ინტრაცერებრული ჰემატომა, თავის ტვინის შეშუპება. ასეთ მოცემულობაში სიცოცხლის შენარჩუნების ალბათობა, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის საექსპერტო კომისიის 07.12.2015წ. №01-04/21 ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ძალზედ დაბალი იყო, რის გამო ოპერაციის ჩატარება გადანყდა მხოლოდ პაციენტის ოჯახის წევრების წინასწარი ინფორმირებისა და თანხმობის შემდგომ. ექიმ-ნეირორეანიმატოლოგ რ. გ-ის 14.04.2014წ. განცხა-

დებით ნეიროქირურგიის რეანიმაციულ განყოფილებაში 11.09.07წ. დასმული დიაგნოზი – თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომა, დიდი ზომის სისხლჩაქცევით ტვინის ნივთიერებაში, თავისთავად უკვე სიცოცხლისათვის შეუთავსებელი იყო. შესაბამისად, შრომის უნარის სრული დაკარგვის, როგორც დამოუკიდებელი შედეგის, დადგომა არც სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და არც სააპელაციო პალატის გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით არ არის დასაბუთებული.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ დასმული დიაგნოზი – თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლა, არ იძლევა დ. ლ-ის მიმართ მეორე დღეს (11.09.2007წ.) დამდგარ შედეგთან დაკავშირების შესაძლებლობას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის მიმოქცევის მნიშვნელოვანი მოშლის კავშირის შესაძლებლობას 11.09.2007წ. დამდგარ შედეგთან, გიგანტური ანევრიზმის გასკდომასთან. საქმეში დაცული დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის შპს „...“ №01-04/21 დასკვნით დასტურდება, რომ გარდაცვალების მიზეზი გახდა 11.09.2007წ. ოპერაციის დროს განვითარებული ანევრიზმის უკვე დაზიანებული კედლიდან განახლებული სისხლდენა, რომელიც თავის ტვინის დაზიანების ერთიანი პათოლოგიური პროცესის შედეგი იყო და არა დამოუკიდებელი გარემოება. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ დ. ლ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის კრიტიკული დამძიმება თავისი შედეგებითურთ პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია 10.09.2007წ. თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომასთან. შესაბამისად, რომ არა 10.09.2007წ. ანევრიზმის გასკდომა, 11.09.2007წ. არ ჩატარდებოდა გადაუდებელი ოპერაცია და არც სისხლდენა განახლდებოდა ანევრიზმიდან. სასამართლო ექსპერტიზის ცენტრს შპს „...“ №01-04/21 დასკვნის თანახმად, სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა ანუ სისხლძარღვის დაზიანებული კედლიდან სისხლდენის განახლება 10.09.07წ. განვითარებულმა დარღვევამ განაპირობა, დასკვნის თანახმად, სისხლის მიმოქცევის განმეორებით მოშლა 10.09.07წ. თავის ტვინის დაზიანების ერთიანი პათოლოგიური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. საექსპერტო დასკვნა სადავო აქტის გამოცემის შემდეგ გაიცა და მოპასუხის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არ შეფასებუ-

ლა, საექსპერტო დასკვნა სათანადოდ არც სააპელაციო პალატის მიერ იქნა შეფასებული. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსკ-ის 105-ე მუხლი), მათ შორის საექსპერტო დასკვნას, რომელიც სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და ფასდება სსკ-ის 105-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (სსკ-ის 172-ე მუხლი), ამასთანავე სასამართლოს მიერ უნდა დასაბუთდეს ექსპერტის დასკვნის გაზიარებაზე უარის თქმა (სსკ-ის 172-ე მუხლი). სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს საექსპერტო დასკვნის არგუმენტირებული უარყოფის დასაბუთებას. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის – შპს „...“ დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ოპერაციის დროს განვითარებული განახლებული სისხლდენა იყო ერთიანი პათოლოგიური პროცესის შედეგი. ექსპერტიზის დასკვნის უარსაყოფად სააპელაციო პალატამ მიუთითა №... მოზრდილთა პოლიკლინიკის ექიმ-ნევროპათოლოგის – ლ. გ-ას მიერ გაცემული სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობა და გარდაცვალების მოწმობა, რომელშიც გარდაცვალების მიზეზად მითითებულია თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით განმეორებითი მოშლას ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდაცვალების მოწმობაში გარდაცვალების მიზეზად თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლის მითითება ვერ უარყოფს მიზეზობრივ კავშირს ანევრიზმის გასკდომასა და სისხლდენის განახლებას შორის. მიზეზობრივი კავშირი მოვლენათა ისეთი თანმიმდევრობაა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ამ მოვლენებს შორის უბრალოდ დროში თანმიმდევრობას, არამედ აუცილებელ კავშირს მათ შორის. უმართებულოა მოვლენათა ჩვეულებრივი რიგითობის მიზეზობრივ კავშირად მიღება. საქმეზე არ დასტურდება მეორედ ანევრიზმის გასკდომა, სისხლდენის განმეორებითი მოშლა არის შედეგი გიგანტური ანევრიზმის გასკდომის, უკანასკნელი თავისთავად წარმოადგენდა სიცოცხლესთან შეუთავსებელ დაზიანებას, მის გარეშე არ ექნებოდა ადგილი სისხლის მიმოქცევის მეორედ მოშლას, სისხლჩაქცევას და, შესაბამისად, სასიკვდილო შედეგის დადგომას. სააპელაციო პალატა ექიმ-ნევროპათოლოგ ლ. გ-ას მიერ გაცემული სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის, გარდაცვალების მოწმობაში მითითებული გარდაცვალების მიზეზის – თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლის საფუძ-

ველზე ასკვნის, რომ გარდაცვალების მიზეზს – ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებით მოშლას ადგილი არ ჰქონია სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას. საფულისხმოა, რომ გარდაცვალების მოწმობაში და გარდაცვალების აქტის ჩაწერის ფორმაში გარდაცვალების მიზეზის მითითება, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ 15.10.1998წ. კანონში 20.04.2010წ. №2952 კანონით შეტანილი ცვლილების თანახმად, არ ხდება. უკეთუ, ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება სავალდებულო წესით მოითხოვდა დამატებით გარდაცვალების მოწმობაში მითითებული სიკვდილის მიზეზის შეცვლას, სასკ-ის 28¹ მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს დახმარება უნდა გაენია მოთხოვნის ტრანსფორმირებაში, რაც მოთხოვნის არა გაზრდად, არამედ დაზუსტებად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის გაცემის დროს მოქმედი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.03.03წ. №54/6 ბრძანებით დამტკიცებული „სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობის შევსების და გაცემის ინსტრუქციის“ (გაუქმებულია მინისტრის 14.01.11წ. №8/6 ბრძანებით) 3.8 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ სიკვდილის შესახებ სამედიცინო მოწმობაში, რომლის საფუძველზეც ხდებოდა გარდაცვალების რეგისტრაცია (იმჟამად მოქმედი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის 88¹ მუხლის „გ-ა“ ქვეპუნქტები, ამჟამად მოქმედი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 7.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), სიკვდილის მიზეზის ამსახველი შესაბამისი გრაფის „ა“ ქვეპუნქტში სიკვდილის უშუალო მიზეზად ჩაინერება პათოლოგიური პროცესი, ივსება შემდეგი ქვეპუნქტებიც, მათში აისახება ავადმყოფობა, მისი მიმართულებები და პათოლოგიური პროცესები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყოს ეტიმოლოგიურად და პათოგენეზურად. მოცემულ შემთხვევაში მკურნალი ექიმის მიერ 28.07.08წ. გაცემულ სამედიცინო მოწმობაში (ფორმა №106/ს-4) სიკვდილის მიზეზად მითითებულია „თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა (ანევრიზმის გასკდომა), კომატოზური მდგომარეობა“, სიკვდილის აღნიშნული მიზეზი მითითებულია შესაბამის გრაფის (9პ.) ყველა ქვეპუნქტში („ა“, „ბ“, „გ“), რაც ადასტურებს პათოლოგიური პროცესის შედეგად პაციენტის გარდაცვალებას. აღნიშნული დასტურდება აგრეთვე მკურნალი ექიმის – ლ. გას 11.02.14წ. ახსნა-განმარტებით, რომლის თანახმად, პაცი-

ენტი კომატოზურ მდგომარეობაში იქნა მიყვანილი საავადმყოფოში, მას დაუდგინდა თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომის დიაგნოზი, რომელიც თავისთავად სიცოცხლესთან შეუთავსებელია, პაციენტს სასწრაფოდ გაუკეთდა ოპერაცია, ჩაუტარდა ანევრიზმის კლიპირება, მაგრამ განმეორებით მოხდა სისხლის მიმოქცევის მოშლა ანუ განახლდა დენა ანევრიზმიდან, რის გამოც გარდაცვალების მოწმობაში გარდაცვალების მიზეზად თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა მიეთითა. მკურნალი ექიმის ლ. გ-ას 11.02.14წ. ახსნა-განმარტებაში ცალსახადაა ხაზგასმული, რომ თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის განმეორებითი მოშლა გამოწვეული იყო თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის თავდაპირველი მოშლით, რომ არ ყოფილიყო პირველი, არ იქნებოდა მეორე შემთხვევა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნებისმიერი პირობა მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან და შედეგისათვის თანაბარმნიშვნელოვანს (ეკვივალენტურს) წარმოადგენს, თუკი დადგინდა, რომ ამ პირობის გარეშე შედეგი თავისი კონკრეტული ფორმით არ დადგებოდა. ეკვივალენტურობის მიზეზობრივი კავშირის არსებობა 10.09.2007წ. დაფიქსირებული თავის ტვინის მარცხენა შუა არტერიის გიგანტური ანევრიზმის გასკდომასა და 28.07.2008წ. დ. ლ-ის გარდაცვალებას შორის არ არის უარყოფილი სადავო აქტში და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში. ადმინისტრაციული ორგანო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ მოსამართლე დ. ლ-ის მიერ შრომის უნარის დაკარგვა მოხდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო არ მიიღებდა გადაწყვეტილებას დახმარების გაცემის თაობაზე სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრული დაკარგვის საფუძველით. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუსაბუთებელია საბჭოს სადავო აქტში მოყვანილი მოსაზრება, რომ ადგილი აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას შრომის უნარის სრულად დაკარგვის შემთხვევას და არა გარდაცვალების ფაქტს. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ ქმნის ის გარემოება, რომ დ. ლ-ი მკურნალობდა ჰიპერტონიულ დაავადებას, ვინაიდან მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ თავად აღიარა შრომის უნარის სრული დაკარგვის კავშირი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლისა და გარდაცვალების პერიოდში მოქმედი „მოსამართლე-

თა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ 03.12.03წ. კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემის გადამწყვეტი ფაქტორი იყო მოსამართლის გარდაცვალება სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას, ხოლო „საერთო სასამართლოების შესახებ“ 12.04.09წ. ორგანული კანონის 71-ე მუხლი მოსამართლის დაღუპვის შემთხვევაში კომპენსაციის გაცემის პირობად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად მითითებული აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების კავშირი მისი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან. ამდენად, დ. ლ-ის გარდაცვალების დროს მოქმედი კანონმდებლობა ერთჯერადი დახმარების გაცემის პირობად ითვალისწინებდა უფლებამოსილების განხორციელების პერიოდს და არა გარდაცვალების კავშირს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებასთან (ე.წ. „გადანწყვეტილი მიზეზობრიობა“). ამდენად, მოცემულ შემთხვევაში გარკვევას საჭიროებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს დაწყებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლის კავშირი გარდაცვალებასთან და არა მისი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებით გამომწვეული მიზეზები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მწვავე პათოლოგიური პროცესის განვითარება, რომელიც გარდაცვალებით დასრულდა, დაიწყო დ. ლ-ის სამსახურში ყოფნის პერიოდში.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საექსპერტო დასკვნის თანახმად, ანევრიზმის გასკდომა მოხდა 10.09.2007წ., ხოლო ექიმ-ნევროპათოლოგის – ლ. გ-ას ახსნა-განმარტების მიხედვით ანევრიზმის გასკდომა და ხელმეორედ სისხლდენა 11.09.2007წ. მოხდა, საქმეში დაცული სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით კლინიკაში პაციენტის მოთავსებისთანავე მას იმთავითვე დაუდგინდა გიგანტური ანევრიზმა, სისხლჩაქცევა, ადგილი ჰქონდა მწვავე პათოლოგიური პროცესის განვითარებას, რომლის ეტაპების დეტალურ შეფასებას, ურთიერთკავშირის გამოკვლევას მნიშვნელობა აქვს საქმეზე სწორი გადამწყვეტილების მისაღებად. ზუსტად უნდა დადგინდეს თუ რას ჰქონდა ადგილი – ანევრიზმის განმეორებით გასკდომას (ექიმ-რენიმატოლოგის – გ. ხ-ას 11.04.2014წ. განცხადება), თუ უკვე გამსკდარი გიგანტური ანევრიზმიდან ხელმეორედ სისხლდენას (კლინიკური საავადმყოფოს ხელმძღვანელის – გ. მ-ის 21.02.2014წ. ახსნა-განმარტება). მხედველობაშია მისაღები, რომ ოპერაციის ოქმის მიხედვით უშუალოდ ოპერაციის მსვლელობაში და არა ოპერაციის შემდგომ პერი-

ოდში გიგანტური ანევიზმის პარკის გამოცალკევების პროცესში ანევიზმის უკვე დაზიანებული კედლიდან განახლდა სისხლდენა, ადგილი ჰქონდა არა ანევიზმის განმეორებით გასკდომას, არამედ სახელდობრ ოპერაციის დროს განვითარებულ განახლებულ სისხლდენას, რომელიც თავის ტვინის დაზიანების ერთიანი პათოლოგიური პროცესის შედეგი იყო. გარკვევას საჭიროებს აგრეთვე ანევიზმის გასკდომის მომენტი. სამედიცინო დოკუმენტაციის საფუძველზე გაკეთებული ხსენებული კომისიური საექსპერტო დასკვნის თანახმად, ანევიზმის გასკდომა მოხდა 10.09.07.წ, სააპელაციო სასამართლო აქსპერტიზის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა, თუმცა აღნიშნულის დასადასტურებლად სათანადო არგუმენტაცია არ მოუყვანია.

საფუძველს არის მოკლებული სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ სადავო აქტი არანაირ პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შეცილებითი სარჩელი (სასკ-ის 22-ე მუხლი), რომლის დასაშვებობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მოსარჩელის უფლებადამცავი ინტერესის არსებობა (სასკ-ის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სარჩელის აღძვრის უფლება არ არის საყოველთაო, სარჩელის აღძვრის უფლება აქვს მხოლოდ დაინტერესებულ მხარეს. უკეთეს სარჩელი არ პასუხობს დასაშვებობის მოთხოვნებს, აღნიშნული ქმნის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაუშვებლობის გამო სარჩელზე წარმოების შეწყვეტის (სასკ-ის 26² მუხლის მე-2 ნაწილი) და არა საქმის არსებით განხილვის შედეგად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. ამდენად, სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გამომდინარეობს სამოტივაციო ნაწილში მოყვანილი მოსაზრებებიდან. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო აქტი არანაირ პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მოსარჩელის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სააპელაციო სასამართლომ არ დაასაბუთა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტით მოსარჩელეს უარი ეთქვა „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის 14.1 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღებაზე. აღნიშნული კომპენსაციის გაცემა მიზნად ისახავს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების დროს გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახის წევრებისათვის მატერიალური დანაკლისისა და მორალური ტრავმის შემსუბუქებას. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე არის გარდაცვლილის ოჯახის წევრი – მეუღლე. აღნიშნულიდან გა-

მომდინარე, სადავო აქტი უშუალო და პირდაპირ გავლენას ახდენს მისი, როგორც გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახის წევრის, კანონით გათვალისწინებულ უფლებებზე – მიიღოს მეუღლის გარდაცვალებიდან გამომდინარე სათანადო ოდენობის ერთჯერადი ფულადი დახმარება. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს ხსენებული მითითება საფუძველს არის მოკლებული.

ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაშია მისაღები, რომ სასარჩელო მოთხოვნა ეყრდნობა „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დანაწესს ერთჯერადი ფულადი დახმარების (10 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით) შესახებ. სადავო აქტით სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლე დ. ლ-ის შრომის უნარის სრულად დაკარგვის გამო, „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ“ კანონის 14.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე უკვე გაიცა დახმარება 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ხსენებული კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ერთჯერადი ფულადი დახმარების მიმღები არის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახი, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დახმარების სუბიექტია მოსარჩელე, რომელმაც შრომის უნარი დაკარგა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას. შრომის უნარის დაკარგვის გამო გასაცემი დახმარების სუბიექტია მოსამართლე, რომელმაც შრომის უნარი გაკარგა და არა ოჯახის წევრი, ხოლო სადავო აქტით შრომისუუნარიანობის სრული დაკარგვის საფუძველით დახმარება გაიცა მოსამართლის გარდაცვალებიდან 6 წლის შემდეგ. ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება კანონის 14.1 მუხლის დანაწესს, რომლის თანახმად, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცემა გარდაცვლილი მოსამართლის ოჯახისათვის, შესაბამისად, მოსარჩელესთან ერთად გარდაცვლილის ოჯახის დანარჩენ წევრებს აქვთ უშუალო, პირდაპირი ინტერესი მოცემული დავის მიმართ, მით უფრო, რომ საქმის მასალების თანახმად, დაკმაყოფილებული თანხის ნაწილში გარდაცვლილის მემკვიდრეების (ნ. და ნ. ლ-ების) განცხადების საფუძველზე მოხდა მათ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ დავაში გარდაცვლილის ოჯახის წევრები არიან იმ სამართალურთიერთობის მონაწილენი, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტა-

ნაა შესაძლებელი, რის გამოც სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ოჯახის წევრები სავალდებულო მოწვევის მესამე პირებად უნდა იქნენ ჩაბმული დავაში.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სადავო აქტის ბათილად ცნობით ადმინისტრაციულ ორგანოს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა, მოსარჩელის მიერ სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, ც. დ-ი დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის გაზრდა არ დაიშვება (სსკ-ის 407-ე მუხლი), შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ უსაფუძვლოა, მოთხოვნა შესაძლოა ეხებოდეს ახალი გადაწყვეტილებით სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობას და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ახალი აქტის გამოცემის დავალებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა არ იზიარებს მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ შრომის უნარის დაკარგვისათვის დადგენილი ერთჯერადი დახმარების მიღების გამო, სადავო აქტის ამ ნაწილის ძალაში შესვლის მხედველობაში მიღებით, გამოირიცხება გარდაცვალების გამო გათვალისწინებული დახმარების კომპენსაციის მოთხოვნა. გარდაცვალების გამო დახმარების მიღების მოთხოვნა მოიცავს შრომის უნარის დაკარგვის გამო გათვალისწინებულ ერთჯერად ფულად დახმარებას (5 წლის თანამდებობრივ სარგოს) და აღემატება მას (10 წლის თანამდებობრივი სარგო), მოთხოვნა ეხება არა დახმარების ხსენებული კომპონენტების ცალ-ცალკე გაცემას, არამედ ერთიანი დახმარების თანხის მიღებას. სადავო აქტი წარმოადგენს ერთიან აქტს, სახეზეა შერეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის ერთი ნაწილი არის აღმჭურველი, ხოლო მეორე ამკრძალავი. ვინაიდან მოთხოვნა მოიცავს უკვე გაცემული ერთჯერადი დახმარების თანხას, აღნიშნული გარემოება ადასტურებს არა სადავო აქტის ძალაში შესვლას, არამედ იმას, რომ მოპასუხისათვის აქტის გამოცემის დავალების შემთხვევაში ვერ მოხდება მოსარჩელის მდგომარეობის გაუარესება, გადაწყვეტილების საუარესოდ შებრუნება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამარ-

თლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახალი განხილვისთვის.

სასკ-ის მე-9 მუხლის, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 55.3 მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯის ორივე მხარის გათავისუფლების შემთხვევაში ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს, აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეებს არ ეკისრებათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ამასთანავე, სააპელაციო პალატის 01.07.2016წ. დამატებითი გადაწყვეტილება, რომლითაც ც. დ-ს უკან დაუბრუნდა სასარჩელო განცხადებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, არ გასაჩივრებულა და ძალაშია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ც. დ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.06.2016წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას
ბარდაცვლილ შსს მოსამსახურის ოჯახის
წევრისათვის კომპენსაციის დანიშვნა**

**გადანყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-594-591(კ-17)

21 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. წ-მა 2016 წლის 8 იანვარს სარჩელი აღძრა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მო-
პასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.
მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკა-
დემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით, გათ-
ვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მი-
ღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დად-
გენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35
გადანყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ინდი-
ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-
მის დავალება მოითხოვა, რომლის საფუძველზეც განახორცი-
ელებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებას – მიიღებს კომ-
პენსაციას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკა-
დემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვა-
ლისწინებული ოდენობითა და წესით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახუ-
რე ზ. ს.წ-ის (დაბ. ...წ.) ოჯახის წევრისათვის – მეუღლისათვის
სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, ზ. ს.წ-ის (დაბ.
...წ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის
ფაქტის დადასტურების შესახებ, საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროსათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადა-ში და წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერწმუნებული, მილიციის კაპიტანი ზ. ს.წ-ი გარდაიცვალა 1992 წლის 16 იანვარს. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერწმუნებული, მილიციის კაპიტანი ზ. ს.წ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, კერძოდ, იგი სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მიემართებოდა თბილისიდან დუშეთის მიმართულებით და ამ დროს სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, მილიციის პოლკოვნიკის 1992 წლის 29 თებერვლის დასკვნით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერწმუნებული, მილიციის კაპიტანი, ზ. ს.წ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. შემთხვევის დროს იგი იყო ფხიზელ მდგომარეობაში.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ არის გარდაცვლილი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერწმუნებულის, მილიციის კაპიტანის – ზ. ს.წ-ის მეუღლე.

2015 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელე მ. წ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელის მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე კომპენსაციის დანიშნვა.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღე-

ბული ქრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილებით, მოსარჩელე მ. ნ.-ს უარი ეთქვა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ზ. ს.ნ-ის (დაბ. ...წ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1[!] პუნქტის) დაღუპვის ან მიღებული ქრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადასტურებაზე/დადგენაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ქრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ზ. ს.ნ-ის (დაბ. ...წ.) ოჯახის წევრისათვის – მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, ზ. ს.ნ-ის (დაბ. ...წ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1[!]-ლი მუხლი) დაღუპვის ფაქტის დადასტურების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი. მოცემულ შემთხვევაში სადავოა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია იმის შესახებ, რომ ზ. ნ-ის გარდაცვალების ფაქტი არ ექცევა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტის მოქმედების ფარგლებში და შესაბამისად, არ არსებობს მოსარჩელისთვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის საფუძველი, რადგან „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცულობის, რომელიც ავტომატურად შედეგად დაღუპვასაც ითვალისწინებს, რომელიც განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევას, ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის პირველ პრიმა პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, რომელსაც შედეგად მოჰყვა პოლიციელის დაღუპვა სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, საბრძოლო მოქმედებების შესრულებისას მიღებული ჭრილობებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, რომლის თანახმადაც, ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის (შემდგომში – კომპენსაცია) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორგანოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა

ურთიერთობებს. ამასთან, ამავე კანონის მე-3 მუხლი ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ ამა თუ იმ პირისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განსაზღვრისას; ეს პრინციპებია: სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მუდმივობა, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია.

პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერანშუნებულის, მილიციის კაპიტანი ზ. ს.წ-ი 1992 წლის 14 იანვარს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა.

შესაბამისად, მ. წ-მა, როგორც ზ. წ-ის მეუღლემ 2015 წლის 10 ნოემბერს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელის მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე კომპენსაციის დანიშვნა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის ზემოაღნიშნული მოსაზრება და განმარტა, რომ მოსარჩელეს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მიზნისა და პრინციპების უფლებელყოფით ეთქვა უარი სახელმწიფო კომპენსაციაზე, რაც ეწინააღმდეგება, როგორც „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ მოსარჩელის საკუთრების უფლებას, იმდენად, რამდენადაც მოსარჩელეს გააჩნია სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი; კერძოდ, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის მოთხოვნის უფლება აქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალის-

წინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს; ამასთან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების თანახმად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავის შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის შესაბამისად.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას იწვევს მხოლოდ ის გარემოება ზ. წ-ის გარდაცვალება ექცევა თუ არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ არის ზ. წ-ის გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს; სააპელაციო პალატამ უპირველესად მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტზე, რომლითაც იმპერატიულად არის განსაზღვრული იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომლებიც ექცევა მითითებული ნორმის რეგულაციაში და ასეთი შემთხვევებია: პოლიციელის გარდაცვალება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავის შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას; სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახის წევრზე გავრცელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი რეჟიმი. მნიშვნელოვანია დადგინდეს ორი გარემოება: პოლიციელის გარდაცვალება ამ ნორმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვე-

ვაში და უშუალოდ ამ შემთხვევის შედეგად; სააპელაციო სასამართლო სადავო ნორმის შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით მიუთითებს კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შესახებ, სადაც მითითებულია, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოიაზრება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელის გარდაცვალება ავტოავარიის შედეგად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამმართველოს მიერ 1992 წლის 29 თებერვალს დამტკიცებული დასკვნის თანახმად, დადგენილ იქნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის შსს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერანმუნებულის მილიციის კაპიტანი ზ. ს.წ-ი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს დაიღუპა, აღნიშნული დასკვნის მიხედვით ჩატარდა რა სამსახურებრივი მოკვლევა, დადგინდა, რომ მილიციის კაპიტანი ზ. წ-ი დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პრევენციული ღონისძიების განხორციელებასა და დამნაშავეობასთან ბრძოლას შორის პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უდავოა, რაც, როგორც აღინიშნა დადასტურებულია შესაბამისი დასკვნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სახეზეა ზ. წ-ის გარდაცვალება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას და უშუალოდ პრევენციული ღონისძიების განსახორციელებლად სპეციალური სამსახურებრივი დავალების შესრულებისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, რაც უპირობო საფუძველია იმისათვის, რომ ზ. წ-ის გარდაცვალების ფაქტი მოექცეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტის რეგულაციაში.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პრევენციული ღონისძიება ან/და დამნაშავეობასთან ბრძოლის მოქმედება იწყება დავალების მიღების მომენტიდან და სრულდება ამოცანის შესრულებით (ასეთის მიღწევის შემთხვევაში) და ამ ხნის განმავლობაში, ამ მიზნის მიღწევის პროცესში პოლიციელის გარდაცვალება შესაძლებელია გმირობად იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად გმირობა არ წარმოადგენს სამართლებრივ ტერმინს და იგი შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია იმის შესახებ, რომ „პოლიციის შესახებ“

საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით და ამავე მუხლის 1¹-ლი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო კომპენსაციის უფლების მქონე გარდაცვლილ პოლიციელთა წრე (სუბიექტები) არ არის ერთი და იგივე, რაზეც მიუთითა, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების მიხედვით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1¹-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ სახელმწიფო კომპენსაცია, რაც იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება ყველა იმ პოლიციელზე, რომელიც გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ მისი სამსახურებრივი საქმიანობა არ იყო დაკავშირებული ამავე მუხლის 1¹-ლი პუნქტით გათვალისწინებული სპეციფიკური და მომეტებული საფრთხის შემცველი უფლებამოსილებების განხორციელებასთან; საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, პალატამ განმარტა, რომ სახეზეა სადავო აქტის შეუსაბამობა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლთან და „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლთან, რაც ქმნის ფაქტობრივ-სამართლებრივ წინამძღვრებს საიმისოდ, რომ ზაკ-ის მე-60¹ მუხლის საფუძველზე კანონთან წინააღმდეგობის საფუძველით, ბათილად იქნეს ცნობილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილება.

მოსარჩელე ითხოვდა აქტის გამოცემის დავალებით სადავო საკითხის მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის საფუძველზე, აქედან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სწორად მოხდა მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც მ. წ-ს დაუდასტურდება მისი მეუღლის – ზ. წ-ის გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტი) სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადე-

მიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არასწორად განმარტა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტი, როდესაც მსჯელობს, რატომ უნდა გავრცელდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ გარდაცვლილ მოსამსახურე ზ. ს.ნ-ის ოჯახის წევრისათვის (მეუღლისათვის) „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ სახელმწიფოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი და მიიღო დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება. განსახილველ შემთხვევაში დავის სწორედ გადაწყვეტისათვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. რადგან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით (რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს კომპენსაციის მიღებას), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული ქრილობების შედეგად დაღუპული პოლიციელის ოჯახის წევრს, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება წარმოეშობა, როდესაც პოლიციელი დაღუპულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში.

კასატორი განმარტავს, რომ ამ საქმეში დავას იწვევს მხოლოდ ის გარემოება, ზ. ნ-ის გარდაცვალება ექცევა თუ არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პრიმა პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ არის ზ. ნ-ის გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცულობის, რომელიც განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

ბის დროს შსს-ს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევებს (მათ შორის, პოლიციელის გარდაცვალება ავტოკატორის დროს), ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის პირველ პრიმა პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, რომელსაც შედეგად მოჰყვა პოლიციელის დაღუპვა, კერძოდ: პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დაღუპვა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალება ანუ 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით იმპერატიულად არის განსაზღვრული იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომლებიც ექცევა მითითებული ნორმის რეგულაციაში. იმისათვის, რომ გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახის წევრზე გავრცელდეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი რეჟიმი, მნიშვნელოვანია დადგინდეს ორი გარემოება: 1. პოლიციელის გარდაცვალება ამ ნორმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ შემთხვევაში; 2. უშუალოდ ამ შემთხვევის შედეგად ანუ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგენა გულისხმობს უშუალო მიზეზობრივი კავშირის დადგენას ამ მუხლში მითითებულ კონკრეტულ ქმედებასა და პირის გარდაცვალებას შორის. აღნიშნულ ნორმაში ასახულ ქმედებებზე ვერ ჩაითვლება შსს-ს მოსამსახურის სამსახურებრივი საქმიანობის ნებისმიერი შემთხვევა მისი მიზნებიდან გამომდინარე. ამის დადასტურება კანონმდებლის ნება, ერთმანეთისაგან იქნეს გამიჯნული შსს-ს მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალება და მისგან გამომდინარე სოციალური გარანტიები, რომელიც ჩადებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტში, რაც არ წარმოშობს ყოველთვიური კომპენსაციის მიღების უფლებას (1000 ლარის ოდენობით), ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებულ ვითარებაში დაღუპვა და ეს განსაკუთრებული ვითარების კონკრეტული შემთხვევები განსაზღვრულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით, რაც წარმოშობს ყოველთვიური კომპენსაციის მიღების უფლებას (1000 ლარის ოდენობით).

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით განსაზღვრული ჩამონათვალი გულისხმობს ობიექტური საფრთხის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების პროცესში, პოლიციელის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევას. ობიექტური საფრთხე იმ შემთხვევაში არის სახეზე, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ საქმის გარემოებები ან მოვლენების შეუფერხებელი განვითარება გამოიწვევს „პოლიციის შესახებ“ კანონით დაცული სიკეთისათვის ზიანის მიყენებას.

კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, ზ. ნ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ავტოავარიის შედეგად, მაგრამ სახეზე არ გვაქვს ობიექტური საფრთხის არსებობის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების დროს გარდაცვალება, რაც არ წარმოადგენს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის I პუნქტი და პირველი პრიმა პუნქტიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დალუპული პოლიციელის ოჯახის (მემკვიდრეების) მიმართ სოციალურ გარანტიებს ითვალისწინებს, მაგრამ მათ შორის განსხვავება რომ არ იყოს, რა აზრი ექნებოდა მაშინ ამ ორი ნორმის ერთდროულად არსებობას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლში I პრიმა პუნქტის დამატების მიზეზი იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ობიექტური საფრთხის პირობებში, უშუალოდ პოლიციური ღონისძიებების განხორციელების პროცესში, პოლიციელის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც კანონმდებელი განმარტებით ბარათში მოიხსენიებს, „გმირულად დალუპული“ პოლიციელების ოჯახებისათვის გაზრდილი ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა. ამ ნორმის განმარტებით ბარათში ეს გარკვევით არის ჩამოყალიბებული, როგორც კანონპროექტის მიღების მიზეზის განმარტებაში, ასევე „შედეგებთან ნაწილში – „ბ.ე“ -პუნქტში, რომლის შესაბამისად“ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ გმირულად გარდაცვლილი პოლიციელთა ოჯახებს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით“. რაც კიდევ უფრო აკონკრეტებს და აზუსტებს იმ პირთა წრეს, რომლებზეც ვრცელდება „პოლიციის შესახებ“ კანონის 50 მუხლის I პრიმა პუნქტი. იგივე

საფუძვლით მოხდა ასევე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიღება. ამ ნორმის მიღებისას მის განმარტებით ბარათში, კერძოდ, „ა.გ“ პუნქტში განმარტებულია „1000-ლარიანი კომპენსაცია დაუნესდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს გმირულად დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახებს, ამასთან, სახეზე უნდა გვქონდეს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის I პრიმა პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა“.

კასატორი მიიჩნევს, რომ ამ ნორმების განმარტებითი ბარათიდან, ისე როგორც მოქმედი სამართლებრივი ნორმებიდან, ცხადია, რომ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცულობის, რომელიც განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევებს (რომელიც ავტოავარიის შედეგად დაღუპვასაც ითვალისწინებს, რასაც სადავო შემთხვევაში ჰქონდა ადგილი), ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის პირველ პრიმა პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, როდესაც გარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისა, სახეზე უნდა იყოს უშუალოდ პოლიციური ღონისძიების განხორციელება, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ საქმის გარემოებები ან მოვლენების შეუფერხებელი განვითარება გამოიწვევს „პოლიციის შესახებ“ კანონით დაცული სიკეთისათვის ზიანის მიყენებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა პოლიციელის დაღუპვა. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლი განსაზღვრავს თუ რა ღონისძიებებს ახორციელებს პოლიცია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის (პოლიციის ფუნქციები) უზრუნველსაყოფად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც ასევე დაკონკრეტებულია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველ პუნქტში. კანონპროექტში ეს შემთხვევები მოხსენიებულია „გმირულად“ დაღუპვად. ვინაიდან, ეს ტერმინი კანონში არ არის მითითებული, რადგან იგი შეფასებითი კატეგორიაა, ამ ორი კატეგორიის დაღუპვის შემთხვევების ერთმანეთისაგან გასამიჯნად და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რომელ გარემოებას ჰქონდა ადგილი ანუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების მიზნით, ში-

ნაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 25 აგვისტოს №627 ბრძანებით შეიქმნა კომისია და დამტკიცდა ამ კომისიის დებულება. ამ დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „კომისიის მიზანია სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და ლუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურება“. მოსარჩელე-ქალბატონ მ. ნ-ის განცხადების საფუძველზე, კომისიამ მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დაადგინა: 1992 წლის 14 იანვარს ზ. ს. ნ-ი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს (მცხეთის რაიონის, სოფელ ... მოყინულ გზაზე, ზ. ნ-მა ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადავიდა გზის სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს და შეეჯახა გაჩერებულ ა/მანქანას გაზ-52-ს) მიღებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეებს გამოეყოთ იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ერთჯერადი ფულადი დახმარებაც და შესაბამისი კომპენსაციები, რასაც არც მოსარჩელე მხარე არ უარყოფს. შესაბამისად, აღნიშნული კონკრეტული შემთხვევა (მოსარჩელის მოთხოვნა) არ ექცევა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის I პრიმა პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნის რეგულაციაში.

კასატორის მოსაზრებით, როგორც სააპელაციო, ასევე ძალაში დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებები არა მარტო ზემოაღნიშნული, არასწორად გამოყენებული სამართლებრივი ნორმებისა, არამედ მთლიანად არაშესაბამისი სამართლებრივი ნორმებითა და სასამართლო პრაქტიკითაა გამყარებული. სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-13, 21-ე, 42-ე მუხლებზე, ასევე ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლსა და პირველ დამატებით ოქმზე – ეს ნორმები ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების (მათ შორის, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებები) ხელშეუვალობას განსაზღვრავს, მაგრამ ძა-

ლიან ზოგადი და არაშესაბამისი საფუძველი და მოტივაციაა გა-
დანყვეტილებების დასაბუთებისათვის, რადგან არც საკუთრების
და არც მემკვიდრეობის უფლება შს სამინისტროს სადავოდ არ
გაუზღვია და არ დაუყენებია საკითხი შსს-ს ყოფილი თანამშრომ-
ლის, ზ. ნ-ის მიუღღეს – მ. ნ-ს, ჰქონდა თუ არა უფლება სასა-
მართლოში ედავა გაზრდილი ერთჯერადი ფულადი დახმარე-
ბისა და სოციალური კომპენსაციის დანიშვნის კუთხით (რომე-
ლიც იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროს გარდაცვლილი პოლიციელის მემ-
კვიდრეებზე გაცემული აქვს სრულად).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2017 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით საქარ-
თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი
მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად გან-
სახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-
ჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების საფუძვლიანობის შე-
მონების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქ-
მეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს
ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1992 წლის 7
თებერვლის №1373/შ ბრძანების თანახმად, გარდაცვალების გა-
მო, ამოღებულ იქნა პირადი შემადგენლობის სიიდან მილიციის
კაპიტანი ზ.ი ს.ნ-ი – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქ-
მეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულობებსა და საბო-
ტაჟთან მებრძოლი სამმართველოს ვაჭრობის, ცეკავშირის სის-
ტემაში დანაშაულის, სავალუტო ოპერაციებისა და ყალბი ფუ-
ლის დამზადებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ მებრძოლი
განყოფილების ოპერანმუნებული 1992 წლის 14 იანვრიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1992 წლის 6
აპრილის №2733/შ ბრძანებით საქართველოს რესპუბლიკის ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროს 1992 წლის 7 თებერვლის №1373/შ
ბრძანებას, მილიციის კაპიტნის ზ. ს.ნ-ის, ამავე სამინისტროს
ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართვე-
ლოს ოპერანმუნებულის გარდაცვალების გამო, პირადი შემად-
გენლობის სიიდან ამოღების ნაწილში დაემატა: „ამოღებულ იქ-
ნეს პირადი შემადგენლობის სიიდან გარდაცვალების გამო სამ-
სახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს“. ბრძანების მი-
ღების საფუძველია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქ-

მეთა მინისტრის მოადგილის, მილიციის პოლკოვნიკის 1992 წლის 29 თებერვლის დასკვნა, რომლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერანშუნებული, მილიციის კაპიტანი ზ. ს.წ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. შემთხვევის დროს იგი იყო ფხიზელ მდგომარეობაში. მ. წ-ი არის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერანშუნებულის, მილიციის კაპიტანის ზ. ს.წ-ის მეუღლე. 2015 წლის 10 ნოემბერს მოსარჩელე მ. წ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ითხოვა მისთვის, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილი პოლიციელის მეუღლისათვის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე კომპენსაციის დანიშნვა. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 8 დეკემბრის №9/35 გადაწყვეტილებით მოსარჩელე მ. წ-ს უარი ეთქვა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ზ. ს.წ-ის (დაბ. ...წ.) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტის) დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადასტურებაზე/დადგენაზე.

სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელის მამკვიდრებელი საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ დანაშაულებათა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს ოპერანშუნებული, მილიციის კაპიტანი ზ. ს.წ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, არამედ სადავოა „პოლიციის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული, რომელი შემთხვევა ვრცელდება ზ. წ-ის გარდაცვალებაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძველებია: ა) კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამონურვა; ბ) 65 წლის ასაკის მიღწევა; გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; დ) მარჩენალის გარდაცვალება; ე) ოჯახის წევრის გარდაცვალება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1¹-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ამავე კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეს შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო

მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნორმის სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებით გამონეული პოლიციელის დაღუპვის შემთხვევის სწორი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა. კერძოდ, პოლიციელის გარდაცვალება გამონეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობის პირობებში და სწორედ პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებას მოჰყვა შედეგად მისი გარდაცვალება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის მეუღლე – ზ. ნ-ი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. თუმცა, დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 1¹-ლი პუნქტის ერთმანეთისგან გამიჯვნა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცემულობის, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევას, ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის პირველ პრიმა პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, რომელსაც შედეგადაც მოჰყვა პოლიციელის გარდაცვალება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართვე-

ლოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებულია შემდეგი შინაარსის მოსაზრება: „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელების ოჯახის წევრებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის სახით ყოველთვიური ფულადი დახმარების (კომპენსაცია) გაცემას. აღნიშნული თანხა შეადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელისთვის განკუთვნილი კომპენსაციის ოდენობის (რომელიც იანგარაშება წელთა ნამსახურობის და მინიჭებული წოდების მიხედვით) 75%-ს. ამასთან, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების შემთხვევებს კანონი არ განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტები დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ასეთად ითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის ნებისმიერი შემთხვევა. მაგალითად, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებად ითვლება, როგორც ავტოავარიაში დაღუპვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარდაცვალება, ასევე ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული: საპოლიციო პრევენციული ღონისძიების ჩატარებასთან; სამართალდარღვევის აღკვეთასთან; დამნაშავეის შეპყრობასა და დადევნებასთან; დამნაშავეობასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებასთან; სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმასთან; მოქალაქეთა სიცოცხლის გადარჩენასთან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს, რომელიც საფუძველად დაედო მ. წ-ის სარჩელის დაკმაყოფილებას, ნორმატიული შინაარსი არ გააჩნია და ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, არ არსებობს ნორმატიული აქტის პროექტის განმარტებითი ბარათის საფუძველზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მისი განმარტების საგანს წარმოადგენს კანონმდებლის ობიექტური მიზნის განსაზღვრა, ხოლო ნორმის განმარტება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლის მიერ ნორმის აღქმას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ფულადი დახმარება გაიცემა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მ. წ-ის მოთხოვნაზე, რომელიც მოიცავს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებასაც, შინაგან საქმეთა მინისტრს არ უმსჯელია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართალია მოსარჩელის მეუღლის – ზ. წ-ის გარდაცვალება ვერ ექცევა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლ პუნქტში, მაგრამ მ. წ-ის მოთხოვნა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოადგენდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე უფლების დადგენის შესაძლებლობას, რამდენადაც საქმის მასალებით დადგენილია და არც კასატორი ხდის სადავოდ, რომ ზ. წ-ი გარდაიცვალა სამსახურეობრივი მოვალებების შესრულებისას, რაც მისი მემკვიდრისათვის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების საფუძველს წარმოადგენს.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს, რომ მოსარჩელე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის, ხოლო მოპასუხე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელემ სარჩელის აღძვრისას გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი – 200 ლარის ოდენობით, რომელიც მას დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით. გამომდინარე იქიდან, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა, საკასაციო პალატის მიერ

მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება და მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, მას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 257-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. წ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალოს მ. წ-ის 2015 წლის 10 ნოემბრის განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. მოსარჩელეს – მ. წ-ს (პ/წ ...) დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 8 იანვრის №1 საგადახდო დავალების საფუძველზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 200 (ორასი) ლარის ოდენობით (ხაზინის ერთიანი ანგარიშის რეკვიზიტები: ბანკის დასახელება – ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“; ბანკის კოდი – TRESGE22; სახაზინო კოდი: ...).
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას
ბარდაცვლილ შსს მოსამსახურის ოჯახის
წევრისათვის კომპენსაციის დანიშვნა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-594-591(კ-17)

21 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ე-ემ 2015 წლის 27 ნოემბერს სარჩელი აღძრა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია-
ში მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მი-
მართ. მოსარჩელემ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწი-
ფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით
გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის
მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამ-
სახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და-
ლუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების
ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქ-
ტომბრის №5/15 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპა-
სუხისათვის მოსარჩელის მიმართ ახალი აქტის გამოცემის და-
ვალეობა მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის შინაგან
საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო გან-
ყოფილებაში უმცროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი სერ-
ჟანტი – გ. ე-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს,
2002 წლის 17 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარ-
დაიცვალა. ლ. ე-ემ, როგორც გ. ე-ის მეუღლემ, საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 3 აგვისტოს განცხა-

დებით მიმართა ოჯახის წევრის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად საჭირო აქტის გამოცემის მოთხოვნით. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილებით ლ. ე-ის მოთხოვნა – „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შსს-ს მოსამსახურე გ. ე-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურებაზე, არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის მოსაზრებით, მისი მოთხოვნა კომპენსაციის თაობაზე სრულ შესაბამისობაშია „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლ პუნქტთან და დაუსაბუთებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს უარი მისი უფლების დადასტურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ე-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ე-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ე-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილება; დაევალა საქარ-

თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ლ. ე-ეს დაუდასტურდება მისი მეუღლის გ. ე-ის (დაბადებული 19.01.1963წ.) გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1^{-ლი} პუნქტი) სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ მოწინააღმდეგე მხარის – ლ. ე-ის მეუღლე გ. ე-ე მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში უმცროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. პოლიციის უფროსი სერჟანტი გ. ე-ე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს 2002 წლის 17 ივლისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. ლ. ე-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა მისი მეუღლის გარდაცვალების გამო ყოველთვიური კომპენსაციის მიღების მიზნით, სამინისტროს მიერ ცნობის გაცემა, რაზე ეთქვა უარი, ვინაიდან ლ. ე-ის შემთხვევა არ ექცეოდა საქართველოს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის რეგულაციის სფეროში. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ არ დაკმაყოფილდა ლ. ე-ის სარჩელი. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა განმარტებული სამართლის ნორმა, რამაც საქმეზე კანონშეუსაბამო გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევით პოლიციელის გარდაცვალება, ექცევა საქართველოს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის პრიმა ნაწილის რეგულაციის სფეროში, მხოლოდ იმიტომ, რომ აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევა განხორციელდა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების დროს.

სამინისტრო განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1'-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დალუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ამავე კანონის 50-ე მუხლის 1'-ლი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღკვეთისას, დამნაშავეის შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დალუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად განხორციელდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი და პირველი პრიმა პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების გამიჯვნა. სასამართლომ არ გაიზიარა, რომ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია, არის უფრო ფართო ხასიათის, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დალუპვის შემთხვევებს, მაშინ როცა ამავე მუხლის პირველი პუნქტის პრიმა ნაწილით განსაზღვრულია კონკრეტული შემთხვევები, რომელსაც შედეგად მოჰყვა პოლიციელის დალუპვა. სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ „სახელმწიფო კომპენსაციებისა და აკადემიური სტიპენ-

დიების შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებითი ბარათით ზუსტად არის განმარტებული, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად, როგორც ავტოავარიით და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარდაცვალება, ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის პრიმა ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები, აღნიშნული განმარტებით კანონმდებელმა მოახდინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების შემთხვევების დიფერენციაცია, შემდგომი სამართლებრივი უფლების წარმოშობის მიზნით, ერთჯერადი თუ ყოველთვიური კომპენსაციის მიღების მიზნით. აღნიშნული გარემოება სასამართლოს მიერ უსაფუძვლოდ იქნა უგულებელყოფილი. ამასთან სასამართლო დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს რა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოსამსახურის გარდაცვალებას, ფაქტის მიმართ უნდა განახორციელოს სამართლებრივი დასაბუთება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, სამინისტრო მიიჩნევს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის დადგენა გულისხმობს უშუალო მიზეზობრივი კავშირის დადგენას ამ მუხლში მითითებული კონკრეტულ ქმედებასა და პირის გარდაცვალებას შორის, რაც სასამართლოს მიერ დაუსაბუთებლად არ იქნა განხორციელებული.

სამინისტრო განმარტავს, რომ ლ. ე-ის მეუღლის – გ. ე-ის გარდაცვალების შემთხვევა ექცევა პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის რეგულაციის სფეროში, შესაბამისად, სამინისტრო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს, არ იზიარებს კანონმდებლის მიზანს კანონის მიღებისა და მისი პრაქტიკაში რეალიზაციის კუთხით, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრისა და გასაჩივრებული განჩინების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის 2002 წლის 16 დეკემბრის დასკვნით დადგენილია და სადავო არ არის, რომ გ. ე-ე გარდაიცვალა ავტოავარიის შედეგად სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, კერძოდ, გ. ე-ე, საქართველოს შს მინისტრის 1999 წლის 25 ივლისის №327 ბრძანების საფუძველზე სამსახურის დროებითი გავლის მიზნით მივლინებულ იქნა დიდუბის რაიონის შს სამმართველოში. 2002 წლის 17 ივლისს, გ. ე-ე იმყოფებოდა ოპერატიულ ჯგუფში და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. დაახლოებით 17:30 საათზე ხელმძღვანელის დავალებით, ოპერატიულ ჯგუფთან ერთად თავისი კუთვნილი ავტომანქანით, ინფორმაციის გადამონშების მიზნით, გაემგზავრა „... ბაზრობის“ მიმართულეობით, რა დროსაც შეეჯახა ავტომანქანა „გაზ-2106“, რის შედეგად საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ლ. ე-ემ, როგორც გ. ე-ის მეუღლემ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა ოჯახის წევრის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვალების გამო სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად საჭირო აქტის გამოცემის მოთხოვნით.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურების კომისიის 2015 წლის 13 ოქტომბრის №5/15 გადაწყვეტილებით ლ. ე-ის მოთხოვნა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით საქართველოს შს-ს მოსამსახურე გ. ე-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების ფაქტის დადგენა/დადასტურებაზე არ დაკმაყოფილდა.

სადავო არ არის ის გარემოება, რომ მოსარჩელის მამკვიდრებელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოხუმის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უმცროსი ინსპექტორი, პოლიციის უფროსი სერჟანტი გ. ე-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი

მოვალეობის შესრულების დროს, არამედ სადავოა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული რომელი შემთხვევა ვრცელდება გ. ე-ის გარდაცვალებაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებია: ა) კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამონაწერა; ბ) 65 წლის ასაკის მიღწევა; გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა; დ) მარჩენალის გარდაცვალება; ე) ოჯახის წევრის გარდაცვალება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, გარდა ამ მუხლის 1¹-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პოლიციელის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარისა და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. ამავე კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიების განხორციელებისას, სამართალდარღვევის აღ-

კვეთისას, დამნაშავეის შეპყრობისას, დამნაშავეობასთან ბრძოლისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებისას, სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით თავდასხმისას, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან/და ქონების გადარჩენისას პოლიციელის დაღუპვის ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვალების შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან, მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და დაკრძალვის (საფლავის მოწყობის) ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. პოლიციელის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ნორმის სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებით გამონვეული პოლიციელის დაღუპვის შემთხვევის სწორი კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტია პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა. კერძოდ, პოლიციელის გარდაცვალება გამონვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლი პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობის პირობებში და სწორედ პროფესიული უფლებამოსილების განხორციელებას მოჰყვა შედეგად მისი გარდაცვალება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელის მეუღლე – გ. ე. ე. გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად. თუმცა, დავის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანია, „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 1¹-ლი პუნქტის ერთმანეთისგან გამიჯვნა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 50-ე მუხლის პირველი პუნქტის დეფინიცია არის უფრო ფართო მოცემულობის, რომელიც ზოგადად განსაზღვრავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის შემთხვევას, ხოლო რაც შეეხება 50-ე მუხლის პირველ პრიმა პუნქტს, აქ გამოყოფილია კონკრეტულად ის შემთხვევები, რომელსაც შედეგადაც მოჰყვა პოლიციელის გარდაცვალება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენ-

საციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტში ჩამოყალიბებულია შემდეგი შინაარსის მოსაზრება: „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელების ოჯახის წევრებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის სახით ყოველთვიური ფულადი დახმარების (კომპენსაცია) გაცემას. აღნიშნული თანხა შეადგენს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციელისთვის განკუთვნილი კომპენსაციის ოდენობის (რომელიც იანგარიშება წელთა ნამსახურობის და მინიჭებული ნოდების მიხედვით) 75%-ს. ამასთან, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების შემთხვევებს კანონი არ განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაქტები დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და ასეთად ითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოსამსახურის დაღუპვის ნებისმიერი შემთხვევა. მაგალითად, სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულება ითვლება, როგორც ავტოავარიაში დაღუპვა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გარდაცვალება, ასევე ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული: საპოლიციო პრევენციული ღონისძიების ჩატარებასთან; სამართალდარღვევის აღკვეთასთან; დამნაშავის შეპყრობასა და დადევნებასთან; დამნაშავეობასთან ბრძოლის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ან/და საბრძოლო მოქმედებების დროს შეტაკებასთან; სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირების თავდასხმასთან; მოქალაქეთა სიცოცხლის გადარჩენასთან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს, რომელიც საფუძველად დაედო ლ. ე-ის სარჩელის დაკმაყოფილებას, ნორმატიული შინაარსი არ გააჩნია და ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, არ არსებობს ნორმატიული აქტის პროექტის განმარტებითი ბარათის საფუძველზე სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მისი განმარტების საგანს წარმოადგენს კანონმდებლის ობიექტური მიზნის განსაზღვრა, ხოლო ნორმის განმარტება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლის

მიერ ნორმის აღქმას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლით გათვალისწინებული ფულადი დახმარება გაიცემა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლ. ე-ის მოთხოვნაზე, რომელიც მოიცავს „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უფლებასაც, შინაგან საქმეთა მინისტრს არ უმსჯელია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართალია, მოსარჩელის მეუღლის – გ. ე-ის გარდაცვალება ვერ ექცევა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 1¹-ლ პუნქტში, მაგრამ ლ. ე-ის მოთხოვნა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ფულადი დახმარების გაცემის თაობაზე, ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარმოადგენდა „პოლიციის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფულად დახმარებაზე უფლების დადგენის შესაძლებლობას, რამდენადაც საქმის მასალებით დადგენილია და არც კასატორი ხდის სადავოდ, რომ გ. ე-ე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც მისი მემკვიდრისათვის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფულადი დახმარების საფუძველს წარმოადგენს.

შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 257-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწ-

ყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. ე-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავეალოს ლ. ე-ის 2015 წლის 3 აგვისტოს განცხადებაზე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სარეიტინგო ქულის მინიჭება და სოციალური შემოქმედების შეწყვეტა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-509-506(2კ-17)

30 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 4 მარტს ა. ჩ-ემ და მ. ჩ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 1 ივნისიდან (6 თვე სოციალური აგენტის ბოლოს წინა ვიზიტიდან) იღებდნენ სოციალურ შემწეობას 204 ლარის ოდენობით, ვინაიდან მათი ოჯახის სოციალური ქულა შეადგენდა 28 720. მითითებული პერიოდიდან არ გაუმჯობესებულა მათი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა და კვლავ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ პირებს წარმოადგენენ.

მოსარჩელეთა მითითებით, 2014 წლის 4 დეკემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ განხორციელდა ვიზიტი, რომელმაც მათი ოჯახის დეკლარაციის შევსება განახორციელა ისე, რომ არ გაუთვალისწინებია ოჯახის რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შედეგად კი მოხდა მათი ოჯახის სოციალური ქულის გაზრდა და მათ მიენიჭა 74000 ქულა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრდა სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსთან, სადაც ასევე მოთხოვნილი იყო აქტის მოქმედების შეჩერება, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მოსარჩელე მ. ჩ-ის საწინააღმდეგოდ იძულებითი აღსრულების პროცესის შეჩერება, რომელიც განახლდა სოციალური ქულის გაზრდის შედეგად. მოსარჩელეთა მითითებით, იმის გამო, რომ არ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა შეჩერებული იძულებითი აღსრულების პროცესის განახლება და იძულებითი აღსრულების შედეგად სადავო ქონება გაიყიდა აუქციონზე, რამაც მ. ჩ-ეს მიაყენა მატერიალური ზიანი 15300 ლარის ოდენობით. ამასთან, კასატორთა განმარტებით, ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ არ განიხილა მათი საჩივარი იმ მოტივით, რომ სადავო გადაწყვეტილება წარმოადგენდა რეალაქტს და არა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რასაც არ იზიარებენ მოსარჩელები. მოსარჩელეთა მოსაზრებით, მათი საჩივარი ექვემდებარებოდა არათუ განხილვას, არამედ – დაკმაყოფილებას და სააგენტოს მხრიდან უსაფუძვლოდ ეთქვათ უარი მის წარმოებაში მიღებაზე.

მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შედეგად საბოლოოდ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 და 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №0-4599 და 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მათ სასარგებლოდ მორალური ზიანის – 1000 ლარისა და მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სო-

ციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მოსარჩელების მიმართ 2014 წლის დეკემბერში შევსებული დეკლარაციის საფუძველზე სარეიტინგო ქულის გამოთვლის კანონიერების თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგინოდა მიიჩნია, რომ ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის ოჯახი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 2006 წლიდან არის დარეგისტრირებული. ოჯახი 204 ლარის ოდენობით შემწეობას 2014 წლის 1 ივნისიდან 2014 წლის დეკემბრამდე იღებდა, ვიდრე მისი მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების შედეგად 74130 ქულის მინიჭების გამო არ შეუწყდა იგი.

2014 წლის 18 დეკემბერს მ. ჩ-ემ განცხადებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს მიმართა, რომლითაც მიუთითა, რომ სოციალურმა აგენტმა ოჯახის მდგომარეობა ძველი წესით აღწერა, რასაც აპროტესტებდა. განცხადებით მისმა ავტორმა მოითხოვა ოჯახის მდგომარეობა გადამოწმებულიყო ხელახლა, ახალი წესით, საყოფაცხოვრებო ტექნიკის გათვალისწინების გარეშე, ძველი წესით გადამოწმების შემთხვევაში კი, ქულის მინიჭება მომხდარიყო მისი საბინაო პირობების, სიდუხჭირის გათვალისწინებით. განცხადების მიხედვით, ოჯახის მდგომარეობა 28720 სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ არ გაუმჯობესებულა, თუ არ იქნება მხედველობაში მიღებული მეზობლის მიერ ნაჩუქარი ნივთები.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრში 2015 წლის 12 იანვარს წარდგენილი განცხადებით (№343) მ. ჩ-ემ 2014 წლის 18 დეკემბრის წერილზე რეაგირება მოითხოვა. ამავე დღეს წარდგენილი მეორე №385 განცხადებით კი, მ. ჩ-ემ №343 განცხადების დაზუსტების სახით განმარტა, რომ ითხოვდა ოჯახის გადამოწმებას იმ საფუძველით, რომ სოციალურმა აგენტმა სააგენტოს არასრული ინფორმაცია მიაწოდა, რაც უნდა ყოფილიყო გასწორებული.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის

№04-05/154 წერილით მ. ჩ-ეს 2015 წლის 12 იანვრის №343 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ განმეორებით შეფასების მოთხოვნით შექმლო სააგენტოსათვის ერთი წლის შემდეგ – 2016 წლის 3 იანვრიდან მიემართა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილით მ. ჩ-ეს 2015 წლის 12 იანვრის №385 წერილის პასუხად ეცნობა, რომ ხელახალი გადამოწმების თაობაზე სააგენტომ განმარტება 2015 წლის 14 იანვრის წერილით გააკეთა.

2015 წლის 21 იანვარს მ. ჩ-ემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ადმინისტრაციული საჩივარი წარადგინა, რომლითაც 74130 ქულის მინიჭების თაობაზე ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ოჯახისათვის შემწეობის გაცემის განახლება მოითხოვა, ასევე, მოითხოვა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებული ყოფილიყო სადავო აქტის მოქმედება. ადმინისტრაციული საჩივრის საფუძვლად მითითებულ იქნა მასზე, რომ სოციალურმა აგენტმა დეკლარაცია შეავსო იმგვარად, რომ არ გაითვალისწინა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახში არსებული ნივთების მესაკუთრისა და მფლობელობის თაობაზე ინფორმაცია, შემოსავლებისა და ხარჯების შესწავლა არ განახორციელა სათანადო გულისხმიერებით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №04/4599 წერილით ა. ჩ-ეს ეცნობა, რომ მ. ჩ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების თაობაზე ინფორმაციას მიიღებდა მოგვიანებით.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილით ა. ჩ-ეს, როგორც მ. ჩ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ უფლებამოსილი იყო, 2015 წლის 4 მარტამდე მოეთხოვა ოჯახის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების კორექტირება, თუ გააჩნდა შესაბამისი მტკიცებულებებითა და ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებული პრეტენზია ამ მონაცემების უზუსტობის თაობაზე. ამავე წერილის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში იმაზე მითითებით, რომ საჩივრის ავტორი მოითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, სადავო სარეიტინგო ქულის დადგენა და შემწეობის შეწყვეტა კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ განხორციელებულა.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივ-

რებული წერილები – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის, 2015 წლის 21 იანვრისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის წერილები მოსარჩელეთა მიმართ სადავო შედეგს არ წარმოშობს. მართალია, 2015 წლის 14 იანვრისა და 21 იანვრის წერილებით მოსარჩელებს განემარტათ, რომ 2016 წლის იანვრამდე ოჯახის ხელახალი გადამონმება ვერ განხორციელდებოდა, თუმცა მოსარჩელეთა რეალური ინტერესი იყო არა ხელახალი გადამონმება, არამედ უკვე განხორციელებული გაამონმებისა და ქულის დაანგარიშების კანონიერების დადგენა, რაზედაც მოგვიანებით საჩივარი იქნა წარდგენილი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული წერილები არ წარმოადგენენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს და მათი ბათილად ცნობის მოთხოვნის მიმართ ინტერესი დაუსაბუთებელია.

სასამართლოს განმარტებით, რაც შეეხება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილს, იგი გამოცემულია რა მ. ჩ-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მოსარჩელეთა სოციალურ უფლებას და მასთან დაკავშირებით ქვემდგომი ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების მართლზომიერების საკითხს. შესაბამისად, დასახელებული აქტის კანონიერების დასადგენად უნდა იქნეს შეფასებული მისი შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ აქტის გამოცემის მომწესრიგებელ ნორმებთან, ასევე, სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილე პირის უფლების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული მის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლების, როგორც კონსტიტუციური უფლების რეალიზაციასთან, რაც კანონით დადგენილი რამდენიმე ფორმით ხორციელდება და რომელიც, თავის მხრივ, განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს შემონმებისა და შეფასების სფეროს. ამდენად, საჯარო მოხელეების მხრიდან პირის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საპროცესო დოკუმენტების ზუსტი კვალიფიკაცია უშუალო კავშირშია ადამიანის, როგორც მატერიალური, ასევე პროცედურული უფლებების უზრუნველყოფასთან, მმართველობის კანონიერების, თანასწორობისა და კანონიერი ნდო-

ბის უფლების პრინციპების განხორციელებასთან. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტით მოპასუხემ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში არ მიიღო იმაზე მითითებით, რომ სარეიტინგო ქულის დადგენა არ განხორციელებულა ადმინისტრაციული აქტით, ოჯახის გადამონმების შედეგების შეცვლა კი მხოლოდ ხელახალი გადამონმების ან დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების კორექტირების საფუძველზე იყო შესაძლებელი.

სასამართლომ დაადასტურა მოპასუხის განმარტება მასზე, რომ სარეიტინგო ქულის დადგენა და შემწეობის შეწყვეტა არ განხორციელებულა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, თუმცა აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის შესაბამისად, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ არის წარდგენილი სათანადო წესით, ადმინისტრაციული ორგანო, ვალდებულია, დაუდგინოს მას ხარვეზი, თანახმად ამავე კოდექსის 185-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში, წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, ცხადი იყო პრეტენზიის საგანი – ახალი, სადავო სარეიტინგო ქულის დადგენა და მისგან გამომდინარე, სოციალური შემწეობის შეწყვეტა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო, დახმარებოდა ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს მოთხოვნის კორექტირებაში, ამის შემდეგ კი, ჩატარებინა სათანადო წარმოება, გამოეკვლია პრეტენზიის არსი და მისი საფუძვლიანობა, ასევე გამოეკვლია, დეკლარაციის შევსებისას ჯეროვნად იქნა თუ არა განმარტებული განხორციელებული მოქმედებების მნიშვნელობა, მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგები თუ პრეტენზიების წარდგენის წესი და პირობები.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. კანონმდებელი იმდენად არსებით და აქტის კანონიერების განმსაზღვრელ ფუნქციას ანიჭებს საქმის გარემოებათა გამოკვლევას, რომ იმპერატიულად კრძალავს, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაუდოს ისეთი გარემოება ან ფაქ-

ტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები).

ადმინისტრაციული წარმოების ვალდებულების შესრულება ემსახურება ასევე უმნიშვნელოვანეს – მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა ახსნას, განმარტოს, თუ რა ფაქტებზე დაყრდნობით მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება და რა მოტივებით უარყო წარმოების შედეგით დაინტერესებული მხარის არგუმენტები. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად კი, წერილობით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, ხოლო თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აქტის გამოცემისას.

დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია განემარტა სოციალური დახმარების სფეროში მმართველობის განხორციელების კანონიერების უზრუნველყოფის მიზანი, ამ სფეროში მომსახურე ბიუროკრატის როლი და სოციალური ფუნქცია, რათა მომავალში მაქსიმალურად იქნეს თავიდან აცილებული სოციალური დახმარების სუბიექტების კონფლიქტები შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან. სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება და, საერთოდ, ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა. ამ კატეგორიის უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოყალიბდა სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, რომელიც საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაშიც აისახა. ასეთი უფლებებისა და განვითარების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია სოციალური სახელმწიფოს არსებობა.

სწორედ ამ ფუნქციის შესრულებაა სოციალური სახელმწიფოს დანიშნულება. სახელმწიფოს ფუნქცია – უზრუნველყოს საკუთარი ხალხის საჯარო ამოცანების გადაწყვეტა, ცხოვრების ყველა სფეროში ვლინდება. საზოგადოებრივი და სოციალური სოლიდარობის ეგიდით სახელმწიფო აფინანსებს გარკვეული კატეგორიის პირებს. სოციალურ სფეროში მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ საჯარო ფუნქციას წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა.

ადმინისტრაციული სამართლის, რომლის კერძო ნაწილსაც წარმოადგენს სოციალური დაცვის სამართალი, პრინციპები, როგორცაა – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის და ა. შ. სრულად ვრცელდება სსიპ სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ევროპის სოციალური ქარტიის მე-14 მუხლი – სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლება (რომელსაც მიერთებულია საქართველოს სახელმწიფო), ადგენს: სოციალური უზრუნველყოფის სამსახურებით სარგებლობის უფლების ეფექტური განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ, უზრუნველყონ ისეთი სამსახურები, რომლებიც სოციალური საქმიანობის მეთოდიკის გამოყენებით ხელს შეუწყობენ როგორც ცალკეულ პირებს, ისე საზოგადოებრივი ჯგუფების კეთილდღეობას და განვითარებას, ასევე, მათ შეგუებას სოციალურ გარემოსთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების საქმიანობის უკიდურესი სპეციფიკიდან გამომდინარე, სამსახურის თანამშრომლების კომუნიკაცია ბენეფიციარებთან უნდა ეფუძნებოდეს გულისხმიერების, თავაზიანობის, მზრუნველობის და მათი სრული ინფორმირებისა და ამომწურავი კონსულტირების სტანდარტს, ვინაიდან სწორედ ამგვარი მომსახურების პირობებში არის შესაძლებელი კანონით გაანტირებული უფლების რეალურად განხორციელება.

სწორედ ზემოაღნიშნული სტანდარტით იყო ვალდებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, განეხილა მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი და შეემოწმებინა ქვემდგომი ორგანოს ქმედებების მართლზომიერება, რასაც ადგილი არ ჰქონია. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის წერილი გამოცემული იყო კანონმდებლობის დანაწესების

უფულებელყოფით, საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე და ამგვარად ზღუდავდა მოსარჩელის უფლებას, რის გამოც ბათილად უნდა იქნეს ცნობილი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე სადავო საკითხის გადაწყვეტილად და მოპასუხეს უნდა დაევალოს, ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც, მ. ჩ-ის პრეტენზიების, განმარტებებისა და საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევის საფუძველზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება მისი ოჯახის მიმართ 2014 წლის დეკემბერში განხორცილებული შემონმების შედეგად ახალი სარეიტინგო ქულის მინიჭებისა და მისგან გამომდინარე სოციალური შემწეობის შეწყვეტის კანონიერების თაობაზე.

სასამართლოს განმარტებით, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენება გამორიცხავდა მოცემულ სტადიაზე ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელეების მოთხოვნის საფუძვლიანობის განხილვა-გადაწყვეტის პროცესულურ შესაძლებლობას, რამეთუ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სადავო ქმედებების კანონიერების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახუ-

რებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. მითითებული ნორმებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, თუ იგი მიყენებულია ამ ორგანოს სახელმწიფო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შედეგად. ამასთან, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოეშობა მოსამსახურის ბრალის მიუხედავად, თუ არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები, ამ მუხლში მითითებული ბრალის ფორმების არსებობის შემთხვევაში კი, მოსამსახურეს, ასევე, ეკისრება პასუხისმგებლობა დამდგარი ზიანისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემწეობის შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობა დამოკიდებულია სოციალური შემწეობის შეწყვეტის კანონიერებაზე, რაზედაც მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ უნდა იმსჯელოს. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება სადავო ქმედებების უკანონობა, მოპასუხე ვალდებული იქნება, აუნაზღაუროს მოსარჩელეს ამ ქმედებების შედეგად მიყენებული ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა. ჩ-ემ და მ. ჩ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჩ-ის და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილი, 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №0-4599 წერილი და 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მ. ჩ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი მორალური ზიანისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე; ამდენად, ვინაიდან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, აღნიშნული დასკვნა ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდეს და ეფუძნებოდეს სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ განვითარებულ სამართლებრივ შეფასებებს, რაც ერთობლიობაში ქმნის გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებულობას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილების სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების ურთიერთგამომრიცხავობის პირობებში გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 14 იანვრის №04-05/167 აქტის ბათილად ცნობის შესახებ (ამასთან, დასაბუთებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის შესახებ), ხოლო სამოტივაციო ნაწილის 6.1. პუნქტში სასამართლომ ჩამოაყალიბა სასამართლებრივი დასკვნა, იმის შესახებ, რომ 2015 წლის 14 იანვრის წერილი არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი ბათილად ცნობის მოთხოვნის მიმართ მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესი იყო დაუსა-

ბუთებელი, რაც გამორიცხავდა სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნები სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილის, 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილის, ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №0-4599 წერილის და 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილის ბათილად ცნობის შესახებ საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია შემდეგი: ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა შემწეობას 2014 წლის 1 ივნისიდან 2014 წლის დეკემბრამდე; 2014 წლის დეკემბრიდან ოჯახის მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების შედეგად ოჯახს მიენიჭა რა 74 130 ქულა შეუწყდა სოციალური შემწეობის გაცემა.

2014 წლის 18 დეკემბერს მ. ჩ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს, რომელშიც მიუთითა, რომ აპროტესტებდა ოჯახის მდგომარეობის შეფასებას ძველი წესით, რადგან ამან გამოიწვია ოჯახის სარეიტინგო ქულის გაზრდა 28 720-დან 74 130-მდე. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ოჯახის მდგომარეობა 28 720 სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ არ გაუმჯობესებულა. 2015 წლის 12 იანვარს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრში მ. ჩ-ემ წარადგინა №343 და №385 განცხადებები და მოითხოვა როგორც 2014 წლის 18 დეკემბრის განცხადებაზე რეაგირება, ასევე არსებული მონაცემების შესწორება, იმ საფუძველზე, რომ 2014 წლის 4 დეკემბრის აღწერისას სოციალური აგენტის მიერ არასრულყოფილი ინფორმაცია იქნა მიწოდებული, რამაც განაპირობა არარეალური სარეიტინგო ქულის მინიჭება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილით მ. ჩ-ეს 2015 წლის 12 იანვრის №343 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ განმეორებით შეფასების მოთხოვნით შეეძლო სააგენტოსათვის მიემართა ერთი წლის შემდეგ – 2016 წლის 3 იანვრიდან.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 21 იანვრის

№04-05/290 წერილით მ. ჩ-ეს 2015 წლის 12 იანვრის №385 წერილის პასუხად განემარტა, რომ განმეორებითი გადამოწმების კანონიერი საფუძვლების შესახებ მას ეცნობა 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილით, შესაბამისად, ამ ეტაპზე ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობდა.

2015 წლის 21 იანვარს მ. ჩ-ემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც 74130 ქულის მინიჭების თაობაზე ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ოჯახისათვის შემწეობის გაცემის განახლება მოითხოვა, ასევე, მოითხოვა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებული ყოფილიყო სადავო აქტის მოქმედება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №04/4599 წერილით ა. ჩ-ეს ეცნობა, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების თაობაზე ინფორმაციას მიიღებდა მოგვიანებით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილით ა. ჩ-ეს, როგორც მ. ჩ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ უფლებამოსილი იყო 2015 წლის 4 მარტამდე მოეთხოვა ოჯახის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების კორექტირება, თუ გააჩნდა შესაბამისი მტკიცებულებებითა და ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებული პრეტენზია ამ მონაცემების უზუსტობის თაობაზე. ამავე წერილის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში იმაზე მითითებით, რომ საჩივრის ავტორი მოითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, სადავო სარეიტინგო ქულის დადგენა და შემწეობის შეწყვეტა კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ განხორციელებულა.

სააპელაციო პალატამ უპირველესად მიუთითა, რომ მ. ჩ-ის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ ზემოთ აღნიშნულ არც ერთი განცხადება – საჩივარში არ არის გაცხადებული მოთხოვნა ოჯახის განმეორებითი შეფასების შესახებ, შესაბამისად, სადავო აქტების იმაზე დაფუძნება, რომ განმცხადებელი ითხოვდა ოჯახის განმეორებით შეფასებას, რომლის სამართლებრივი საფუძველიც არ არსებობდა დაუსაბუთებელი იყო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ჩ-ემ, როგორც პირველივე 2014 წლის 18 დეკემბრის განცხადებით, ასევე შემდგომი განცხადებებით (2015 წლის 12 იანვრის №343, №385 განცხადებები) და 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრით ადმინისტრაციულ ორგანოში სადავოდ გახადა მინიჭებუ-

ლი იმ სარეიტინგო ქულის კანონიერება, რომლის საფუძველზეც მის ოჯახს შეუწყდა სოციალური შემწეობა და ითხოვდა არა შეცვლილი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე ოჯახის განმეორებით შეფასებას, არამედ 2014 წლის 4 დეკემბერს განხორციელებული შემოწმების შედეგად მინიჭებული ქულების კანონიერების შესწავლა-შეფასებას და აღნიშნული შემოწმების შედეგად მინიჭებული ქულების შეცვლას.

სააპელაციო პალატის მითითებით, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია 2015 წლის 30 იანვრის აქტით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარი (ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში) იმაზე მითითებით, რომ არ დაიშვებოდა საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებაზე, იმდენად, რამდენადაც საჩივრის ავტორი ითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, სადავო სარეიტინგო ქულის დადგენა და შემწეობის შეწყვეტა კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ განხორციელებულა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოს ზემოთ აღნიშნული პოზიცია და მიიჩნია, რომ როგორც სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილი, ასევე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №0-4599 წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 და 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილები წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, იმდენად, რამდენადაც აღნიშნული წერილებით მ. ჩ-ეს რეალურად უარი ეთქვა 2014 წლის 18 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე. სააპელაციო პალატამ აქვე მიუთითა, რომ აღნიშნული უარი უკანონო იყო შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ სადავო აქტების შინაარსის ერთობლიობაში შეფასების შედეგად, რაც ასევე გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციიდანაც, მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა განხილული, ვინაიდან სარეიტინგო ქულის დადგენა არ განხორციელებულა ადმინისტრაციული აქტით, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177.3. მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტის გამოცემასთან გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით. ამასთან, ამავე კოდექსის 185-ე და 83-ე მუხლების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ არის წარდგენილი სათანადო წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაუდგინოს მას ხარვეზი. მოცემულ შემთხვევაში 2014 წლის 18 დეკემბერს წარდგენილი განცხადების, რაც თავისი შინაარსით არის ადმინისტრაციული საჩივარი, პრეტენზიის საგანი იყო დადგენილი სარეიტინგო ქულის (74 130) და მისგან გამომდინარე სოციალური შემწეობის შეწყვეტის კანონიერება. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ზაკ-ის მე-13 თავის შესაბამისად ვალდებული იყო განეხილა აღნიშნული საჩივარი ზაკ-ის მე-6 თავით დადგენილი წესებით, რა დროსაც უნდა გამოეკვლია პრეტენზიის არსი და მისი საფუძვლიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ სადავო აქტები უკანონოდ მიიჩნია, რის გამოც ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ზაკ-ის 60¹.1 მუხლის, ასკ-ის 22-ე და 32.1. მუხლების შესაბამისად. ამასთან, ასკ-ის 24-ე და 33¹ მუხლების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დავალებოდა მ. ჩ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, ვინაიდან სახეზე იყო მოსარჩელის ინტერესის რეალური დარღვევა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმით.

ამასთან, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა მატარიალური და მორალური ზიანის (1000-1000 ლარის ოდენობით) ანაზღაურების შესახებ. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელები მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების შესახებ აფუძნებენ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სადავო აქტის მოქმედების შეუჩერებლობით გამოწვეულ ზიანს. შესაბამისად, ზიანის მოთხოვნის საფუძვლიანობის განმსაზღვრელია ადმინისტრაციულმა ორგანომ დარღვია თუ არა კანონის მოთხოვნა, იმდენად, რამდენადაც ზაკ-ის 207-ე-208-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების საფუძველია სახელმწიფო მოსამსახურის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა ანუ სახეზე უნდა იყოს სახელმწიფო მოსამსახურის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციუ-

ლი ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება – სარეიტინგო ქულის მინიჭება და სოციალური შემწეობის შეწყვეტა, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის საგანს, მაგრამ ამავე კოდექსით დადგენილი არ არის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შეჩერება და ვერც იქნება, რადგან ქმედება არის ფაქტი და ასეთის პირობებში უკვე სახეზეა დამდგარი რეალური შედეგი. კერძოდ, ზაკ-ის 184-ე მუხლის შესაბამისად შეჩერდება გასაჩივრებული აქტის მოქმედება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან, რის თაობაზეც გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა. კასატორი მიუთითებდა, რომ სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა. ჩ-ემ და მ. ჩ-ემ, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორების – ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს კონსტიტუციის 82.1, 84.1, 85.3 მუხლების დარღვევით. კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ შეცვალა დავის საგანი, კერძოდ, ზაკ-ის 184-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.01.15წ. აქტის შეჩერების ნაცვლად სააპელაციო სასამართლომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მათი 18.12.14წ. საინფორმაციო წერილის გამოკვლევა დაავალა. სააპელაციო სასამართლომ დოკუმენტი ქულების მინიჭების შესახებ ანუ ამონაწერი სოც. დაუცველთა ბაზიდან, მიიჩნია ქმედებად, ფაქტად, რაც ზაკ-ის 184-ე მუხლით ვერ შეჩერდებოდა, რასაც არ ეთანხმებიან კასატორები და მიუთითებენ ასკ-ის 24-ე მუხლზე.

კასატორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, 32(1,2) და 33(2) მუხლები და გამოიყენა ის, რაც არ უნდა გამოეყენებინა – 32(4) და 33(1) მუხლები.

ამასთან, კასატორების მითითებით, სასამართლომ გადაწყვეტილების გამოცხადება გადაიტანა უმოტივაციოდ, სსსკ-ის 257-ე მუხლის დარღვევით.

კასატორების მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმიდან ამოიღო გამოცხადების ოქმი და ჩადო მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რის გამოც მათ შუამდგომლობით მიმართეს სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს დარღვეული საპროცესო ნორმის განხილვა და მათი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, რაზეც არ ისმჯელა სააპელაციო სასამართლომ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები მათი 14.02.17წ. შუამდგომლობის განხილვასა და დაკმაყოფილებას ითხოვენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 ივნისის განჩინებებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაზე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებლად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ

ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში მოსარჩელების მიმართ 2014 წლის დეკემბერში შევსებული დეკლარაციის საფუძველზე სარეიტინგო ქულის გამოთვლის კანონიერების თაობაზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

ამასთან, გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ჩ-ის და მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილი, 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №0-4599 წერილი და 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილი; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მ. ჩ-ის 2014 წლის 18 დეკემბრის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის სარჩელი მორალური ზიანისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებაზე,

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე; ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის შუამდგომლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის დადგენა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის ოჯახი რეგისტრირებული იყო სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებდა შემწევობას 2014 წლის 1 ივნისიდან 2014 წლის დეკემბრამდე. 2014 წლის დეკემბრიდან, ოჯახის მდგომარეობის ხელახალი გადამოწმების შედეგად, ოჯახს მიენიჭა რა 74 130 ქულა, შეუწყდა სოციალური შემწევობის გაცემა.

2014 წლის 18 დეკემბერს მ. ჩ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრს, რომელშიც მიუთითა, რომ აპროტესტებდა ოჯახის მდგომარეობის შეფასებას ძველი წესით, რადგან ამან გამოიწვია ოჯახის სარეიტინგო ქულის გაზრდა 28 720-დან 74 130-მდე. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ოჯახის მდგომარეობა 28 720 სარეიტინგო ქულის მინიჭების შემდეგ არ გაუმჯობესებულა. ამასთან, 2015 წლის 12 იანვარს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრში მ. ჩ-ემ წარადგინა №343 და №385 განცხადებები და მოითხოვა როგორც 2014 წლის 18 დეკემბრის განცხადებაზე რეაგირება, ასევე არსებული მონაცემების შესწორება, იმ საფუძვლით, რომ 2014 წლის 4 დეკემბრის აღწერისას სოციალური აგენტის მიერ არასრულყოფილი ინფორმაცია იქნა მიწოდებული, რამაც განაპირობა არარეალური სარეიტინგო ქულის მინიჭება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილით მ. ჩ-ეს 2015 წლის 12 იანვრის №343 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ განმეორებით შეფასების მოთხოვნით შეეძლო სააგენტოსათვის მიემართა ერთი წლის შემდეგ – 2016 წლის 3 იანვრიდან.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილით მ. ჩ-ეს 2015 წლის 12 იანვრის №385 წერილის პასუხად განემარტა, რომ განმეორებითი გადამოწმების კანონიერი საფუძვლების შესახებ მას ეცნობა 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 წერილით, შესაბამისად, ამ ეტაპზე ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების სამართლებრივი შესაძლებლობა არ არსებობდა.

2015 წლის 21 იანვარს მ. ჩ-ემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომლითაც 74130 ქულის მინიჭების თაობაზე ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ოჯახისათვის შემწეობის გაცემის განახლება მოითხოვა, ასევე, მოითხოვა, რომ გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერებულიყო სადავო აქტის მოქმედება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №04/4599 წერილით ა. ჩ-ეს ეცნობა, რომ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული წარმოების თაობაზე ინფორმაციას მიიღებდა მოგვიანებით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილით ა. ჩ-ეს, როგორც მ. ჩ-ის წარმომადგენელს ეცნობა, რომ უფლებამოსილი იყო 2015 წლის 4 მარტამდე მოეთხოვა ოჯახის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების კორექტირება, თუ გააჩნდა შესაბამისი მტკიცებულებებითა და ფაქტობრივი გარემოებებით დასაბუთებული პრეტენზია ამ მონაცემების უზუსტობის თაობაზე. ამავე წერილის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი არ იქნა მიღებული წარმოებაში იმაზე მითითებით, რომ საჩივრის ავტორი მოითხოვდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, სადავო სარეიტინგო ქულის დადგენა და შემწეობის შეწყვეტა კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ განხორციელებულა.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ისანი-სამგორის სოციალური მომსახურების ცენტრის 2015 წლის 14 იანვრის №04-05/154 და 2015 წლის 21 იანვრის №04-05/290 წერილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 26 იანვრის №0-4599 და 2015 წლის 30 იანვრის №04/6627 წერილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის – 1000 ლარისა და მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრება წარმოადგენს.

კასატორები მათ მოთხოვნას ძირითადად იმ გარემოებაზე აფუძნებენ, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ არასწორი ინფორმაციით შევსებული დეკლარაციის საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულის გამო შეუწყდათ სოციალური შემწეობის გაცემა. კასატორთა მიზანს 2014 წლის 4 დეკემბერს განხორციელებული შემონმების შედეგად გაზრდილი ქულების კანონიერების შესწავლა-შეფასება და მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეცვლა წარმოადგენს. ამასთან, კასატორებს კანონიერი ინტერესი გააჩნიათ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეჩერების მიმართ და მოცემული დავის ფარგლებში მათ ძირითად მოთხოვნას სწორედ მათი ოჯახის გადამონმების შედეგად მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეჩერება და გაზრდილი ქულების შეცვლა წარმოადგენს.

დადგენილია, რომ მ. ჩ-ემ, როგორც პირველივე 2014 წლის 18 დეკემბრის განცხადებით, ასევე შემდგომი განცხადებებით (2015 წლის 12 იანვრის №343 და №385 განცხადებები) და 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრით ადმინისტრაციულ ორგანოში სადავოდ გახადა მინიჭებული იმ სარეიტინგო ქულის კანონიერება, რომლის საფუძველზეც მის ოჯახს შეუწყდა სოციალური შემწეობა და ითხოვდა არა შეცვლილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ოჯახის განმეორებით შეფასებას, არამედ 2014 წლის 4 დეკემბერს განხორციელებული შემონმების შედეგად მინიჭებული ქულების კანონიერების შესწავლა-შეფასებას და აღნიშნული შემონმების შედეგად მინიჭებული ქულების შეცვლას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე სადავოდ ხდიდნენ და არ ეთანხმებოდნენ მინიჭებულ იმ სარეიტინგო ქულას, რომლის საფუძველზეც ჩამოერთვათ სტატუსი და მათ ოჯახს შეუწყდა სოციალური შემწეობის გაცემა. მოსარჩელეთა მოთხოვნა ახალი ქულების მინიჭების პროცედურების კანონიერების შემონმებას ეფუძნებოდა. მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ მათთვის გაზრდილი ქულების კანონიერებას, რომელმაც გადაწყვიტა მათთვის სოციალური შემწეობის შეწყვეტისა და სტატუსის ჩამორთმევის საკითხი. მოსარჩელეთა მიზანია აღდგეს 2014 წლის 4 დეკემბერს მათი ოჯახის შეფასებამდე და ახალი ქულების უკანონოდ მინიჭებამდე არსებული მდგომარეობა.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები და

ადმინისტრაციულ ორგანოს წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა დაევალა. სადავო აქტების კანონიერების შეფასებისას საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმ მოცემულობით, სადაც აღნიშნულია, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო არ იყო უფლებამოსილი უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და რომ მას კანონისმიერი ვალდებულება ჰქონდა განეხილა მ. ჩ-ის მიერ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი, თუმცა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სარეიტინგო ქულების შეჩერების თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის ფარგლებში მოსარჩელები ასევე სადავოდ ხდიან მათ მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას გაზრდილი სარეიტინგო ქულის შეჩერებაზე ადმინისტრაციული ორგანოს უარის კანონიერებას. მოსარჩელები მოთხოვნას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მათ სასარგებლოდ მორალური ზიანის – 1000 ლარისა და მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე აფუძნებენ სწორედ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სადავო აქტის მოქმედების შეუჩერებლობას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, გასაჩივრებული აქტები არ შეიცავს დასაბუთებას აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; ხოლო სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ „მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება – სარეიტინგო ქულის მინიჭება და სოციალური შემწეობის შეწყვეტა, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივრის საგანს, მაგრამ ამავ ე კოდექსით დადგენილი არ არის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების შეჩერება და ვერც იქნება, რადგან ქმედება არის ფაქტი და ასეთის პირობებში უკვე სახეზეა დამდგარი რეალური შედეგი. კერძოდ, ზაკ-ის 184-ე მუხლის შესაბამისად შეჩერდება გასაჩივრებული აქტის მოქმედება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან, რის თაობაზეც

გამოიცემა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი“.

ამდენად, მოსარჩელებისთვის მათი ოჯახის გადამოწმების შედეგად მინიჭებული ახალი სარეიტინგო ქულის შეჩერებაზე უარის თქმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სარეიტინგო ქულის მინიჭება წარმოადგენდა ქმედებას, რომლის შეჩერებაც არ დაიშვებოდა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრების ადმინისტრაციული წესი იძლევა შესაძლებლობას ადმინისტრაციულმა ორგანომ თავადვე გამოასწოროს საკუთარი შეცდომა, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების მთავარ მახასიათებელს, საერთოა მმართველობითი საქმიანობის ყველა სფეროსთვის და აძლევს დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას, მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვა. სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული სზაკ-ის 178-ე მუხლში განხორციელებული ჩანაწერი, რომლის შესაბამისადაც დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და პირებს შორის არსებობს უფლებამოსილებათა დისბალანსი, მათ შორის ურთიერთობა საჭიროებს ეფექტურ კონტროლს, რაც გამოვლენას ჰპოვებს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებაში საკუთარ გადაწყვეტილებებსა თუ მოქმედებებზე განახორციელოს თვითკონტროლი და მეორე მხრივ, იძლევა შესაძლებლობას ამ მოქმედებათა სრული ციკლი მოექცეს სასამართლო კონტროლქვეშ.

ამასთან, დაინტერესებული პირის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის მიზანს წარმოადგენს უფლებებში ეფექტური აღდგენა და სადავო აქტისა თუ ქმედების კანონიერების გადასინჯვით მისთვის სასურველი მდგომარეობის აღდგენა.

ადმინისტრაციული წესით უფლებების დაცვისას ამგვარი უზრუნველყოფის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლი, რომელიც შეეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ

არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ: ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას; ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით; გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე; დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ იღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ან მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით. ხოლო მე-5 ნაწილის თანახმად, დანტერესებულ მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სასამართლოს შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ფორმალური მიდგომის საფუძველზე, სადავო სარეიტინგო ქულების ქმედებად მიჩნევით, გამოორიცხა აღნიშნული მუხლის გამოყენების შესაძლებლობა.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად ამ კანონის მიზანია სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშნვის ძირითად პრინციპებს. ამავე კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საარსებო შემწეობა. ამა-

ვე კანონის მე-7 მუხლის თანახმად, ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც განკუთვნილია შეფასების სისტემით იდენტიფიცირებული ლატაკი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. საარსებო შემწეობის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. საარსებო შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესი და პირობები, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდება მინისტრის ბრძანებით.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), რომელიც ამ წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საარსებო შემწეობის მაძიებელი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის დანიშვნას, გაცემას, შეწყვეტას, გაანგარიშებას, შეჩერებას, აღდგენასა და საარსებო შემწეობის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხთა გადაწყვეტას. ამავე დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც დადგენილი წესით რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა ნაკლებია ამ წესით დადგენილი საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე (ლათაკი ოჯახი).

„ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მინიჭებული სარეიტინგო ქულა მყარი ერთეულია, რომლის შეცვლა, როგორც წესი, შესაძლებელია მისი მინიჭებიდან სულ ცოტა ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა მე-9 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტებით და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ან/და რეგისტრირებული ოჯახების კეთილდღეობის დონის შესაფასებლად გამოიყენება შინამეურნეობის კეთილდღეობის ინდექსი, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება ამ მეთოდოლოგიის მე-2 მუხლით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოჯახის კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება მონაცემთა საფუძველზე, რომელსაც ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენელი აფიქსირებს სპეციალურ კითხვარში (შემდგომში – ოჯახის დეკლარაცია) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილი პირის დახმარებით და ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოები და/ან სხვა კომპეტენტური ორგანოები/დანესებულებები აწვდიან სააგენტოს.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/6 ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადის ტექნიკურ დამუშავებას, კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ოჯახის დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ გამოყენებით მიიღება ოჯახის სარეიტინგო ქულა.

დასახელებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ კეთილდღეობის დონის შესაფასებლად კეთილდღეობის ინდექსის გამოთვლა ხდება ოჯახის დეკლარაციაში შეტანილი მონაცემების საფუძველზე. ხოლო სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის სამართლებრივ შედეგს განსაზღვრავს სარეიტინგო ქულა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებ-

ლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ელემენტებისა და მისი მახასიათებლების გათვალისწინებით, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის დეკლარაციის საფუძველზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს ოჯახის სამართლებრივ მდგომარეობას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სწორედ სარეიტინგო ქულით წყდება შემწეობის გაცემა/არ გაცემის საკითხი და სოციალურად დაუცველი ოჯახის მიერ რიგი სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლება; ხოლო სარეიტინგო ქულის გამოთვლის წესი თუ უშუალოდ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის მიზნების ფორმა, გავლენას ვერ მოახდენს სარეიტინგო ქულის აქტად მიჩნევაზე, ვინაიდან, განმსაზღვრელია არა მისი ფორმა, არამედ მისი სამართლებრივი ბუნება. მოსარჩელეთა პრეტენზიებიც გამოწვეულია სწორედ სარეიტინგო ქულის ოდენობით, რომელმაც გადაწყვიტა მათი ოჯახისთვის სოციალური შემწეობის შეწყვეტა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სარეიტინგო ქულის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, დაინტერესებული მხარისთვის სარეიტინგო ქულის მოქმედების შეჩერების მნიშვნელობისა და სარეიტინგო ქულის მოქმედების შეუჩერებლობით დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, ასევე თავად ადმინისტრაციული საჩივრის მიზნებიდან გამომდინარე, ვერ გაიზიარებს აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და გამორიცხავს ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სარეიტინგო ქულის მოქმედების შეჩერების დაუშვებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ფორმალურ ხასიათს იძენს და იმთავითვე ეჭვქვეშ აყენებს პირის უფლებებში სრულად აღდგენის შესაძ-

ლებლობას.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში უნდა იმსჯელოს, როგორც თავად გაზრდილი სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერებაზე, ასევე შეფასება უნდა მისცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობას, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო, მითითებულ მუხლში დასახელებული გარემოებების გათვალისწინებით, წყვეტს აქტის მოქმედების შეჩერების საკითხს, რაც შეიძლება ცალკე დავის საგანიც გახდეს მითითებული მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე (რაც მოსარჩელეთა მტკიცებით გამოწვეულია სწორედ გაზრდილი სარეიტინგო ქულის შეუჩერებლობით), ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და შეფასება არ მიუცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე სადავო სარეიტინგო ქულის შეჩერების მოთხოვნაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. პირადი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას კი ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს იმ საფუძველებს, რომლის ხელყოფის დროსაც პირს უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება. მითითებული მუხლით დაცულ სიკეთეს მიეკუთვნება პირის სახელი, პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა და საქმიანი რეპუტაცია. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას გან-

საზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სარჩელში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულების სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველად მიუთითებენ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ 2015 წლის 21 იანვრის ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე სადავო სარეიტინგო ქულის მოქმედების შეუჩერებლობას, რაც არ ქმნის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

რაც შეეხება კასატორთა პრეტენზიებს საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ა. ჩ-ის და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი, ხოლო მათი საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე, რა დროსაც საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი სწორედ მათი მოთხოვნის დასაბუთებულობა იქნებოდა, რის გამოც უსაფუძველოა კასატორთა შუამდგომლობები 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინების განმარტებისა და ასევე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორთა პრეტენზიას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქალაქო სასამართლოს გა-

დანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ოქმთან დაკავშირებით მათ შუამდგომლობაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს სწორედ აღნიშნულ გარემოებაზე მსჯელობით იწყებს. ამასთან, საკასაციო სასამართლო კასატორთა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების ოქმთან დაკავშირებით მათი პრეტენზიების გაზიარების პირობებშიც აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო მათ მიერ სადავოდ ქცეული ყველა აქტი, რაც უცვლელად დარჩა საკასაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, კასატორთა მიერ მითითებულ სარეზოლუციო ნაწილში მოხსენიებული 2015 წლის 14 იანვრის წერილი, რომელიც კასატორთა მტკიცებით, ამოღებულია საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, დღეის მდგომარეობით ბათილად არის ცნობილი.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადევას, რაზეც ასევე პრეტენზიებს გამოთქვამენ კასატორები, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გამოაცხადოს საქმის ზეპირი განხილვის დასრულებისთანავე, არამედ გადადოს გონივრული ვადით, თუ საქმე რთული გადასაწყვეტია. სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად რთულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ პრობლემასთანაა დაკავშირებული კონკრეტული საქმე და რა დრო შეიძლება დასჭირდეს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება 2017 წლის 10 მარტის სხდომიდან გადადო 2017 წლის 17 მარტს, რაც მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის დარღვევას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორ-

თა პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის 2014 წლის 18 დეკემბრის „წერილის“ განხილვის დავალებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ 2014 წლის 4 დეკემბრის შემდგომ, მას შემდეგ რაც მოხდა ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის ოჯახის მდგომარეობის შეფასება, სადაც აისახა ნივთები, რომელთაც შეეძლოთ გაეზარდა ოჯახის სარეიტინგო ქულა, მათთვის იმთავითვე ცნობილი იყო შეფასების შედეგების გავლენა მათ სტატუსსა და შემწეობის გაცემაზე და 2014 წლის 18 დეკემბრის წერილის შინაარსიც სწორედ იმ გარემოებას ადასტურებს, რომ ისინი არ ეთანხმებოდნენ ოჯახის შეფასებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სოციალური უფლებები ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდება. სახელმწიფოს ფუნქციაა უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების საჯარო ამოცანების, მათ შორის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, რა დროსაც სახელმწიფო გარკვეული კატეგორიის პირების დახმარებას უზრუნველყოფს. სოციალურ სფეროში მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ საჯარო ფუნქციას წარმოადგენს ქვეყანაში სოციალური დახმარების მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა. ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები – კანონიერების, კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე თანასწორობის, მიუკერძოებლობის და ა. შ. – სრულად ვრცელდება სსიპ სოციალური დახმარების სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებზე.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება და უფლება განახორციელოს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, ნაციონალური მეცადინეობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და ყოველი სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად, ის უფლებები, რომლებიც აუცილებელია მისი ღირსების შენარჩუნებისა და მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის.

ევროპის სოციალური ქარტიის მე-12 მუხლის შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ შექმნან და შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა. შეინარჩუნონ სოციალური უზრუნველყოფის სისტემა დამაკმაყოფილებელ დონეზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ევროპის სოციალური უზრუნველყოფის კოდექსის რატიფიკაციისათვის

აუცილებელ დონეს. მიიღონ ზომები სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების მიზნით.

გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის თანახმად „ამ პაქტის ნევრი სახელმწიფოები ცნობენ ყველას უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე...“, მე-11 მუხლი კი ადგენს „უფლებას ცხოვრების სათანადო დონეზე“.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არამხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

ამასთან, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას, სარეიტინგო ქულის მინიჭების კანონიერებაზე მსჯელობასთან ერთად, საკასაციო სასამართლოს განჩინების სამოტივაციო ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184-ე მუხლის საფუძველზე უნდა იმსჯელოს სარეიტინგო ქულის შეჩერების საკითხთან დაკავშირებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ჩ-ისა და მ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის შეჩერების საფუძველი

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-236-234 (კ-16)

25 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ზ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების შესახებ მოპასუხის 01.04.2011წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას, როგორც საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, დანიშნული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაცია 560 ლარის ოდენობით. თანხის დაგროვების მიზნით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხა არ გამოიტანა ანგარიშიდან. 2014 წელს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მოპასუხე ორგანიზაციამ 2011 წლის აპრილის თვეში შეაჩერა, ხოლო 2014 წელს შეწყვიტა მისთვის კომპენსაციის თანხის დარიცხვა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მითითებულ პერიოდამდე მას არ მიუღია შეტყობინება კომპენსაციის შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე. სახელმწიფო კომპენსაციის მიღების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დადგინებით.

ტრაციული საჩივარი წარადგინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, თუმცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უარი ეთქვა საჩივრის მიღებაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ აქტების ოფიციალურად გადაცემის (07.10.2014წ.) შემდეგ მან სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით კანონით დადგენილ ვადაში მიმართა სასამართლოს. მოპასუხე ორგანიზაციის მიერ კომპენსაციის თანხის დარიცხვის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე მისთვის შეუტყობინებლობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დაირღვა სზაკ-ის 95-ე, 96-ე მუხლის მოთხოვნები, შესაბამისად არსებობს სზაკ-ის 60² მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 31.03.2015წ. გადაწყვეტილებით ლ. ზ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება 2011 წლის 1 აპრილიდან ლ. ზ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების თაობაზე და დაევალა მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. ზ-ის მიმართ, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ზ-ი 2008 წლიდან იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას 560 ლარის ოდენობით, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 28.03.2011წ. გადაწყვეტილებით ლ. ზ-ს 2011 წლის 01 აპრილიდან შეუჩერდა აღნიშნული კომპენსაცია, ზედიზედ 6 თვის განმავლობაში კომპენსაციის მიუღებლობის მოტივით, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 14.04.2014წ. გადაწყვეტილებით ლ. ზ-ს შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია 2014 წლის პირველი მაისიდან.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი-თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრმა მი-

ილო რა შეტყობინება ლიბერტი ბანკისგან საბანკო ანგარიშზე 6 თვის განმავლობაში აქტიური ოპერაციის განუხორციელებლობის თაობაზე, არ იყო ვალდებული ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება და შემდეგ გამოეცა ადმინისტრაციული აქტი სახელმწიფო გასაცემლის ჩარიცხვის შეჩერების თაობაზე. სასამართლომ სზაკ-ის მე-3 მუხლის დანაწესზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა შემთხვევაში უნდა ჩაეტარებინა ადმინისტრაციული წარმოება, რამდენადაც სზაკ-ი არ ადგენს რაიმე საგამონაკლისო შემთხვევათა ნუსხას, რომელთა თაობაზე გამოსაცემი აქტი შესაძლოა მიღებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გარეშე. სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 53.5-ე, 96.1 მუხლებზე და აღნიშნა, რომ მართალია, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 28.03.2011წ. გადაწყვეტილება ლ. ზ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების შესახებ, არ შეიცავს აქტისთვის სავალდებულო სტრუქტურასა და რეკვიზიტებს, მაგრამ პასუხობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სტანდარტს, რადგან მხოლოდ ამ დოკუმენტით იქნა მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრი, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შემთხვევაში, მივიდოდა სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებამდე და გამოტანილი იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხის მხრიდან სათანადოდ არ იყო დასაბუთებული 2011 წლის პირველი აპრილიდან გასაცემლის შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, სადავო გადაწყვეტილება გამოცემული იყო საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება.

სასამართლომ არ გაიზიარა ასევე მოპასუხის განმარტება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ ლ. ზ-ათვის 29.03.2011წ. შეტყობინების გაგზავნის შესახებ, ვინაიდან მო-

პასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ წარადგინა შესაბამისი მტკიცებულება მხარისათვის აქტის ჩაბარების შესახებ.

სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ოფიციალური გაცნობის იმპერატიული დანაწესზე და აღნიშნა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება, მისი ადრესატისათვის გაცნობა არის ფინალი ადმინისტრაციული წარმოებისა და მისი შედეგი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალური გაცნობით. სასამართლოს მითითებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის ზუსტი დროის განსაზღვრა მნიშვნელოვანია აქტის მიმართ საჩივრის და სარჩელის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადების დაცვისათვის, რამდენადაც სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის, ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების (სარჩელის შეტანის) ვადების ათვლა.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად გასაჩივრებული აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 31.03.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2016წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.03.2015წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. ზ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს 28.03.2011წ. გადაწყვეტილებით ბენეფიციარ ლ. ზ-ს, ზედიზედ 6 თვის განმავლობაში კომპენსაციის მიუღებლობის გამო, შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა 2011 წლის 01 აპრილიდან, ხოლო სააგენტოს 14.04.2014წ. გადაწყვეტილებით სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის გამო,

ლ. ზ-ს შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შეჩერების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ბენეფიციარისათვის კანონით დადგენილი წესით ჩაბარების ფაქტი საქმის მასალებიდან არ დასტურდებოდა, ხოლო გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ზ-ს შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, მხარეს 22.04.2014წ. ჩაბარდა. პალატამ აღნიშნა, რომ შეწყვეტილი კომპენსაციის განახლების მოთხოვნით მოსარჩელის მარწმუნებელმა ძველი თბილისის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა 04.04.2014წ. №... განცხადებით, რის საფუძველზეც კომპენსაციის დანიშვნა მოხდა 2014 წლის პირველი მაისიდან. ასევე საგულისხმოდ იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია 14.04.2014 წლის გადაწყვეტილება, რომელითაც მას შეუწყდა მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა.

ის გარემოება, რომ მოსარჩელისათვის 2014 წლის 4 აპრილიდან ცნობილი გახდა კომპენსაციის შეწყვეტის თაობაზე ანუ მისი უფლებების ხელყოფის ფაქტი, სააპელაციო პალატის მოსაზრებით დასტურდება მის მიერ კომპენსაციის აღდგენის მიზნით შეტანილი განაცხადით, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრირებულია ნომრით საჩივარი სახელმწიფო გასაცემლის შეჩერების (და არა შეწყვეტის) თაობაზე მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანილია 17.09.2014წ., ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადის გასვლის შემდგომ, რისი განუხილველობაც იქცა სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის დაცვის სავალდებულობაზე ადმინისტრაციულ პროცესში და აღნიშნა, რომ მატერიალური დასაშვებობის ეტაპის გადალახვა არ ნიშნავს სარჩელის საფუძვლიანობას. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე ჩნდება მხარეთა ვალდებულება დაადასტურონ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გასაჩივრების ვადის დაცვა ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებს განიხილოს და შეამოწმოს საჩივრის საფუძვლიანობა. პირველი ინსტანციის მხრიდან დავის გადაწყვეტა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია და აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გაკეთებული დავალება ატარებდა ფორმალურ ხასიათს, არ იყო სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილება ღიად ტოვებდა საკითხს გასაჩივრების ვადის აღდგენის მიღმა, რომელი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოების შესწავლა-გამოკვლევის ვალდებულება არსებობდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, რათა შემონმებულიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტის მატერიალური კანონიერება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტის გამოცემას საფუძვლად ედო „...“ 25.03.2011წ. წერილი, რომლითაც დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ 6 თვის განმავლობაში საბანკო ანგარიშზე აქტიური ოპერაციის განუხორციელებლობა, რაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შეჩერების საფუძველს ქმნიდა. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარე ვერ ადასტურებდა მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული საფუძველების არსებობას. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ სადავო აქტი ეწინააღმდეგებოდა განსახილველი ურთიერთობის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმებს, მოთხოვნა მოკლებული იყო შესაბამის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ზ-მა, რომელმაც მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება. საკასაციო საჩივარში კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნა, გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორედ განმარტა კანონი. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმის განხილვასთან დაკავშირებით ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და წარმოების შედეგი აცნობა განმცხადებელს. მოპასუხემ წარმოადგინა მოსარჩელისათვის თითქოსდა სადავო გადაწყვეტილების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ვერ დაადასტურა მისი ჩაბარება ადრესატისათვის. ლ. ზ-ისათ-

ვის ცნობილი არ ყოფილა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებით გამოტანილი გადანყვეტილების არსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ ლ. ზ-ი არ ყოფილა მინვეული სხდომაზე და ადმინისტრაციული წარმოება სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, ჩატარდა მისი მონაწილეობის გარეშე. სზაკ-ის 96-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევას, ხოლო ამავე კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოინვიოს დაინტერესებული მხარე, თუ გამოსაცემი აქტით უარესდება მისი სამართლებრივი მდგომარეობა. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა სზაკ-ის 53-ე მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს განსაზღვრული აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთების ვალდებულება. სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესავალი, აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილებისაგან არ შედგება.

კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს სავალდებულო პროცედურებს, რომელთა დარღვევაც შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. ამ პირობებში, სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონით დადგენილი პროცედურების დარღვევის ფორმალურად და უმნიშვნელოდ მიჩნევა აზრს უკარგავს სზაკ-ის მოქმედებას. სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა, თუმცა მაინც გაამახვილა ყურადღება მონინალმდეგე მხარის არგუმენტზე, რომელიც სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლების წარმოშობის მომენტს უკავშირდებოდა. მონინალმდეგე მხარეს მიაჩნია, რომ პენსიის შეწყვეტის თაობაზე მოსარჩელემ 04.04.2014წ. შეიტყო და ამ მომენტიდან დაიწყო მისთვის აქტის გასაჩივრების ვადის ათვლა. კასატორი აღნიშნავს, რომ გასაცემლის შეჩერების და არც შეწყვეტის გადანყვეტილებები მას 2014 წლის სექტემბერში ჩაბარდა, მიუხედავად იმისა, რომ მანამდე რამდენჯერმე მოითხოვა მათი ჩაბარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ლ. ზ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის

შესახებ“ კანონმდებლობის მიხედვით ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში პენსიის მიუღებლობის ფაქტი იწვევს პენსიის გაცემის შეჩერებას („სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 30.1 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.06წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 18.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო შეჩერებიდან სამი წლის გავლის შემდეგ პენსიის გაცემის შეწყვეტას („სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 31.1 მუხ. „კ“ ქვეპუნქტი, „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 19.1 მუხ. „კ“ ქვეპუნქტი). კომპენსაციის მიუღებლობის გამო კომპენსაციის შეჩერების შემთხვევაში პირის მიერ კომპეტენტური ორგანოსთვის კომპენსაციის განახლების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ კომპენსაცია განახლდება, კომპენსაციის შეწყვეტის საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ კომპენსაცია ხელახლა ინიშნება საერთო წესით („სახელმწიფო კომპენსაციის და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 30.2 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი, „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 9.3 მუხ.).

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორი არის „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის სუბიექტი. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ლ. ზ-ს, როგორც საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს, 2008 წლიდან დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 560 ლარის ოდენობით. ზედიზედ 6 თვის განმავლობაში კომპენსაციის მიუღებლობის მოტივით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 28.03.2011წ. გადაწყვეტილებით ლ. ზ-ს 2011 წლის 01 აპრილიდან შეუჩერდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, ხოლო 14.04.2014წ. გადაწყვეტილებით 2014 წლის 01 აპრილიდან შეწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა. საქმეზე პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილად არის ცნობილი, რომ ლ. ზ-ს ზედიზედ 6 თვის განმავლობაში საპენსიო ანგარიშზე აქტიური მოქმედებები არ განუხორციელებია. დადგენილია ასევე, რომ 2011 წლის 01 აპრილიდან სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის შეჩერების შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 28.03.2011წ. გადაწყვეტილება ლ. ზ-ს არ ჩაბარებია. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საქმეზე ვერ იქნა წარმოდგენილი მითითებული გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. ლ. ზ-ი კომპენსა-

ციის მიუღებლობას ხსნის იმით, რომ 2010 წლის ოქტომბრიდან გადანყვიტა საკომპენსაციო თანხის დაგროვება მნიშვნელოვანი შენაძენისათვის. კომპენსაციის გაცემის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ მისთვის არ იყო ცნობილი, შეჩერება/შეწყვეტის შესახებ მან დაგროვილი თანხის მიღების მოთხოვნის წარდგენისას გაიგო. ლ. ზ-მა სახელმწიფო კომპენსაციის ხელახალი დანიშვნის მიზნით 04.04.14წ. განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრს, ლ. ზ-ს 2014 წლის 1 მაისიდან დაენიშნა კომპენსაცია. მოსარჩელე მოითხოვს სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერებიდან გასაცემლის თანხის გაცემას.

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონის 21.1 მუხლის თანახმად, საპარლამენტო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო ორგანოები და პარლამენტი უზრუნველყოფენ პარლამენტის ყოფილი წევრის სოციალური უფლებების შეუფერხებელ განხორციელებას. „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონით ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოსათვის განსაზღვრულ უფლება-მოვალეობებს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ასრულებს (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ 2.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). პირის უფლებებისა და მოვალეობების დანესების, შეცვლის, შეწყვეტის ან დადასტურებისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის გადანყვიტა უკავშირდება სზაკ-ით დადგენილი ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარებას, თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერება-შეწყვეტის საფუძვლების წარმოქმნა თავისთავად არ ქმნიან დამოუკიდებელ ინდივიდუალურ რეგულაციას, ისინი წარმოადგენენ კონკრეტული პირის მიმართ სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შეწყვეტის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, შეჩერება/შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის პირობას და არა თავად ინდივიდუალურ აქტებს. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის დანაწესის თანახმად კომპენსაცია შეჩერდება კანონით გათვალის-

წინებული შეჩერების ერთ-ერთი საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან, არ ნიშნავს იმას, რომ კანონით გათვალისწინებული შეჩერების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში არ არსებობს შეჩერების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად აქტის გამოსაცემად და მის ძალაში შესასვლელად საჭირო პროცედურების ჩატარების საჭიროება. სახელმწიფო კომპენსაციასთან დაკავშირებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობისათვის მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობის არსებობა არ არის საკმარისი. კანონით განსაზღვრული აბსტრაქტულ-გენერალური მოწესრიგება საჭიროებს მისი კონკრეტულ-ინდივიდუალური შემთხვევისადმი მისადაგებას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მეშვეობით (სუს 25.05.2017წ. №ბს-365-360(კ-16) გადაწყვეტილება). ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის არის კანონის მოთხოვნების ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ პირებზე გავრცელების საშუალება. ვინაიდან სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა ხდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება და შეწყვეტა ხდება არა რეალაქტის, საჯარო მოქმედების განხორციელებით ანუ ბენეფიციარისთვის გასაცემლის გაცემის შეჩერებით, არამედ აღნიშნულის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, რომლის გასაჩივრების ვადის ათვლა ხდება არა შეჩერების კანონით განსაზღვრული პირობის დადგომის, არამედ გასაცემლის შეჩერების შესახებ აქტის ბენეფიციარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალური ჩაბარების მომენტიდან. ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის გადაწყვეტილება ლ. ზ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ არ შეიცავს აქტისათვის სავალდებულო ყველა რეკვიზიტს, შეიცავს სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ელემენტებს.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აქტის გამოცემის პროცესში დაიცვას სზაკ-ით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში მარტივი ადმინისტრაციული წარმოების მოთხოვნები. საქმეში დაცულია სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება/შეწყვეტის შესახებ აქტები, თუმცა საქმეში არ მოიპოვება ხსენებული

აქტების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, სადავო აქტის ადრესატისათვის ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ კომპენსაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ლ. ზ-ს არ ჩაბარებია. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ძირითადი პროცედურული ვალდებულების შესრულების, ლ. ზ-ისათვის აქტის ჩაბარების შემთხვევაში ადგილი ექნებოდა კომპენსაციის შეწყვეტის საფუძველს. არ დასტურდება, რომ ლ. ზ-ი არ მიმართავდა სოციალური მომსახურების სააგენტოს და არ აღმოფხვრიდა სახელმწიფო გასაცემლის არათუ შეწყვეტის, არამედ შეჩერების პირობას. არ დასტურდება, რომ კომპენსაციის შეჩერების შესახებ აქტების გამოცემის პროცედურის დაცვის, აქტის ადრესატისათვის შეტყობინების შემთხვევაში დადგებოდა იგივე შედეგი. მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მიმართებით რაიმე არგუმენტაცია არ წარმოუდგენია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომპენსაციის შეჩერებიდან 3 წლის გასვლის შემდგომ კომპენსაციის შეწყვეტა გულისხმობს შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების ადრესატისათვის ინფორმირების ვალდებულებას, ვინაიდან კომპენსაციის შეჩერების შემდგომ 3 წლის განმავლობაში შეჩერების საფუძვლის არსებობა იწვევს კომპენსაციის შეწყვეტას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანო კომპენსაციის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების შეუტყობინებლობით დაინტერესებულ პირს არ მისცემს აქტთან დაკავშირებით მოსაზრების გამოთქმის, შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის ან გასაჩივრების შესაძლებლობას, წარმოიშობა კომპენსაციის შეწყვეტის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეჩერებისა და შეწყვეტის გადაწყვეტილების საფუძვლად დადებული ფაქტობრივი გარემოებები (ზედიზედ 6 თვის განმავლობაში კომპენსაციის მიუღებლობა და კომპენსაციის შეჩერებიდან 3 წლის ვადის გასვლა) გამოიწვევდა დამდგარ შედეგს, კერძოდ, კომპენსაციის გაცემის შეჩერებას, ხოლო შემდეგ შეწყვეტას, აგრეთვე სზაკ-ის 5.1 მუხლზე მითითება არ ადასტურებს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლიანობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყება (სზაკ-ის 76.1 მუხ. „ბ“ ქვეპუნქტი), მით უფრო ვალდებულს ხდიდა ადმინისტრაციულ ორგანოს და-

ეცვა ადმინისტრაციული წარმოების ძირითადი მოთხოვნები. სზაკ-ის 51.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა წერილობითი ან ზეპირი ფორმით. უკეთეს ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს ან თუ დაინტერესებული მხარე აქტის წერილობითი ფორმით გამოცემას მოითხოვს, ზეპირი ფორმით გამოცემული აქტი 3 დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობითი ფორმით (სზაკ-ის 51.2 მუხ.). სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტა ზღუდავს მოსარჩელის სოციალური უზრუნველყოფის უფლებას. ფულადი სოციალური დახმარება არის მიზნობრივი, პერიოდული სოციალური სუბსიდიით კომპენსაციის მიმღები პირის უზრუნველყოფა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 1-ლი ოქმის თანახმად, ყოველ პირს აქვს მისი საკუთრების პატივისცემის უფლება. სოციალური უზრუნველყოფის მოთხოვნა შესაძლოა იქნეს მიჩნეული 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 18.11.2004წ. დადგენილება საქმეზე „პრავედნაია (Pravednaya) რუსეთის წინააღმდეგ“, §38). კომპენსაცია სოციალური უზრუნველყოფის განსხვავებული ტიპის ბენეფიციარს, ის წარმოიშობა უფლების საფუძველზე მიუხედავად პირის ქონებრივი მდგომარეობისა. ლ. ზ-ს მოპოვებული ჰქონდა სახელმწიფო კომპენსაციის სამისდღემშიოდ, პერიოდული მიღების უფლება, ამ უფლებამ დასრულებული სახე მიიღო, უფლების შინაარსს არ აქვს დენადი ხასიათი. ამდენად, სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერება-შენწყვეტა არის შემზღუდავი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ზღუდავს თავის დროზე აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ბენეფიციარისათვის მინიჭებული სოციალური უზრუნველყოფის უფლებას, სამისდღემშიოდ დანიშნული სახელმწიფო გასაცემლის მიღებას. სზაკ-ის მე-13, 95.2 მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ პირს. სზაკ-ი არ ადგენს წარმოების დაწყების ვადას, როდესაც აქტი გამოიცემა ორგანო-

სათვის კანონით დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად და არა განცხადების საფუძველზე. იგულისხმება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი ინიციატივით წარმოება უნდა დაიწყო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვალდებულების წარმოშობისთანავე. აღნიშნულის მიუხედავად განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება შეჩერება/შენწყვეტის შესახებ აქტებთან დაკავშირებით რაიმე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. გამარტივებული წარმოება, პროცედურის ეკონომიურობისა და ეფექტურობის მოთხოვნები, არ გულისხმობს ადრესატისათვის აქტის გამოცემის საფუძველების და გამოცემული აქტის შესახებ ინფორმაციის შეუტყობინებლობას, მით უფრო სოციალური დაცვის სამართალწარმოებაში აუცილებელი განსაკუთრებული კეთილსინდისიერების მოთხოვნის გათვალისწინებით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 24.06.1993წ. №14518/89 საქმეზე „შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ“ (Schuler-Zraggen v. Switzerland, §58); 12.11.02წ. №28394/95 გადაწყვეტილება „დორი შვედეთის წინააღმდეგ“ (Dory v. Sweden, §41)).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წერილობითი აქტის მიმართ მოქმედებს სზაკ-ის 52-ე-58-ე მუხლების მოთხოვნები, ამასთანავე გამოცემა შესაძლოა განხორციელდეს როგორც მატერიალური დოკუმენტის სახით, ასევე მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით (სზაკ-ის 51.3 მუხ.), თუმცა ასეთ შემთხვევაში ორგანო უზრუნველყოფს აქტის კანონიერ ძალაში შესვლას ადრესატისათვის მისი ოფიციალური გაცნობით. მმართველობის ღონისძიებების ეფექტურად, ორგანიზებულად და ეკონომიურად განხორციელების მიზნით, ორგანო უფლებამოსილია შეარჩიოს მხარის ინფორმირების ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება, მოახდინოს დაინტერესებული პირის ინფორმირება ელექტრონულად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაძლოა მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს ჩაურევლად განხორციელდეს გარკვეულ მონაცემთა ელექტრონული დამუშავება და აქტის ავტომატურად შედგენაც კი, თუმცა ეს არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული პირის ინფორმირების ვალდებულებისგან, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობის ან საჯარო გამოქვეყნების შემდეგ (სზაკ-ის 54.1 მუხლი). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23.1 „ბ“ ქვე-

პუნქტით გათვალისწინებული სააგენტოს მიერ თავის საქმიანობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის, მართვის ავტომატიზებული საშუალებებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მაძიებელსა/კომპენსაციის მიმღებ პირსა და კომპეტენტურ ორგანოს შორის მიმონერა შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ამასთანავე, ელექტრონული ფორმით გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე“. უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული დებულება „სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში 24.04.12წ. №6061 კანონით შეტანილი ცვლილების შედეგად ამოქმედდა, სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობა რაიმე სპეციალურ დანაწესს არ ითვალისწინებდა, რაც მით უფრო ავალდებულებდა ადმინისტრაციას დაეცვა აქტის ოფიციალური გაცნობის საერთო წესი. საქმეში არ არის წარმოდგენილი სადავო აქტის ელექტრონული ფორმით არც გაგზავნისა და არც ჩაბარების დამადასტურებელი მტკიცებულება. საქმეში დაცულია 29.03.2011წ. დათარიღებული სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის შეტყობინება ლ. ზ-ისათვის სოციალური მომსახურების ჩარიცხვის შეჩერების შესახებ, ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შეტყობინების გაგზავნის რეესტრი, გზავნილი ან სხვა რაიმე დოკუმენტი, რაც უტყუარად დაადასტურებდა შეტყობინების ელექტრონული ფორმით გაგზავნას, ვერ იქნა წარმოდგენილი აგრეთვე აქტის ან შეტყობინების ლ. ზ-ისათვის ჩაბარების და შესაბამისად, აქტის ძალაში შესვლის დამადასტურებელი მტკიცებულება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით აქტის ჩაბარება არის აქტის ძალაში შესვლისა და შესაბამისად აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის პირობა. საქმის მასალებში დაცულია ლ. ზ-ის წარმომადგენლის 27.09.14წ. განცხადება სააგენტოს სახელზე, რომლითაც მან მოითხოვა შეჩერების შესახებ აქტის და ლ. ზ-ის მიერ შეტყობინების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის უფროსის 16.10.14წ. №04-02/4966 წერილით დასტურდება, რომ 2011 წლის 1 აპრილიდან გასაცემლის შეჩერების შესახებ საქმეში განთავსებული 29.03.11წ. შეტყობინების ფოსტისათვის გადასაცემი რეესტრი არ დაიძებნა იმის გა-

მო, რომ იმ პერიოდში კანცელარიაში საქმის წარმოება ელექტრონულად არ ხორციელდებოდა. ამდენად, მართებულია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოპასუხის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა შეჩერების აქტის შესახებ ლ. ზ-ის ინფორმირება მაშინ, როდესაც აქტის ჩაბარებასთან დაკავშირებით დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი, სზაკ-ის 54.4 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობა, როგორც ადმინისტრაციული წარმოების ფინალი, წარმოების დამაგვირგვინებელი სტადია, არის მხარისათვის აქტის ძალაში შესვლის პირობა (სზაკ-ის 54-ე მუხ.), ხოლო აქტის ძალაში შესვლის მომენტის დადგენა არის ადმინისტრაციული საჩივრის და სარჩელის წარდგენისათვის კანონით დადგენილი ვადის ათვლის პირობა. სწორედ აქტის ძალაში შესვლის ანუ მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება მისი გასაჩივრების ვადების ათვლა. შეუძლებელია პირს მოეთხოვოს მისთვის ჯერ კიდევ უცნობი აქტის შესრულება და გასაჩივრება. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადების ათვლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სზაკ-ის 94.2 მუხლი დამატებით ადგენს, რომ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, რომლის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტის ადრესატისათვის ინდივიდუალური გაცნობა სირთულეებთან ან დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია სზაკ-ით გათვალისწინებული აქტის ოფიციალური გაცნობის ერთ-ერთი სახეობის (კერძოდ, აქტის გადაცემა (58-ე მუხ.), გამოქვეყნება შესაბამისი ორგანოს ბეჭდვით ორგანოში (56-ე მუხ.), საჯაროდ გამოცხადება (57-ე მუხ.)) გამოყენება. აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს სზაკ-ის 55-58-ე მუხლებს და სპეციალურ კანონმდებლობაში მოცემულ თავისებურებებს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. ზ-ს არ ჩაბარებია სადავო აქტი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ლ. ზ-ი სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ მას ბანკში აცნობეს, მისთვის არ განუმარტავთ შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები. სასარჩელო განცხადებაში მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ მან შეიტყო დაგროვილი თანხის მოთხოვ-

ნის წარდგენის დროს, შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველ-
ბის თაობაზე მან ვერც წერილობით და ვერც სიტყვიერი გან-
მარტება ვერ მიიღო, სს „...“ მხოლოდ ის განუმარტეს, რომ გან-
ცხადება უნდა დაენერა კომპენსაციის განახლების შესახებ.
ბანკში მიღებული განმარტებებისთანავე მან იმავე დღეს გან-
ცხადებით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც მიიჩნია
მიუღებელი თანხის მიღების საკმარის პირობად. სააპელაციო
პალატის დასკვნას შეწყვეტის შესახებ აქტის ლ. ზ-ისათვის
22.04.14წ. ჩაბარების და შესაბამისად გასაჩივრების ერთთვიან-
ი ვადის გაცდენის შესახებ კასატორი უარყოფს და აღნიშნავს,
რომ მას აქტები 2014 წლის ოქტომბერში ჩაბარდა. სააპელაციო
სასამართლო არ უთითებს რაიმე მტკიცებულებას, რომლის სა-
ფუძველზე დადგინდა შეწყვეტის აქტის მოსარჩელისათვის
22.04.14წ. ჩაბარება. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ 04.04.14წ.
№... განცხადებით მიმართა სააგენტოს ძველი თბილისის
ცენტრს, არ ადასტურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით
შეწყვეტის აქტის ჩაბარებას, ვინაიდან გასაჩივრების ვადის ათ-
ვლა არ ხდება მაშინაც, როცა პირისათვის აქტის შინაარსი ცნო-
ბილი გახდა არაოფიციალური წყაროდან, ასეთი ცოდნა არ ჩა-
ითვლება აქტის ოფიციალურ გაცნობად და აღნიშნული ვერ იქ-
ნება მიჩნეული აქტის გასაჩივრების ვადის ათვლის მომენტად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრების ვადა აით-
ვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნე-
ბის ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან. მოცემულ შემ-
თხვევაში არ დასტურდება სადავო აქტის ტექსტის სზაკ-ით
დადგენილი წესით გადაცემის ან „სახელმწიფო კომპენსაციის
და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 23.1 მუხ. „ბ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული წესის დაცვით ლ. ზ-ისათვის ინ-
ფორმაციის გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულება, შე-
საბამისად არ დასტურდება კომპენსაციის შეჩერების შესახებ
სადავო აქტის გასაჩივრების წესის დარღვევა.

სსკ-ის 3.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე თავად განსაზ-
ღვრავს მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ მო-
ითხოვა კომპენსაციის შეჩერების აქტის ბათილად ცნობა. უკე-
თუ სააპელაციო პალატა მიიჩნევდა, რომ შეწყვეტის აქტის გა-
საჩივრების გარეშე შეუძლებელი იყო სადავო პერიოდის კომ-
პენსაციის მიღება, სასკ-ის 28¹ მუხლის საფუძველზე სასამარ-
თლოს დახმარება უნდა გაენია მოთხოვნის ტრანსფორმირება-
ში, რაც მოთხოვნის არა გაზრდად, არამედ დაზუსტებად უნდა
მიეჩნია. სასკ-ის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის
უფლებამოსილი გაცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს,

მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით, პროცესის დაჩქარების მიზნით მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ 14.04.2014წ. გადაწყვეტილება მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია. იმ შემთხვევაში თუ სააპელაციო პალატა შეუძლებლად თვლიდა შეჩერების შესახებ სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას, შეწყვეტის შესახებ მოთხოვნის ბათილად ცნობის გარეშე და აუცილებლად მიიჩნევდა შეჩერების და შეწყვეტის შესახებ აქტების სავალდებულო წესით კომპლექსურ განხილვას, ასეთ მიდგომას უნდა გამოეწვია არა სარჩელის დაკმაყოფილებაზე არსებითად უარის თქმა, არამედ სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტა. სარჩელზე წარმოების შეწყვეტამდე სასამართლოს უნდა შეეთავაზებინა სარჩელის ტრანსფორმირება და მოთხოვნის დაზუსტება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს არა კომპენსაციის შეწყვეტის, არამედ შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ გაუსაჩივრებია შეწყვეტის აქტი არ წარმოადგენს სადავო, კერძოდ, შეჩერების შესახებ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველს, მით უფრო, რომ შეჩერების აქტის ბენეფიციარისათვის ჩაბარება არ დასტურდება, ხოლო შეჩერების საფუძვლის გაუქმება თავისთავად იწვევს შეწყვეტის გაუქმებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომპენსაციის გაცემის შეჩერების სტადია არის კომპენსაციის შეწყვეტის წინმსწრები, მაგრამ დამოუკიდებელი სტადია. მართალია, კომპენსაციის მიუღებლობის გამო კომპენსაციის შეჩერების გარეშე შეწყვეტის გადაწყვეტილება არ გამოიცემა, შეჩერება შეწყვეტის წინმსწრები აქტია, თუმცა შეჩერება არ არის შუალედური აქტი, ის თავისთავად, შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, წარმოშობს ბენეფიციარისათვის სამართლებრივ შედეგს. შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავს სზაკ-ის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის ელემენტებს. კომპენსაციის შეჩერება წარმოშობს მყისიერ სამართლებრივ შედეგს კომპენსაციის მიმღები პირის მიმართ, ჩერდება მასზე კომპენსაციის გაცემა, შესაბამისად ცხადია მოსარჩელისათვის ამ აქტით გამოწვეული პირ-

დაპირი და უშუალო ზიანი, ამდენად, დასაშვებია შეცილებითი სარჩელი კომპენსაციის გაცემის შეჩერების შესახებ აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით (სასკ-ის 22-ე მუხ.). ვინაიდან კომპენსაციის შეჩერების ბათილად ცნობის საკითხი შესაძლოა იყოს სასამართლოს განხილვის საგანი, ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ შეჩერება იმავდროულად შეწყვეტის იურიდიული შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, შესაბამისად შეჩერების ბათილად ცნობა იწვევს შეწყვეტის გაუქმებას.

სააპელაციო პალატამ სარჩელის დაკმყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად მიუთითა ის გარემოება, რომ მოსარჩელეს არ აქვს კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში გასაჩივრებული შეწყვეტის შესახებ აქტი, თუმცა დავის საგანს შეადგენს კომპენსაციის არა შეწყვეტის, არამედ შეჩერების შესახებ აქტი, რომელიც ბენეფიციარს არ ჩაბარებია. შესაბამისად ის გარემოება, რომ შეწყვეტის შესახებ აქტი არ გასაჩივრებულა ერთთვიან ვადაში არ შეიძლება წარმოადგენდეს შეჩერების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაზე უარის თქმის საფუძველი, მით უფრო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეჩერების შესახებ აქტი წარმოების წესების დაუცველობის გამო ბათილად იქნა ცნობილი სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე; იმ შემთხვევაში თუ საქმეზე წარმოების ჩატარების შედეგად ადმინისტრაციული ორგანო მივიდოდა დასკვნამდე, რომ არ არსებობდა კომპენსაციის შეჩერების საფუძველი, ადმინისტრაციული ორგანო სზაკ-ის 61-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილი იქნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე თავად გამოეცხადებინა ძალადაკარგულად შეწყვეტის აქტი, ვინაიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად შეიძლება გამოეცხადდეს აქტის გამოცემის ისეთი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეცვლის შემთხვევაში, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს ასეთი აქტის გამოცემის შესაძლებლობას (სზაკ-ის 61-ე მუხ.). ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიცემული დავალება ფორმალურ ხასიათს ატარებს და არ არის სამართლებრივ შედეგზე ორიენტირებული.

საქმეში დაცულია სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ, 07.11.146. №1 საგადასახადო დავალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის – ვ. გ-ის მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 300

ლარის ოდენობით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-9 მუხლის თანახმად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სსკ-ის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, როდესაც სახელმწიფო ბაჟისაგან ორივე მხარე არის გათავისუფლებული, საქმეზე განეულ ხარჯს აანაზღაურებს სახელმწიფო. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დაბრუნდა. აღნიშნულის მიუხედავად სააპელაციო პალატამ სრულად გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში.

სახელმწიფო გასაცემლის შეჩერება-შენწყვეტის კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოების ძირითადი წესების იგნორირების გამო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო აქტი ბათილად იქნა ცნობილი, ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საკითხის ხელახალი განხილვა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელის მიერ სააპელაციო წესით არ გასაჩივრებულა, ამდენად, ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება, სადავო აქტის ბათილად ცნობა ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის ხელახალი განხილვის დავალების გარეშე, მოპასუხისათვის საჩივრის საურესოდ შებრუნების ტოლფასი იქნებოდა. სსკ-ის 407-ე მუხლის თანახმად, საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მოთხოვნის გაზრდა არ დაიშვება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი, განჩინება მოკლებულია სათანადო სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, სახეზეა სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რაც სსკ-ის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ სრულყოფილად უნდა გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, შეაფასოს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ. საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნ-

და გარკვევის სახელმწიფო გასაცემლის შეჩერების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ლ. ზ-ისათვის ოფიციალურად გაცნობის საკითხი, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, აქტის ადრესატისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარების შემთხვევაში იგივე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ლ. ზ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.01.2016წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დევნილის სოციალური დაცვა

დევნილის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება საცხოვრებელი ფართის მისაღებად

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-715-707(კ-15)

14 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა, ბინის ქირის ანაზღაურება, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 8 აპრილს მ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 1993 წლიდან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირია და მას შემდეგ ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. 2013 წლის სექტემბერში გაიარა ანკეტირება, რომ ... №5 სახლში მიეღო საცხოვრებელი ფართი. 2014 წლის იანვარში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სია, რომელშიც მ. ბ-ა არ აღმოჩნდა. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა, განემარტათ უარის მიზეზი. 2014 წლის 13 მარტს მას სამინისტროსგან ეცნობა, რომ მისთვის მინიჭებული ქულები არასაკმარისი იყო საცხოვრებელი ფართის მისაღებად. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ სამინისტროს მიერ ჩატარებული ანკეტირება არალეგიტიმურია, როგორც შინაარსობრივად, ისე ჩატა-

რების პროცესითაც, ვინაიდან სამინისტრომ არ შეისწავლა მ. ბ-ას მატერიალური და სოციალური მდგომარეობა, არაობიექტურად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მონაცემები, არ გაითვალისწინა მისი საპენსიო ასაკი და განცხადებაზე უარი უთხრა არაკანონიერად.

სასარჩელო მოთხოვნის არაერთხელ დაზუსტების შედეგად მოსარჩელემ „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების დანართი №2-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადი“ და დანართი №3-ის – „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარი“ ბათილად ცნობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის მ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფამდე ყოველთვიურად ბინის ქირის გადახდისა და მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით 13 200 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით მ. ბ-ას სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ მ. ბ-ამ 2013 წლის 11 სექტემბერს შეავსო ფართის მიღების თაობაზე განაცხადი ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ობიექტზე, ასევე, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა დეპარტამენტმა მ. ბ-ას ოჯახს, განაცხადისა და კითხვარის დამუშავების საფუძველზე მიანიჭა 5 ქულა. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო კომისიამ 2014 წლის 15 იანვრის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების თა-

ობაზე. კომისიის გადაწყვეტილებით შევსებული 1485 განაცხადის საფუძველზე მინიჭებული ქულების რეგისტრაციის დაცვით, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 27 ოჯახი. ფართით დაკმაყოფილდნენ ის ოჯახები, რომლებსაც შევსებული განაცხადისა და კითხვარების საფუძველზე მინიჭებული ჰქონდათ 12, 11,5, 11, 10,9 და 8 ქულა. დევნილ ოჯახებს, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ 8 ქულა, შეირჩნენ კომისიის მიერ ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე. ქ. თბილისში, ... გამზ. №49ა-ში მდებარე დანგრეული ობიექტიდან გრძელვადიანი საცხოვრებელით დაკმაყოფილდა 17 ოჯახი. ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე ნგრევადი ობიექტიდან (ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით) პ. მ-ას 5-სულიანი ოჯახი; ქ. თბილისში, ... №71-ში მდებარე ნგრევადი ობიექტიდან (ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე) მ. ძ-ას 4-სულიანი ოჯახი. გასანაწილებელი ბინების დასრულების გამო, კომისიამ დაბალი ქულით შეფასებული კითხვარები არ განიხილა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 წერილით მ. ბ-ას განემარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მ. ბ-ას მიენიჭა 5 ქულა (შემოსავლების მაჩვენებელი – 3 ქულა, ქირა – 1 ქულა, ომში დაღუპული ოჯახის წევრი – 1 ქულა). ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ობიექტში, გრძელვადიანი საცხოვრებელით დაკმაყოფილების ფარგლებში, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომლებმაც ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შესაბამისად, მიიღეს 8, 9, 19, 11, 11.5 და 12 ქულა. მ. ბ-ამ 2014 წლის 23 სექტემბერს №42879/01 განაცხადებით მიმართა ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ბინის ქირის გადახდა. მ. ბ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ კრიტერიუმებს. მ. ბ-ა 2013 წლის 1 დეკემბრიდან იღებს პენსიას. იგი დევნილად რეგისტრირებულია 2003 წლიდან, რეგისტრაციის მისამართია – თბილისი, ... გამზ. ... კვ. კორპ. 16, ბ. 77 (განსახლების ფორმა – კერძო), ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართია – თბილისი, ... გამზ. ... კვ. კორპ. 12, ბ. 38 (განსახლების ფორმა – კერძო).

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებით, როგორც ინდივიდუალურ, ისე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელის განხილვისას სასამართლო აფასებს მხოლოდ აქტის კანონიერების საკითხს. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, ემსჯელა სადავო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე. ე.ი. სადავო ნორმატიული აქტი შეესაბამება თუ არა მოქმედ კანონმდებლობასა და იმ საკანონმდებლო აქტს, რომლის შესასრულებლადაც გამოცემულია იგი.

სასამართლომ მიუთითა, რომ „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის, კრიტერიუმებისა და დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცდა „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესი“ – დანართი №1. ამავე ბრძანებით დამტკიცდა სადავო „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის ფორმა“ – დანართი №2 და „საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარის ფორმა“ – დანართი №3. დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის (თავდაპირველი რედაქცია) 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი (შემდგომში – წესი) ადგენდა, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების წესს. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის 1.3. პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმ-

ჯობესება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადაწყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა მათი დაბრუნება. ამავე წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მას შემდეგ, რაც სამინისტრო ან პარტნიორი ორგანიზაცია სამინისტროს ჩართულობით შემუშავებდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტ(ებ)ს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებ(ებ)ის გაკეთების მიზნით, კომისია პირველ რიგში განსახლავდა იმ დევნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთებოდათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებები. ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზება გულისხმობდა გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რათა კომისიის მიერ განსაზღვრულ კონტინგენტს მისცემოდა საშუალება წარედგინა შესაბამისი განაცხადი გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის.

სასამართლოს მითითებით, დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავებული დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების პროექტები მხოლოდ ეტაპობრივად ქმნიდა დევნილი ოჯახებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებების შესაძლებლობას. სწორედ აღნიშნულმა განაპირობა სპეციალური კრიტერიუმების დადგენა, რომელთა საფუძველზეც მოხდებოდა სამინისტროს მიერ დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობის განსაზღვრა. კერძოდ, დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში და კერძო სექტორში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხის შეფასებისთვის განისაზღვრა საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის

შეფასების კრიტერიუმი და სოციალური კრიტერიუმი. აღნიშნული კრიტერიუმები დამტკიცებულ იქნა ამავე ბრძანებით დანართი №4 და დანართი №5-ის სახით. აღნიშნული კრიტერიუმების დადგენა კი ხდებოდა, დევნილი ოჯახის მიერ სამინისტროსთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ კითხვების, რომელთა საფუძველზეც სამინისტროს მიერ ხდება დევნილთაგან ინფორმაციის მიღება და შემდეგ კრიტერიუმების დადგენა ნორმატიული რეგლამენტაცია უზრუნველყოფდა გამოკითხვის პროცესის ობიექტურობას და გამჭვირვალობას, რამდენადაც ხდებოდა თითოეული დევნილისთვის ერთი და იმავე სტანდარტული კითხვების დასმა და შესაბამისად, თითოეული დევნილისგან ინფორმაციის მიღება ერთნაირ საკითხებზე. ამასთან, კითხვარის შევსებამდე დევნილის კითხვების თაობაზე ინფორმირებულობა ემსახურებოდა უფრო მეტად სრულყოფილი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდების მიზანს.

ნორმატიული აქტის სადავო ნაწილების ბათილად ცნობის საფუძველი ვერ გახდებოდა ის გარემოება, რომ აღნიშნული აქტით დამტკიცებული კითხვარების შევსების მიზნით დასმული კითხვები ან გამოკითხვის ჩატარების პროცედურა მოსარჩელისათვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა. ასევე, ის, რომ კითხვარის შევსებამდე იგი ინფორმირებული არ იყო მასში ასახული კითხვების შესახებ. №3 დანართში დასმული იყო ზოგადი კითხვები, რაც ემსახურებოდა დევნილი პირის სოციალური, ჯანმრთელობისა და სხვა მდგომარეობის დადგენას. აღნიშნულ მონაცემთა შეჯამება სამინისტროს აძლევდა საფუძველს, განესაზღვრა ბინით დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობა. სასამართლომ სადავო ნორმატიული აქტების ბათილად ცნობისთვის არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული კითხვარის შევსებისას აუცილებელი იყო პირის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ ქცეული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 წერილი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის (2013

წლის ნოემბერში მოქმედი რედაქცია) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროცესში, კონკრეტული დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართის შეთავაზებაზე, მიღებული განცხადებების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი იყო ამ ბრძანების მე-5 პუნქტით შექმნილი დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია (შემდგომში – კომისია). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემუშავებული დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების პროექტები მხოლოდ ეტაპობრივად ქმნიდა დევნილი ოჯახებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის კონკრეტული შეთავაზებების შესაძლებლობას.

დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის მე-4 მუხლი განსაზღვრავდა დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, კონკრეტული საცხოვრებელი ფართის შეთავაზებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრებოდა დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა. ქულები მითითებული იყო კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილ ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებდა, ენიჭებოდა პრიორიტეტი. მითითებული მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდება დევნილი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების განაწილება, იქნება ეს ახლადამენებული, რეაბილიტირებული შენობები თუ სხვა საცხოვრებელი ბინები და სახლები.

რაც შეეხება სოციალურ კრიტერიუმს, „სოციალური კრიტერიუმის“ №5 დანართის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სოციალური კრიტერიუმის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი იყო პენსიონერი, რომელიც ცხოვრობდა მარტო და ოჯახი, რომელიც შედგებოდა ხანდაზმული წევრებისგან. ოჯახი შედგებოდა მხოლოდ ან ძირითადად (ნახევარზე მეტი) საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისგან. აღნიშნული კრიტერიუმი ფასდებოდა 1 ქულით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე წარმო-

ადგენდა საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს, რაც მისთვის დამატებით 1 ქულის მინიჭების საფუძველს ქმნიდა. თუმცა აღნიშნული დარღვევა, სასამართლოს აზრით, ვერ გახდებოდა სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის დარღვევა გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, დარღვევა უნდა იყოს არსებითი ხასიათის. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევას კი წარმოადგენს კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველად ასევე არ მიიჩნია ის გარემოება, რომ მ. ბ.-ასათვის ცნობილი არ იყო კითხვარის შინაარსი. განაცხადში ასახული კითხვები დადგენილია ნორმატიული აქტით, რომელიც გამოქვეყნებულია კანონით დადგენილი წესით და ცნობილია ყველა პირისათვის. საქმეში წარმოდგენილი დევნილის განაცხადის მიხედვით, მ. ბ.-ამ დაადასტურა, რომ უფლებამოსილი იყო პასუხი გაეცა კითხვარში დასმულ კითხვებზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. განსახილველ შემთხვევაში ადგილი არა ჰქონია მითითებული ნორმის მოთხოვნათა დარღვევას. გასაჩივრებულ ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, ასევე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება შეესაბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან. შესაბამისად, სარჩელი აღნიშნულ ნაწილში უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ვინაიდან არ არსებობდა

მ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უარის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები, სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის მ. ბ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ნაწილშიც უსაფუძვლო იყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესის მე-6 მუხლით განისაზღვრა დევნილთა დროებითი განსახლების წესი, რაც განიმარტა როგორც დევნილისათვის სათანადო საცხოვრებლის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემის უზრუნველყოფა (მათ შორის, ქირის თანხით უზრუნველყოფა), გარდა მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებისა. ამავდროულად მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულია კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია იღებს გადაწყვეტილებას დევნილის დროებითი განსახლების შესახებ. იმისათვის, რომ სამინისტრომ დევნილი ოჯახი უზრუნველყოს ბინის ქირით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმთაგან ერთ-ერთს. მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მას ეკონომიური სიდუხჭირის გამო ბინის ქირის გადახდა არ შეუძლია, რის გამოც ბინის გამქირავებელი სთხოვს ბინის დაცლას. მოსარჩელემ ასევე დაადასტურა, რომ ბინის გამქირავებელს მისი ბინიდან გამოსახლებისათვის შესაბამისი ორგანოსათვის არ მიუმართავს. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ იყო მითითებულ კრიტერიუმთაგან რომელიმეს არსებობა, რაც გამოორიცხავდა მ. ბ-ას სარჩელის დაკმაყოფილებას მოპასუხისთვის ბინის ქირის დაკისრების ნაწილში.

მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ასევე მოპასუხისთვის მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება. სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე და სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ

უნდა არსებობდეს ქმედებასა და შედეგს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.

ქირის გადახდის ვალდებულება დადგენილი იყო 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნა წინა პერიოდზე ქირის გადახდის ვალდებულების არსებობის თაობაზე უსაფუძვლო იყო. სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად, ასევე, არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხემ 2010 წელს აღძრული დავის მიმდინარეობისას სხდომაზე დაადასტურა ვალდებულება მ. ბ-ას საცხოვრებელი უზრუნველყოფის თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხსენებული დავის მიმდინარეობისას თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართული სხდომის ოქმში ასახული მოპასუხის განმარტება ვერ გახდება მოსარჩელის ბინით დაუკმაყოფილებლობის გამო 2011-2013 წლების ბინის ქირის ანაზღაურების საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 13 200 ლარის დაკისრების ნაწილშიც უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სასამართლომ განმარტა, რომ პირადი პრაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი. კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ მიუთითა ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ვერც ერთი საფუძველი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი კი იმპერატიულად ადგენდა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილი ყოფილიყო მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზეც უსაფუძვლო იყო და არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა მ. ბ-ას სააპელაციო საჩივარი; უცვლელად დარჩა თბი-

ლისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულებით დამტკიცდა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია“. ასევე 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“ და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“. პალატამ განმარტა, რომ სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანი იყო სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა(ები) ითვალისწინებდა დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანაცვლებას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, ვიდრე შესაძლებელი გახდებოდა მათი დაბრუნება. ხოლო ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად სახელმწიფო სტრატეგია ითვალისწინებდა ადეკვატური გრძელვადიანი განსახლებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობ სხვადასხვა ღონისძიებას. ზემოთ აღნიშნული ნორმატიული აქტებით სახელმწიფოს არ განუსაზღვრავს აღნიშნული ვალდებულების შესრულების საბოლოო ვადა, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა ეტაპობრივი იყო, ხოლო აპელანტის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროცედურა დაესრულებინა 2010 წლის ბოლომდე მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს. ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალა-

ტამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება არის სრულიად დაუსაბუთებელი და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. სასარჩელო მოთხოვნით მ. ბ-ა აპროტესტებდა ანკეტირების კითხვების შეუსაბამობას დადგენილ მიზნებთან, კითხვების შინაარსის არაღეგითიმურობას და იმ უამრავ დარღვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ანკეტირების პროცედურის გავლისას. თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი კითხვების შინაარსის მიზანშეწონილობა სცდებოდა სასამართლო კონტროლის ფარგლებს და ის ვერ შეაფასებდა, შეესაბამებოდა თუ არა სადავო ნორმატიულ აქტში ასახული კითხვები კრიტერიუმის დადგენის მიზანს.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილების თანახმად, წერილობითი ფორმით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, დასაბუთება წინ უნდა უძღოდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აქტის გამოცემისას. ამდენად, სასამართლოს მიერ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნეული სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 წერილი ვერ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან მას არა აქვს წერილობითი დასაბუთება და რაც მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა იმავე კოდექსის 96-ე მუხლის I და II ნაწილები.

კასატორის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №240 განკარგულების 2.2.2 პუნქტში აღნიშ-

ნულია, რომ „გრძელვადიანი განსახლების სხვა მიმართულებებია: ცარიელი შენობების რეაბილიტაცია, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, დევნილთა განსახლება და საკუთრებაში გადაცემა, ასევე დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ან აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ბინებში სოფლად. ამ პროექტების ფარგლებში დაკმაყოფილებიან ის დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ კოლექტიურ ცენტრებში, რომლებიც არ გარემონტდება ან/და საკუთრებაში არ გადაეცემათ, ასევე კერძო სექტორში მაცხოვრებელი უკიდურესად გაჭირვებული დევნილები, რომლებიც არიან რისკის წინაშე. ამ უკანასკნელს ეხმიანება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების დანართი №4-ის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შეაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, კომპაქტურად (ორგანიზებულად) ან კერძოდ განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას, ასეთ დევნილებს ენიჭებათ 3 ქულა, რაც მ. ბ-ას არ მიაჩნია.

კასატორის მითითებით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს 2010 წლის სასამართლო პროცესზე სამინისტროს დაპირება 2012 წლამდე მ. ბ-ას საცხოვრებელი დაკმაყოფილების თაობაზე. ასევე არ გაითვალისწინეს 2011 წლის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება, რომლითაც დევნილთა სამინისტროს დაევალა, მიემართა ეკონომიკის სამინისტროსათვის და განეხილა მ. ბ-ას საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხი, რაც სამინისტრომ არ შეასრულა. სასამართლომ ასევე უგულებელყო სამინისტროს ვალდებულება და მოსარჩელეს უარი უთხრა ბინის ქირის გადახდის სამინისტროსათვის დაკისრებაზე, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებაზე. სააპელაციო სასამართლომ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ არღვევს სახელმწიფო უწყება მრავალი წლის განმავლობაში მ. ბ-ას უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ბ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 იანვრის განჩინებით მ. ბ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა 2016 წლის 25 თებერვალს 12:30 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ბ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ა 1993 წლიდან არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი. მან 2013 წლის 11 სექტემბერს ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ობიექტზე შეავსო ფართის მიღების თაობაზე განაცხადი და კითხვარი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევენილთა დეპარტამენტმა მ. ბ-ას ოჯახს, განაცხადისა და კითხვარის დამუშავების საფუძველზე მიანიჭა 5 ქულა. დევენილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით სარეკომენდაციო კომისიამ 2014 წლის 15 იანვრის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე რეაბილიტირებულ შენობაში დევენილთა გრძელვადიანი განსახლების თაობაზე. კომისიის გადაწყვეტილებით შევსებული 1485 განაცხადის საფუძველზე მინიჭებული ქულების რიგითობის დაცვით, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდა 27 ოჯახი. ფართით დაკმაყოფილდნენ ის დევენილები, რომლებსაც შევსებული განაცხადისა და კითხვარის საფუძველზე მინიჭებული ჰქონდათ 12, 11,5, 11, 10,9 და 8 ქულა. დევენილ იჯახებს, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ 8 ქულა, შეიარჩნენ კომისიის მიერ ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე. ქ. თბილისში, ... გამზ. №49ა-ში მდებარე დანგრეული ობიექტიდან გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 17 ოჯახი. ქ. თბილისში, ... ქ. №9-ში მდებარე ნგრევადი ობიექტიდან პ. შ-ას 5-სულიანი ოჯახი; ქ. თბილისში, ქ. ... №71-ში მდებარე ნგრევადი ობიექტიდან მ. ძ-ას 4-სულიანი ოჯახი. გასანაწილებელი ბინების დასრულების გამო, კომისიამ დაბალი ქულით

შეფასებული კითხვარები არ განიხილა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 წერილით მ. ბ-ას განემარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მ. ბ-ას მიენიჭა 5 ქულა (შემოსავლების მაჩვენებელი – 3 ქულა, ქირა – 1 ქულა, ომში დაღუპული ოჯახის წევრი – 1 ქულა). ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ობიექტში, გრძელვადიანი საცხოვრებელით დაკმაყოფილების ფარგლებში, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომლებმაც ზემოაღნიშნული კრიტერიუმის შესაბამისად, მიიღეს 8, 9, 10, 11, 11.5 და 12 ქულა. მ. ბ-ამ 2014 წლის 23 სექტემბერს №42879/01 განცხადებით მიმართა ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა ბინის ქირის გადახდა. მ. ბ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველზე, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებულ კრიტერიუმებს. მ. ბ-ა 2013 წლის 1 დეკემბრიდან იღებს პენსიას. იგი დევნილად რეგისტრირებულია 2003 წლიდან, რეგისტრაციის მისამართია – ქ. თბილისი, ... გამზ. ... კვ. კორპ. 16, ბ. №77 (განსახლების ფორმა – კერძო), ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართია – თბილისი, ... გამზ. ... კვ. კორპ. 12, ბ. 38 (განსახლების ფორმა – კერძო).

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასება, თუ რამდენად ობიექტურად ეთქვა უარი მ. ბ-ას საცხოვრებელი ფართის მიღებაზე. სადავო აქტით მოსარჩელეს განემარტა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მ. ბ-ას მიენიჭა 5 ქულა (შემოსავლების მაჩვენებელი – 3 ქულა, ქირა – 1 ქულა, ომში დაღუპული ოჯახის წევრი – 1 ქულა). ქ. თბილისში, ... ქ. №5-ში მდებარე ობი-

ექტში გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების ფარგლებში, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდნენ ის დევნილი ოჯახები, რომლებმაც ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, მიიღეს 8, 9, 10, 11, 11,5 და 12 ქულა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1. მუხლის თანახმად, ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, კერძოდ, მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ისე, რომ არ შეაჯეროს და არ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებანი, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა გამოეკვლია და შეეფასებინა მ. ბ.-ას მდგო-

მარეობის ამსახველი ფაქტობრივი გარემოებები, საცხოვრებელი პირობები, მატერიალური და სოციალური მდგომარეობა. ასევე უნდა გაეთვალისწინებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ბ-ას სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ჯერ არ იყო გასული საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით განსახორციელებელი დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის დადგენილი ვადა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „სახელმწიფოს დღეის მდგომარეობით არ გააჩნია რესურსი მოსარჩელეს ქ. თბილისში გამოუყოს საცხოვრებელი ფართი, შესაბამისად, არ არსებობს მ. ბ-ას მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველიც, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ჯერ არ გასულა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულებისათვის დადგენილი ვადა“. საკსაცო სასამართლო აღნიშნავს, რომ დღეის მდგომარეობით გასულია ზემოაღნიშნული ვადა, მაგრამ მოსარჩელე არ არის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით. მ. ბ-ამ შემდეგშიც არა ერთხელ მიმართა სამინისტროს განცხადებით, მაგრამ საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებაზე უარი მიიღო. მოცემულ შემთხვევაში არსებობს ისეთი ვითარება, რომ დავის დაწყებიდან გავიდა 6 წელი, ამ პერიოდში მ. ბ-ა გახდა პენსიონერი, შეიცვალა მისი სოციალური და მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ მისი მოთხოვნები დღემდე არ დაკმაყოფილებულა და ის დღეს ისევ ქირით ცხოვრობს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ სადავო აქტის მიღებისას იხელმძღვანელა ნორმატიული აქტებით, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმისა“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების 1-ლი პუნქტით დამტკიცებული „დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფარ-

თით უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად და აღნიშნა, რომ მოცემული აქტებით ხორციელდება დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. აღნიშნული აქტები ასევე ადგენს საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განაცხადის მიღებისა და მათი განხილვის წესს. ამავე წესით რეგულირდება ასევე დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროცედურა და კრიტერიუმები. თითოეული დევნილი ოჯახის განაცხადის შევსება ხორციელდება სამინისტროს მიერ მოპოვებული და დევნილი ოჯახის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმების საფუძველზე. შეფასების შედეგად თითოეულ დევნილ ოჯახს ენიჭება შესაბამისი ქულა. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად და იმ დევნილ ოჯახს, რომელიც სხვა დევნილ ოჯახებთან შედარებით მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანყვეტას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე, ვიდრე შესაძლებელი გახდება მათი დაბრუნება. ამავე წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მას შემდეგ, რაც სამინისტრო ან პარტნიორი ორგანიზაცია სამინისტროს ჩართულობით შეიმუშავენ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროექტებს გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის კონკრეტული შეთავაზებების გაკეთების მიზნით, კომისია პირველ რიგში განსაზღვრავს იმ დევნილი ოჯახების კონტინგენტს, რომელთაც გაუკეთდებათ გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის კონკრეტული შეთავაზებები, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად,

გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის კონკრეტული შეთავაზება გულისხმობს გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რათა კომისიის მიერ განსაზღვრულ კონტინგენტს მიეცეს საშუალება, წარადგინოს შესაბამისი განაცხადი და გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 მარტის №240 განკარგულებაზე, რომლის 2.2.2 პუნქტში აღნიშნულია გრძელვადიანი განსახლების სხვა მიმართულებები, კერძოდ, ცარიელი შენობების რეაბილიტაცია, ახალი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, დევნილთა განსახლება და საკუთრებაში გადაცემა, ასევე დევნილთა განსახლება გამოსყიდულ ან აშენებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ბინებში სოფლად. ამ პროექტების ფარგლებში დაკმაყოფილებიან ის დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ კოლექტიურ ცენტრებში, რომლებიც არ გარემონტდება ან/და საკუთრებაში არ გადაეცემათ, ასევე კერძო სექტორში მაცხოვრებელი უკიდურესად გაჭირვებული დევნილები, რომლებიც არიან რისკის წინაშე. აღნიშნულთან შესაბამისობაშია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანების დანართი №4-ის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შესაძლებლობის შეფასების კრიტერიუმის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, კომპაქტურად (ორგანიზებულად) ან კერძოდ განსახლების იმ ობიექტებში მაცხოვრებელი დევნილები, რომელი შენობებიც წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მესაკუთრე ახორციელებს დევნილთაგან ობიექტის გამოთავისუფლების კანონით გათვალისწინებულ პროცედურას, ასეთ დევნილებს ენიჭებათ 3 ქულა, რაც მ. ბ-ას არ მიაწიჭეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გრძელვადიანი განსახლების მსურველი დევნილი ოჯახების რიცხვი საკმაოდ მაღალია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული მსურველის დადგენა, რისთვისაც სამინისტრომ დაადგინა სპეციალური პროცედურა და თავად დევნილი ოჯახი აკეთებს გა-

ნაცხადს და გამოთქვამს სურვილს კონკრეტულ ობიექტში განსახლებაზე. მოცემულ შემთხვევაში, კასატორმა მ. ბ-ამ არა ერთხელ მოითხოვა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება, წინააღმდეგ შემთხვევაში სამინისტროს მიერ ბინის ქირის გადახდა. იგი ჩართული იყო როგორც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმაში, ისე საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის №1162 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში“, მაგრამ მ. ბ-ა დღემდე არ არის დაკმაყოფილებული საცხოვრებელი ფართით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები, მართალია, დევნილს ანიჭებს უფლებას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნისა, მაგრამ იგი ვერ ახდენს კანონით მინიჭებული უფლების რეალიზაციას, ვინაიდან აღნიშნული ნორმატიული აქტებით ქულების მინიჭების ისეთი პროცედურა განერილი, რაც აბრკოლებს საცხოვრისით დაკმაყოფილების უფლების გამოყენებას. აღნიშნულის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ მ. ბ-ას დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის მიერ მიენიჭა 5 ქულა, რაც არასაკმარისი აღმოჩნდა საცხოვრებელი ფართის მისაღებად. 2013 წლის ნოემბერში კასატორი გახდა პენსიონერი, რაც დამატებითი ქულის მიღებას გულისხმობდა, მაგრამ საკასაციო პალატის სხდომაზე სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მ. ბ-ას საპენსიო ასაკის მიღწევის გამო მოემატა 1.5 ქულა, მაგრამ დააკლდა სხვა კატეგორიის მარვენებელში, კერძოდ, შემოსავალში, რითაც მ. ბ-ამ უფრო დაბალი შეფასება მიიღო, ვიდრე საპენსიო ასაკის მიღწევამდე ჰქონდა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეიძლება თავისი კანონმდებლობა აქციოს პირის კანონიერი უფლების შემზღუდავად, რაც იმას გულისხმობს, რომ დევნილს მინიჭებული აქვს უფლება, მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფს მის გამოყენებას. ნორმატიულ აქტებში განსაზღვრული უნდა იყოს განაცხადის შეესებისა და ანკეტი-

რების, ასევე ქულების მინიჭების ისეთი პროცედურა, რაც შესაძლებელს გახდის მოცემული ნორმატიული კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების მიზნის მიღწევას. მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს დევნილთა საცხოვრებელი პირობების გრძელვადიან გადანაცვლებას, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირებასა და დაუცველი დევნილების სახელმწიფო სოციალურ პროგრამებში ინტეგრირებას ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების საფუძველზე.

ამდენად, ზემოაღნიშნულ გადანაცვტილებებში გაკეთებული განმარტებებისა და საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. ბ.-ას საკითხის განხილვისას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ უნდა გამოიკვლიოს მისი ამჟამინდელი მდგომარეობის ამსახველი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც განსხვავებულია ადრინდელი მდგომარეობისაგან, შეაფასოს დევნილის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გაითვალისწინოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ნოემბრის გადანაცვტილება და ისე მიიღოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ბ.-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადანაცვტილება, რომლითაც მ. ბ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწი-

ლობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ბ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 1 ივლისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2014 წლის 12 მარტის №05/02-12/5175 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შედეგ კანონით დადგენილ ვადაში გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დეჰნილის სტატუსის აღდგენა

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-215-213(კ-17)

20 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 22 ივნისს კ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის აფხაზეთიდან, კერძოდ, ქ. გაგრიდან დევნილი. 1984 წელს იგი ქ. მარტვილიდან საცხოვრებლად გადავიდა ქ. გაგრაში ბიძასთან გ. ჭ-ის ოჯახში, სადაც ცხოვრობდა 1992 წლის აგვისტომდე, გაგრის დაცემამდე. 1992 წლის აგვისტოდან იგი ცხოვრობდა ქ. მარტვილში მშობლებთან ერთად და დაამთავრა მარტვილის ... საშუალო სკოლა. მოსარჩელე მიუთითებს, რომ 2003 წელს მას მიენიჭა დევნილის სტატუსი. ამავე წელს კ. ბ-ა დაქორწინდა და 2007 წლის 27 დეკემბერს შეეძინა შვილი ნ. ბ-ა, რომელსაც ასევე მიენიჭა დევნილის სტატუსი. მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 19 აპრილს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტში მას ჩაუტარდა გასაუბრება, რის საფუძველზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 20 აპრილის №621 და №622 ბრძანებებით, ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე, კ. ბ-ას და მის შვილს ჩამო-

ერთვით დევნილის სტატუსი.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 20 აპრილის №621 და №622 ბრძანებების ბათილად ცნობა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის კ. ბ-ასა და ნ. ბ-ასთვის დევნილის სტატუსის აღდგენის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 20 აპრილის №622 და №621 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავებულ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სადავო საკითხთან დაკავშირებით, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და

ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება, ხოლო მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირი, რომელიც ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. ამავე კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს, რომ დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ნორმების განმარტების თანახმად, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მისანიჭებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, ანუ მას იძულების წესით დატოვებული უნდა ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. სასამართლოს განმარტებით, მოცემული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირი თვითონ განსაზღვრავს და ირჩევს მისთვის სასურველ საცხოვრებელ ადგილს, მას აქვს სრული თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს, სად იცხოვროს. ამავე დროს პირი არც იმაშია შეზღუდული, რომ ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ცხადია, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ნიშნავს შესაძლებლობას, პირს ჰქონდეს ამ საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებული უფ-

ლებები და მოვალეობები.

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენის, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით დაწესებული საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაცია. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ნებისმიერი სხვა დაწესებულება ან იურიდიული პირი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების მიზნით მოითხოვოს პირადობის (ბინადრობის) მონმობის ან მისი ასლის წარდგენა, რომელიც სანოტარო წესით დამონმებას არ საჭიროებს. ამავე კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. საქალაქო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული ნორმის განმარტების თანახმად, პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების ერთ-ერთ უმთავრეს დოკუმენტს წარმოადგენს პირადობის მონმობა, რადგან რეგისტრაციის მიზანია მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით პირის შესახებ მონაცემების, მათ შორის, საცხოვრებელი ადგილის დადგენა. ამასთან, აღნიშნული კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის საფუძველზე, პირს მინიჭებული აქვს უფლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი და ასეთ შემთხვევაში პირი არ არის შეზღუდული, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობის შემთხვევაში საკუთარი არჩევანით რეგისტრაცია გაიაროს ერთ-ერთი მათგანის მიხედვით და სარეგისტრაციო მონაცემებში მიუთითოს საკუთარი სურვილით არჩეული საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

სასამართლომ განმარტა, რომ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მტკიცებულებებით, რომ პირი განსაზღვრულ

ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით განსაზღვრულია იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების და დევნილთა რეგისტრაციის წესი. მითითებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მე-3 მუხლში მოცემულია დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის წესი. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, დეპარტამენტი პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საკითხის შესწავლის შემდგომ ამზადებს დასკვნას შესაბამისად დევნილისათვის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევის და აღდგენის შესახებ, რომელსაც ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე გამოიცემა პირისათვის დევნილის სტატუსის შეწყვეტის, ჩამორთმევის ან აღდგენის შესახებ მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირს დევნილის სტატუსი ჩამოერთმევა, თუ მან ეს სტატუსი ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო.

განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტების სამართლებრივ საფუძველად მითითებულია „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი, დეპარტამენტის უფროსის დასკვნაში კ. ბ-ასა და ნ. ბ-ასათვის დევნილის სტატუსის ჩამორთმევის საფუძველად აღნიშნულია, რომ 2014 წლის 19 ივნისს ჩატარებული გასაუბრებისას კ. ბ-ამ აღნიშნა, რომ ქ. გაგრაში ცხოვრობდა ბიძასთან – გ. ჭ-ესთან და ბიცოლასთან – ფ. ჭ-ესთან და ბიძაშვილთან – ა. ჭ-ესთან ერთად, ამასთან, კ. ბ-ას მიერ დასახელებული მეზობლები არ იძებნებიან დევნილთა ელექტრონული მონაცემების ერთიან ბაზაში. მისი განცხადებით გაგრაში სახლი იყო ბიძის საკუთრება და ჩაწერილი იყო ბიძასთან. მშობლებს აფხაზეთში არ უცხოვრიათ. გაგრა დატოვა 1992 წლის აგვისტოს. ამჟამად ცხოვრობს ბიძასთან გ. ჭ-ესთან ერთად.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ საქარ-

თველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობიდან მიღებული №50124/01 წერილის შინაარსის მიუხედავად ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ კ. ბ-ას მუდმივად ცხოვრების ფაქტი დევნილობამდე არსებულ მისამართზე გასაუბრების მასალების გათვალისწინებით, არ დასტურდება. იმის გათვალისწინებით, რომ კ. ბ-ა 1983 წელს შევიდა გაგრის საშუალო სკოლაში. ისწავლა 7 კლასი (დაახლოებით 1990-1991წწ) გააგრძელა მარტვილის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლაში. გაგრაში ჩანერილი იყო ბიძის საკუთრებაში. მშობლებს არ უცხოვრიათ აფხაზეთში. დევნილობის დადგომის დროს კ. ბ-ა იყო არასრულწლოვანი, ხოლო მის მშობლებს არ აქვთ დევნილის სტატუსი, ადმინისტრაციულმა ორგანომ მითითებულ შემთხვევაში მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა.

თუმცა, ამ მტკიცებულების საპირისპიროდ სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის 2015 წლის 5 ნოემბრის №1305/01-28 წერილით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეცნობა, რომ კ. ბ-ა 1992 წლამდე ფაქტიურად ცხოვრობდა ქ. გაგრაში, ბიძასთან – გ. ჭ-ესთან.

სასამართლოს მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ... ადმინისტრაციული ერთეულისაგან კ. ბ-ას შესახებ, საიდანაც სასამართლოს 2015 წლის 3 აგვისტოს №205 წერილობით აცნობეს, რომ კ. ბ-ა 1984-დან 1992 წლამდე ფაქტიურად ცხოვრობდა ქ. გაგრაში მისი ბიძის ოჯახში, რასაც ადასტურებენ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მცხოვრები კ. ბ-ას მეზობლები.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2014 წლის 26 სექტემბრის №16/16962 წერილით დასტურდება, რომ კ. ბ-ა მარტვილის რაიონის სოფელს ... საშუალო სკოლის მოსამზადებელ კლასში ჩარიცხულია 1983 წლის №1 ბრძანების საფუძველზე, თუმცა 1994-1995 წლების ბრძანების ნიგნები არქივში დასაცავად არ შემოსულა, რის გამოც არ არსებობს ინფორმაცია კ. ბ-ას მიერ აღნიშნული სკოლის დამთავრების შესახებ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ კ. ბ-ას ქ. გაგრაში ცხოვრების ფაქტს 1984 წლიდან 1992 წლამდე ასევე ადასტურებენ საქმეში მონმის სახით დაკითხული პირები. ამდენად, ცალსახაა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ვერ დგინდება დევნილის სტატუსი ჩამორთმევის საფუძვლის არსებობა, ამ სტატუსის ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიღების გამო, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, ასევე მოწმეთა ჩვენებებით ვერ დასტურდება უტყუარად კ. ბ-ას მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ქ. გაგრა, ... ქ. №27) ფაქტობრივად არ ცხოვრების ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ბ-ას სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დადგენილია და სადავოს არ წარმოადგენს, რომ დევნილობის დადგომის დროს კ. ბ-ა იყო არასრულწლოვანი, 13-14 წლის; მის მშობლებს არ უცხოვრიათ აფხაზეთში, არა აქვთ დევნილის სტატუსი და ცხოვრობდნენ მარტვილის რაიონში. ასევე, სადავოს არ წარმოადგენს, რომ კ. ბ-ა შვილად აყვანილი არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით, არც მზრუნველობა/ მეურვეობა ყოფილა მის მიმართ დადგენილი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 20.2 მუხლზე, რომლის მიხედვით, ისევე როგორც იმ დროს მოქმედი 1964 წლის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლეთ-

ბოდა და ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი. იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობა იცნობდა ჩანერის ინსტიტუტს, მუდმივს და დროებითს, რასაც თავისი საფუძვლები გააჩნდა. შესაბამისად, კ. ბ-ას მუდმივ საცხოვრებელ ადგილს იმ პერიოდისათვის (1990-1992 წელი) მშობლების საცხოვრებელი ადგილი – მარტვილის რაიონი წარმოადგენდა და თუნდაც აფხაზეთში ბიძის ოჯახში დროებითი ცხოვრება ვერ იქნება მოაზრებული, რომ მან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დატოვა იძულებით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში დაცული მასალები ქმნიდა მოსარჩელისთვის სტატუსის გაუქმების საკმარის საფუძველს და გაიზიარა სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ კ. ბ-ას მიერ ვერც სამინისტროში მის მიმართ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების დროს და ვერც სასამართლოში ვერ იქნა დამაჯერებლად და არგუმენტირებულად დადასტურებული აფხაზეთში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, მხარეთა ახსნა-განმარტებები და სასამართლოზე გამოკვლეული გარემოებები სააპელაციო სასამართლოს აძლევდა საფუძველს გაეზიარებინა ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტი სადავო აქტების კანონიერების თაობაზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელისთვის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის ჩამორთმევა მოხდა შესაბამისი მტკიცებულებების არსებობის პირობებში, საკითხის სათანადო შესწავლის გზით, რაც არ ქმნიდა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. ბ-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არას-

წორად განმარტა „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შინაარსი. ასევე, სასამართლომ უგულვებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა და კ. ბ-ას საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის მიზნით არ იხელმძღვანელა სპეციალური სახის მტკიცებულებებით, როგორც ამ შემთხვევაში წარმოადგენდა საქმის მასალებში არსებული ბ-ას სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა №..., მაშინ, როცა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი ცალსახად ადგენს, რომ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ავალდებულებს ყველა ორგანოს და დაწესებულებას პირის საცხოვრებელი ადგილის დადასტურების მიზნით იხელმძღვანელონ პირადობის მოწმობის მონაცემებით. კასატორის მითითებით, სასამართლომ ასევე არ იხელმძღვანელა საქმის მასალებში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით და სრულიად დაუსაბუთებლად არ გააზიარა აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის №50124/1 წერილი, რომელიც ასევე შეიცავს ცნობას დევნილობამდე კ. ბ-ას საცხოვრებელი ადგილის შესახებ და უტყუარად ადასტურებს ფაქტს მისი ქ. გაგრაში, ... №27-ში ცხოვრების ფაქტს.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განმარტებასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე №ბს-1896-1849(კ-10)).

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყო კონკრეტულ შემთხვევაში უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო გაებათილებინა მის მიერვე გამოცემული აღმჭურველი აქტი, რომლის საფუძველზე მინიჭებული უფლებითაც კ. ბ-ა სარგებლობდა 10 წლის განმავლობაში და რომლის მიმართაც მას, როგორც დაინტერესებულ პირს, გააჩნდა კანონიერი ნდობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული კ. ბ-ას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 11 მაისის განჩინებით კ. ბ-ას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ კ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ბ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები); ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები (საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ

დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორმა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: კ. ბ-ას (დაბადებულს მარტივლში) და მის შვილს ნ. ბ-ას მინიჭებული ჰქონდათ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი. 2013 წლის ოქტომბერში დევნილთა რეგისტრაცია გაიარა კ. ბ-ამ, რომელიც დევნილად რეგისტრირებული იყო 2003 წლიდან და მონაცემთა ბაზაში დევნილობამდე იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართად უფიქსირდებოდა ქ. გაგრა, ... ქ. №27. სარეგისტრაციო კომისიამ კ. ბ-ას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ხელახალი იდენტიფიცირების თაობაზე 2014 წლის 15 ივლისს წერილით მიმართა აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას. აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის 2014 წლის 5 ნოემბრის №50124/01 წერილის თანახმად, კ. ბ-ა 1992 წლამდე ფაქტობრივად ცხოვრობდა ბიძის – გ. ჭ-ის ოჯახში ქ. გაგრაში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 19 ივნისს კ. ბ-ას ჩაუტარდა გასაუბრება. გასაუბრებისას კ. ბ-ამ აღნიშნა, რომ დაიბადა ... წელს მარტივლში. 1983 წელს შევიდა გაგრის №1 საშუალო სკოლაში. ისწავლა 7 კლასი და დაამთავრა 1994 წელს მარტივლის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლა. 2003 წელს დაქორწინდა ქ. თბილისში. როგორც თავად აღნიშნა გაგრაში ცხოვრობდა ბიძასთან – გ. ჭ-ესთან ერთად. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 20 აპრილის №622 და №621 ბრძანებებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 19 მარტის №01-01/06-3317 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, კ. ბ-ასა და ნ. ბ-ას ჩამოერთვათ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

ასევე დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში აფ-

საზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის 2014 წლის 5 ნოემბრის №1305/01-28 წერილის თანახმად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეცნობა, რომ კ. ბ-ა ც. ძე 1992 წლამდე ფაქტობრივად ცხოვრობდა ბიძასთან – გ. ჭ-ის ოჯახში ქ. გაგრაში. ასევე, საქმეზე მოწმის სახით დაკითხული პირების, ა. ჭ-ისა და ი. ფ-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ კ. ბ-ა 1992 წლამდე მუდმივად ცხოვრობდა ქ. გაგრაში, ბიძის – გ. ჭ-ის ოჯახში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურ თეორიებთან რეგულირდება „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც განსაზღვრავს: დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. მითითებული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ახდენს დევნილის ცნების დეფინიციას, რომლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. ამდენად, კანონმდებელმა კონკრეტულად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა აქვს კასატორის – კ. ბ-ას მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის იძულებით დატოვების ფაქტის დადგენას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ №ბს-1896-1849(კ-10) და №ბს-1227-1213(კ-11) ადმინისტრაციულ საქმეებზე გაკეთებულ განმარტებებზე და აღნიშნავს, რომ საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ძირითად, კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, კანონმდებლობის შესაბამისად, პირს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად, შეუზღუდავად არჩევის უფლება. ამასთან, პირი არც იმაშია შეზღუდული, რომ ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ზოგადად, საცხოვრებელი ადგილი პირის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. საცხოვრებელ ადგილზე მრავალი უფლება ან ინსტიტუტია დამოკიდებული. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. ამასთან, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს, რომელსაც თან ახლავს პირის ნება, რომ მას სურს მოცემულ ადგილზე ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, პირის ნება – დააფუძნოს საცხოვრებელი ადგილი – უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ ნების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, ე.ი. პირს უნდა ჰქონდეს ბინა, სახლი ან სხვა საცხოვრებელი სადგომი მოცემულ ადგილზე. პირის კონკრეტულ ადგილას მუდმივად ცხოვრების ფაქტი გამოხატულია აღნიშნულ ადგილზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებით, რაც შეიძლება დასტურდებოდეს მაგალითად, გადასახადის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, საკომ-

ლო ჩანანერით, მუდმივი მაცხოვრებლების აღწერის შედეგებით ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტით, რომ პირი განსაზღვრულ ადგილას წარმოადგენს მუდმივ მაცხოვრებელს.

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო. პირი რამდენიმე საცხოვრებელი ადგილიდან ირჩევს ძირითად, უმთავრეს საცხოვრებელ ადგილს, რომელიც მიიჩნევა პირის მუდმივ საცხოვრებელ ადგილად. შესაბამისად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი პირის ძირითადი, უმთავრესი ადგილსამყოფელია. მუდმივი საცხოვრებლის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი იქ არა დროებით, არამედ მუდმივად უნდა იმყოფებოდეს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, მართალია დადგენილია, რომ დევნილობის დადგომის დროს კ. ბ-ა იყო არასრულწლოვანი და მის მშობლებს არ უცხოვრიათ აფხაზეთში, არა აქვთ დევნილის სტატუსი და ცხოვრობდნენ მარტვილის რაიონში, ასევე, ის ფაქტი, რომ კ. ბ-ა შვილად აყვანილი არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით, არც მზრუნველობა/მეურვეობა ყოფილა მის მიმართ დადგენილი, თუმცა, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის მე-2 ნაწილისა და იმ დროს მოქმედი 1964 წლის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილად ითვლებოდა და ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, კ. ბ-ას მუდმივ საცხოვრებელ ადგილს იმ პერიოდისათვის (1990-1992 წელი) მშობლების საცხოვრებელი ადგილი – მარტვილის რაიონი წარმოადგენდა და თუნდაც აფხაზეთში ბიძის ოჯახში დროებითი ცხოვრება ვერ იქნება მოაზრებული, რომ მან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი დატოვა იძულებით.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილ-

თა შესახებ“ საქართველოს კანონი არის სპეციალური სამართლებრივი აქტი, სადაც კანონმდებელმა ზუსტად განსაზღვრა და პირდაპირ მიუთითა იმ სავალდებულო პირობებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პირი ჩაითვლება იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად. კერძოდ, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად – დევნილად აუცილებელია, რომ მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, ადგილის, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა.

საკასაციო სასამართლო მოცემულ შემთხვევაში დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ კ. ბ-ა 1992 წლამდე ფაქტობრივად ცხოვრობდა ბიძასთან – გ. ჭ-ის ოჯახში ქ. გაგრაში და მან იძულებით დატოვა აღნიშნული ტერიტორია. კ. ბ-ას აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ იგი 1983 წელს შევიდა გაგრის №1 საშუალო სკოლაში, სადაც ისწავლა 7 კლასი და 1994 წელს დაამთავრა მარტვილის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, პირს დევნილის სტატუსი ჩამოერთმევა, თუ მან ეს სტატუსი ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიიღო. სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ვერ დგინდება დევნილის სტატუსის ჩამოერთმევის საფუძვლის არსებობა, ამ სტატუსის ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე მიღების გამო, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, ასევე მონმეთა ჩვენებებით ვერ დასტურდება უტყუარად კ. ბ-ას მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ქ. გაგრა, ... ქ. №27) ფაქტობრივად არ ცხოვრების ფაქტი.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 20 აპრილის №622 და №621 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს უნდა დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კ. ბ-ას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდება ნაწილობრივ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. კ. ბ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. კ. ბ-ას სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2015 წლის 20 აპრილის №622 და №621 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სადავო საკითხთან დაკავშირებით;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება

მიუღებელი სახელმწიფო პენსიის ანაზღაურება	3
პენსიის თანხის ანაზღაურების კანონიერება	23
ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისათვის სახელმწიფო პენსიის აღდგენის საფუძველი	38
სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერების და შენწყვეტის კანონიერება	57

2. დახმარება და კომპენსაცია

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამართლის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა	79
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილ შსს მოსამსახურის ოჯახის წევრისათვის კომპენსაციის დანიშვნა	100; 120
სარეიტინგო ქულის მინიჭება და სოციალური შემწეობის შეწყვეტა	130
სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის შეჩერების საფუძველი	162

3. დევნილის სოციალური დაცვა

დევნილის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება საცხოვრებელი ფართის მისაღებად	182
დევნილის სტატუსის აღდგენა	204